აღლუმი დამარცხებულთათვის A3

„თბილგაზის“ ავარიებში დამნაშავე „საქგაზია“ A4

ციხის „ბუნტის“ საფუძველი - ნარკომაფია A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ოთხშაბათი, 17 ივლისი, 2002 წელი. №45

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

# რა ბედი ელის სამხედრო ბეგარას

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება“
სპეციალურად „24 საათისათვის“

**საქართველოში ოდითგანვე ასეა – ჯერ მიიღებენ გადაწყვეტილებას და მერე ფიქრობენ, თუ როგორ განახორციელონ იგი ცხოვრებაში. დაახლოებით ასეთ სტერეოტიპთან გვაქვს საქმე “სამხედრო ბეგარის შესახებ” კანონის შემთხვევაშიც, რომელიც ივნისის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა თითქმის ერთხმად მიიღო. სამხედრო უწყების წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის გათვლებით, სამხედრო ბეგარის შემოღება ქვეყანას ორ პრობლემას მოუხსნის – შეწყდება აღებ-მიცემობა კომისარიატის სისტემაში და სამხედრო ბიუჯეტიც მნიშვნელოვნად შეივსება. თუმცა, პრეზიდენტისთვის ხელმოსაწერად გასამზადებელ კანონპროექტს ბოლო მომენტში დაუპირისპირდა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სამხედრო ბეგარის შესახებ კანონი დისკრიმინაციულია.**

საქართველოს ხელისუფლების 10-წლიანი წარუმატებელი ექსპერიმენტი, სახელწოდებით “არმიის მშენებლობა”, ახალი უპრეცედენტო ექსპერიმენტის საფუძველი ხდება. კვირის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მოწონებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს, რომელიც, თუ ყველაფერს თავის სახელს ვუწოდებთ, ოფიციალურად აკანონებს იმ მანკიერებას, რასაც დღემდე ქრთამის საშუალებით

გაგრძელება A8 გვერდზე



# საქართველო კვლავ რჩება ეზოდ, რომელსაც ღობე არა აქვს

ზაზა წულაძე

***“ჩემი აზრით, ჩვენ, ქართველებს, არა გვაქვს ეზო, რადგანაც, უბრალოდ, არ გაგვაჩნია ღობე. ის, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ამდენი ხანი არა აქვს საზღვარი, სერიოზული პრობლემაა. სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო და სადემარკაციო სამუშაოები ძალიან გაჭიანურდა. ეს მე, რიგით ქართველს, სერიოზულად მაშფოთებს,”*** *– ამბობს საქართველოს სადელიმიტაციო და სადემარკაციო სამთავრობო კომისიის ექსპერტი, გეოგრაფიულ მეცნირებათა დოქტორი ჯანო კეკელია. დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის პრობლემა მხოლოდ ერთ მეზობელთან, თურქეთთან აქვს მოგვარებული. რუსეთის ფედერაციასთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან კი მოლაპარაკებები ბოლო რვა წელია, მიმდინარეობს.*

სადელიმიტაციო და სადემარკაციო სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეს, ზაზა კანდელაკს მიაჩნია, რომ **“სერიოზული პრობლემები ამ მიმართულებით არ არსებობს. მოლაპარაკებების გაჭიანურება მრავალი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორით არის განპირობებული. ჩვენი მუშაობის პრინციპი ერთია, ყველა სადავო ტერიტორია, რომელიც დოკუმენტურად არის დადასტურებული, რომ ჩვენია, უნდა დარჩეს საქართველოს შემადგენლობაში.”**

გაგრძელება A8 გვერდზე

პოლიტიკური პარტნიორის სტუმრობა A2

ნაციონალებმა ვერც მამალაძე მოხსნეს და ვერც საკრებულოს სხდომა დანიშნეს A3

ამერიკის სენატმა კორპორაციულ თაღლითობებს ომი გამოუცხადა A4

მორიგი ტერაქტი ისრაელში A5

ბალკანელი ლიდერები საერთო ენას ნახულობენ A5

ვანო ზოდელავამ ხმაური ატეხა A6

სტუდენტური თვითმმართველობის პრეტენზიები და მოთხოვნები A6

წყნეთის ტყეს თანამდებობის რამდენიმე პირი ეწირება A7

# შევარდნაძე - ქართული პოლიტიკის გუშინდელი დღე

ეკა კვესიტაძე

ცვლილებები ქართულ პოლიტიკაში აშკარად იგრძნობა. 2 ივნისის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ოპოზიციური ძალების სასარგებლოდ დაწყებული ტენდენცია ბოლო დროს სულ უფრო შეუქცევად ხასიათს იღებს. ხოლო მოსაზრება, რომ შევარდნაძე ოპოზიციას არ გაახარებს და მის დასასუსტებლად კიდევ გამონახავს ბერკეტებს, თანდათან სულ უფრო საეჭვო ხდება.

ის, რომ ხელისუფლება, შევარდნაძის მეთაურობით, თითქმის ყოველ დღე ერთმანეთზე უხეშ შეცდომებს უშვებს, ბოლო დღეებმაც დაადასტურა.

თემურ ხაჩიშვილის გამოშვება და თავისუფლების ინსტიტუტის დარბევა ამ შეცდომების ჯაჭვში ყველაზე დიდი ტაქტიკური შეცდომა აღმოჩნდა.

ხელისუფლებაში ავთანდილ ჯორბენაძის მოსვლის შემდეგ ყველას და ყველაფერს დაეტყო სახელმწიფო მინისტრის ხისტი, პოლიტიკურ ტექნოლოგიებს მოკლებული პოლიტიკა.

თავისუფლების ინსტიტუტის დარბევის შემდეგ ხელისუფლების დამცველთა ყველაზე სერიოზული არგუმენტი ისაა, რომ ხელისუფლება ამ დარბევაში არ მიიღებდა მონაწილეობას, რადგან ეს მის ინტერესებში არ შედის.

გაგრძელება A8 გვერდზე

# სახელმწიფო ხაზინა ბჭობს, ცესკო კი ბიულეტენებს ისევ არ ითვლის

თამარ მჭედლიშვილი

*ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების მიუხედავად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ბიულეტენების დასათვლელად საჭირო თანხის გამოყოფის მოთხოვნით, სახელმწიფო ხაზინისთვის ჯერ არ მიუმართავს. არადა, კვლავ ცესკოს მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, ბიულეტენების დათვლა მაშინ დაიწყება, როდესაც კომისიის ანგარიშზე საჭირო თანხა დაჯდება.*

მთლიანად, ეს თანხა 74 820 ლარს შეადგენს. “24 საათი” დაინტერესდა, რაში დასჭირდა ცესკოს ამდენი ფული. და, აი, რა გამოვარკვიეთ:

**შრომის ასანაზღაურებლად საჭირო ყოფილა 21 390 ლარი. აქედან ხელფასის სახით - 14 490 ლარი, პრემიის სახით - 6 900 ლარი. დამქირავებლიდან ანარიცხები 6 630 ლარს წაიღებს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ნინო სალუქვაძის მედლის ორი მხარე

რომელი ბარიერის გადალახვაა უფრო ძნელი - ოლიმპიურის თუ... ჩინოვნიკურის



*ნინო სალუქვაძე*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# წყნეთის ტყეს თანამდებობის რამდენიმე პირი ეწირება

სოფიკო ჩხაიძე

**“ყოჩაღ, გივი, გილოცავ, რომ ასე წარბშეუხრელად ტყუი, აგერ, უკვე ერთი საათის მანძილზე”...**

**“გაჩერდი, შოთა, შენ იმაზე ხარ გამწარებული, სამჯერ (?) რომ მოგხსენი”...**

**“შენისთანა მექრთამე მეორე არ დადის საქართველოში, ერთი მანეთისთვის ბათუმში ჩახვალ ფეხით”...**

**“აგერ, ბატონო, მე კი არა, შს სამინისტრო წერს, რომ გაყიდული შენობის ფული — 15 ათასი ლარი და ამდენივე დოლარი ჯიბეში ჩაიდე”...**

**“კი, კი, შენ არ იყავი, წილს რომ მთავაზობდი და მე არ ავიღე”...**

ანტიკორუფციული ბიუროს სხდომათა დარბაზში დაწყებული ეს დიალოგი ჯერ ფოიეში, მერე კი ქუჩაში გაგრძელდა. საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ჯერ კიდევ თავმჯდომარე გივი ჯაფარიძე და თბილისის სატყეო მეურნეობის აწ უკვე ყოფილი დირექტორი შოთა მეფარიძე ერთმანეთს თვალის დაუხამხამებლად ეუბნებოდნენ ათას საძაგლობას — ვინ ვის ან რას — ამას არც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ის გახლავთ, რომ ერთსაც და მეორესაც სათქმელი ერთმანეთისთვის და ერთმანეთზე ბევრი აქვთ.

ყველას ახსოვს მიხეილ სააკაშვილის ხმაურიანი ვიზიტები წყნეთში, როცა ის წყნეთის მიწების უკანონო გასხვისებას ედავებოდა შოთა მეფარიძეს. სააკაშვილის ენერგია მაშინ უქმად არ დახარჯულა და მეფარიძეც გამოემშვიდობა თავის თანამდებობას, როგორც დღეს ანტიკორუფციული ბიუროს მდივანი კახა უგულავა ამბობს, - სრულიად სამართლიანად. თუმცა, სამართლიანად დასჯილი თანამდებობის პირი, რომლის საქმესაც სამართალდამცველი ორგანოები იკვლევენ, ანტიკორუფციონერებმა ამჯერად ბრალმდებლის ფუნქციით გამოიყენეს და, შეიძლება ითქვას, ერთგვარი შოუც მოაწყვეს გარკვეული მიზნის მისაღწევად. კოლექტიური უპასუხისმგებლობა — აი, რას შეუწუხებია ანტიკორუფციონერები, რომელთა თქმითაც, მიწის გამოყოფიდან სახლის მშენებლობის დაწყებამდე, პროცესში შვიდი ორგანიზაციაა ჩაბმული. ისინი შეხმატკბილებულად არღვევენ კანონს და მერე მომხდარს ერთმანეთს აბრალებენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | ☀ |
| ქუთაისი | 28 | წვიმა |
| ბათუმი | 26 | წვიმა |
| სოხუმი | 28 | წვიმა |
| ფოთი | 27 | წვიმა |
| თელავი | 32 | ☀ |
| ზუგდიდი | 29 | წვიმა |
| გორი | 28 | ღრუბელი |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.2023 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4401 |
| რუბლი | 0.0694 |

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 სტილი B3 რეკლამა B4 კულტურა B5 კულტურა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ორდღიანი ვიზიტით იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მარგარიტა ბონივერი ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში სტუმარი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდება.

შეხვედრებზე განიხილება ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. გაიმართება, აგრეთვე, მსჯელობა რეგიონული თანამშრომლობისა და კონფლიქტების მოგვარების პრობლემებზე.

■ ■ ■

**თბილისი.** გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკ) თბილისის ოფისის იურიდიული სამსახურის უფროსის **ვალენტინა ცონევას** განცხადებით, შესაძლოა, გლუკმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღოს და საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციის სახით შესთავაზოს ჩეჩენი ლტოლვილების მესამე ქვეყანაში გადასახლების პროექტი.

„გლუკი იშვიათად იღებს ამგვარ გადაწყვეტილებებს. ჩეჩნებთან დაკავშირებით ასეთი გადაწყვეტილება, ალბათ, უპრეცედენტო იქნება. საქართველო ჩეჩნებს სამშობლოში დაბრუნებას ვერ აიძულებს, რადგან ჯერჯერობით იქ არ არსებობს უსაფრთხოების გარანტიები. გარდა ამისა, საუბარია იმაზეც, რომ ჩეჩენი ლტოლვილები პანკისის ხეობაში კომპაქტურად სახლდებიან, რაც გარკვეულწილად საფრთხეს ქმნის," - აცხადებს ცონევა.

გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის თბილისის ოფისის მონაცემებით, საქართველოში სულ 3.868 ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობს, აქედან ძირითადი რაოდენობა პანკისის ხეობაზე მოდის. თბილისში კი 100 ჩეჩენი ლტოლვილია.

ვალენტინა ცონევას თქმით, გლუკი ვერ ურჩევს საქართველოს დევნილ მოსახლეობას, დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელს, რადგან იქ უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს.

„მიუხედავად იმისა, რომ გლუკი სამხრეთ ოსეთში დევნილებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამებს ახორციელებს, ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მოსახლეობამ იქ ცხოვრება შეძლოს. ჩვენი დახმარებები ცხოვრების დონეს ვერ ამაღლებს", - განაცხადა ვალენტინა ცონევამ.

მისივე თქმით, გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა შარშან უკვე გააუქმა თავისი ოფისები ცხინვალსა და გორში. დღეისთვის „სამხრეთ ოსეთში" გლუკის მხოლოდ მობილური ჯგუფები მუშაობენ, თუმცა, მათ საქმიანობას იქაურ შერეულ სოფლებში შექმნილი რთული ვითარება უშლის ხელს.

ამ ეტაპზე ცხინვალში დაბრუნების სურვილი ათასამდე ქართველ დევნილს აქვს.

■ ■ ■

**თბილისი.** „საქსტანდარტი" ერთ თვეში თბილისის ავეჯის ბაზრობების შემოწმებას იწყებს. შემოწმდება როგორც იმპორტული, ასევე ადგილობრივი წარმოების ავეჯი.

"საქსტანდარტისთვის" ეს ბაზრობები აუთვისებელია. ვის მიერ არის შემოტანილი ან წარმოებული ავეჯი, ცნობილი არ არის. შეუმოწმებელია ამ პროდუქციის ხარისხიც. ავეჯი, ძირითადად, ვაგზლის მოედნის და სტადიონ „დინამოს" მიმდებარე ტერიტორიაზე იყიდება. ბაზრობების შემოწმებას „საქსტანდარტი" ერთ თვეში დაიწყებს.

* * *

**თბილისი.** დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსის **ალექსანდრე კურცხალიას** განცხადებით, „ეი-ი-ეს თელასი" დავალიანების გამო გათიშული ელექტროენერგიის აღდგენის თანხას მოსახლეობასა და იურიდიულ პირებს უკანონოდ ახდევინებს. „ეი-ი-ეს თელასს" ამ გზით ოთხ წელიწადში 6 მილიონ ლარამდე აქვს მითვისებული.

დედაქალაქის ხელმძღვანელობამ ამერიკული კომპანიისგან კატეგორიულად მოითხოვა მთაწმინდა-კრწანისისა და ისან-სამგორის რაიონების გამრიცხველიანების უახლეს დროში დასრულება.

■ ■ ■

**თბილისი.** სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2002 წლის მარტში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ნაკლებად უარესდება ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა. თუმცა, ოჯახების უმეტესი ნაწილის შეფასებით, მათი ისედაც საკმაოდ არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება.

სხვადასხვა ფენის ოჯახები მკვეთრად განსხვავებულ შეფასებებს იძლევიან. შედარებით უზრუნველყოფილი ოჯახების თითქმის მესამედი აღნიშნავს, რომ ბოლო წლის განმავლობაში მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა; შუალედურ ფენაში ასეთების წილი მხოლოდ 12,5 პროცენტია, ცუდად უზრუნველყოფილ ფენაში კი გაცილებით ნაკლები - 1,6 პროცენტი.

შედარებით უზრუნველყოფილი ოჯახების დაახლოებით 30 პროცენტი გაისად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ელის, შუალედურ ფენაში ასეთების წილი 18,2 პროცენტია, ცუდად უზრუნველყოფილ ფენაში კი მხოლოდ 11 პროცენტი.

სტატისტიკის დეპარტამენტი გამოკვლევის შედეგების მიხედვით ასკვნის, რომ საქართველოში ეკონომიკური ზრდის ნაყოფს უფრო შეძლებულები იმკიან.

■ ■ ■

**თბილისი.** ჯაბა იოსელიანის აზრით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გარშემო „მხედრიონიზაციის კომპლექსით" შეწუხებული პოლიტიკური ძალები ერთიანდებიან.

იგი აცხადებს, რომ თითოეულ მათგანს "მხედრიონის" მიმართ დანაშაული მიუძღვის..

მოსალოდნელ მხედრიონიზაციაზე საუბრისას იოსელიანი აღნიშნავს, რომ "ქვეყნისთვის ეს იდეალური სახელმწიფოებრივი წყობა იქნება, რაც ქვეყნის ნეიტრალიტეტის გამოცხადებას გულისხმობს".

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური ძალიან ღელავს თბილისში, ღია ცის ქვეშ მდგარი ხელოვნების 200-მდე ძეგლის ბედზე. "მრგვალი ქანდაკებები" კარგა ხანია საჭიროებენ მოვლა-პატრონობას, გასუფთავებას, აღდგენით სამუშაოებს. მზრუნველი ხელი მათ განსაკუთრებით მიწისძვრის შემდეგ ესაჭიროებათ. მერია წუხს, რომ ბიუჯეტის სიმწირის გამო ეს სამუშაოები წლეულს ვერ შესრულდება, თუმცა მომავალი წლის იმედი აქვთ, რასაც ვერ ვიტყვით იგივე მიწისძვრის შემდეგ ღია ცის ქვეშ დარჩენილ ცოცხალ ადამიანებზე – მათ არც მომავალი წლის იმედი აქვთ.

მანამდე კი თბილისს დანგრეულ შენობებთან ერთად გაუწმენდავი, მტვრიანი და და ზოგან დაობებული ქანდაკებებიც „დაამშვენებენ".

■ ■ ■

**თბილისი.** რუსი სკულპტორის გრიგორი პოტოცკის ორმეტრიანი, ბრინჯაოში ჩამოსხმული ღვთისმშობლის ქანდაკება მყინვარწვერზე აღიმართება.

ქანდაკებას 11 სექტემბერს ნიუიორკში მომხდარი ტერორისტული აქტის წლისთავზე აღმართავენ.

სავარაუდოდ, ქანდაკებას მყინვარწვერზე ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან დადგამენ.

■ ■ ■

**თბილისი.** შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ კოდორის ხეობის მოსახლეობის ჯანმრთელობის შემოწმება გადაწყვიტა.

ხეობაში 17 ექიმი და ორი ლაბორანტი გაემგზავრება. იმუშავებს ორი ბრიგადა. ერთი - სტაციონარული, რომელიც პაციენტებს სოფელ აჟარის საავადმყოფოში მიიღებს. მეორე, მობილური ბრიგადა მოემსახურება ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობას.

მოსახლეობას ელექტროკარდიოგრამას გადაუღებენ, გაუკეთებენ ექოსკოპიას, სისხლისა და შარდის ანალიზებს. დარიგდება 75 დასახელების მედიკამენტი.

■ ■ ■

**თბილისი.** უეფას გადაწყვეტილებით, ოთხი ქართველი მსაჯი უეფა-ს თასის მატჩებს მოემსახურება. მერაბ მალაღურიძე, იოსებ შალამბერიძე, ლაშა სილავა და ალექსანდრე შილაკაძე ზაპოროჟიეს "მეტალურგისა" და მალტის "ბირკირკარას" მატჩს განსჯიან.

უეფა-ს თასის მატჩების დაწყებამდე ქართველი არბიტრები თეორიული მეცადინეობისთვის ბორჯომში შეიკრიბებიან. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექციო კომიტეტის ხელმძღვანელები კი ქართველ არბიტრებს ფიზიკურ მომზადებაში შეამოწმებენ.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ივნის-ივლისის სტიქიით გამოწვეული ზარალი, წინასწარი შეფასებით, 14 მილიონ ლარს გადააჭარბებს.

*ონის* რაიონში ზარალმა 146.8 ათასი ლარი შეადგინა. *ლანჩხუთის* რაიონში წვიმებისგან დაიტბორა სახნავ-სათესი ფართობების 75 პროცენტი - დაახლოებით 8 ათასი ჰექტარი, სადაც სოკოვანმა დაავადებებმა იჩინა თავი. ნათესების 30-40 პროცენტი ხელმეორედ უნდა დაითესოს. *გურჯაანის* რაიონს სტიქიამ 8-9 მილიონი ლარის ოდენობის ზარალი მიაყენა. *ზუგდიდის* რაიონში წყალდიდობით გამოწვეული ზარალი 4 მილიონ ლარს აჭარბებს. *ასპინძის* რაიონში სეტყვისა და წვიმების გამო დაზიანდა სოფელ ნაქალაქევის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობები და ზარალმა 535 ათას ლარს გადააჭარბა.

■ ■ ■

**კაუნასი.** საავიაციო ქარხანამ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული "მი-8" ტიპის ვერტმფრენი დაამზადა და დამკვეთს საქართველოში გამოუგზავნა. ვერტმფრენის მხოლოდ სალონის მოწყობა 300 ათასი აშშ დოლარი დაჯდა. ვერტმფრენის მფლობელზე არაფერია ნათქვამი, თუმცა, სავარაუდოდ, დამკვეთი საქართველოდანაა.

■ ■ ■

**კოდორი.** კოდორის ქვემო ხეობაში სოფელ ლათას მახლობლად აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამთო მსროლელთა ასეულმა ტაქტიკური სწავლებები დაიწყო.

გასული წლის ოქტომბერში კოდორის ხეობაში სამთო მსროლელებმა ქართულ-ჩრდილოკავკასიურ დაჯგუფებებთან ბრძოლებისას თავი ისახელეს.

■ ■ ■

**თბილისი.** ჯანდაცვის სამინისტრო არასრულწლოვანი პატიმრებისა და პატიმარი ქალების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას დაიწყებს. მომავალში ასეთი შემოწმება ყველა ტუსაღს ჩაუტარდება.

ეს გადაწყვეტილება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ და იუსტიციის მინისტრმა როლანდ გილიგაშვილმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის სახით გააფორმეს.

მემორანდუმი სასჯელაღსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებების ოპტიმიზაციას, ამ სისტემის თანამედროვე დიაგნოსტიკური აპარატურით აღჭურვას ითვალისწინებს.

■ ■ ■

**თბილისი.** კალიებთან ბრძოლა, ანუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სპეციალური პრეპარატებით დამუშავება დაიწყო,- განაცხადეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში. სპეციალისტები სულ 15 ათას ჰექტარს დაამუშავებენ. სამუშაოები, პირველ რიგში, ჩატარდება კალიების გავრცელების ყველაზე საშიშ ზონებში — სიღნაღში, გურჯაანში, კასპისა და ადიგენის რაიონებში.

ეს ღონისძიებები მაისში უნდა დაწყებულიყო, როცა კალიების კერები უფრო ადვილად გასანადგურებელი იყო, მაგრამ პროგრამის დროულად განხორციელება დაუფინანსებლობის გამო შეფერხდა. დღეისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულია მხოლოდ 200 ათასი ლარი, ანუ პროგრამის ღირებულების 50 პროცენტი.

■ ■ ■

**ახმეტა.** რაიონის პოლიციის უფროსის ავთანდილ თურქიაშვილის მტკიცებით, პანკისის ხეობაში დღეისათვის 1500-დან 2000-მდე ჩეჩნეთიდან დევნილი იმყოფება.

რამდენიმე ხნის წინ ხელახალი რეგისტრაცია ჩატარდა, რის მიხედვითაც ლტოლვილთა რაოდენობა 4 ათასს აღწევს. თურქიაშვილის განცხადებით, დევნილთა შორის ბევრი ადგილობრივი ქისტია, რომლებიც ბოლო წლებში ჩეჩნეთში ცხოვრობდნენ და იძულებული გახდნენ, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.

ჩეჩენი დევნილები ხეობის ადმინისტრაციულ შენობებში არიან დასახლებულნი.

■ ■ ■

**ოჩამჩირე.** 20 ივნისს მომხდარ აფეთქებაში ოჩამჩირლები აფხაზ კრიმინალებს ადანაშაულებენ და ქალაქის აფხაზური ადმინისტრაციის უფროსს ხრიპს ჯობუას გადადგომას ითხოვენ. ამ მოთხოვნაზე ხელისუფლებას ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

აფხაზური მხარე ამ ტერაქტებში ტრადიციისამებრ, ქართველ პარტიზანებს ადანაშაულებს. და რა შუაშია აქ ხრიპსი, გაუგებარია.

■ ■ ■

**ვატიკანი.** წმინდა პეტრეს ტაძრის წინ, კარლოს დიდის დარბაზში ჩატარდა ევროპის სამხატვრო აკადემიათა ფესტივალი-კონკურსი კონცეფციით: "თანამედროვე ევროპელი ადამიანი და მისი დამოკიდებულება რელიგიასთან".

ფესტივალში ევროპის 60 უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელთან და ნატიფ ხელოვნებათა აკადემიასთან ერთად პირველად მონაწილეობდა საქართველოს სამხატვრო აკადემია, რომელიც წარმოდგენილი იყო გია ბუღაძის ფერწერული ნამუშევრით: "ქორწილი კანას გალილეაში", სერიიდან "მუდამ ჩვენთან". საქართველოს სამხატვრო აკადემიას კარლოს დიდის საპატიო მედალი გადაეცა, რომში დარჩენილი ბუღაძის ფერწერული ტილო კი, რელიგიურ თემაზე გამართულ სხვა ფესტივალებში მიიღებს მონაწილეობას.

*"24 საათი"*

■ ■ ■

გუშინ, ზუგდიდში, პრესკონფერენცია გამართეს 2 ივნისს თანამდებობიდან გადამდგარმა გუბერნატორისა და მერის მოადგილეებმა. პაატა დანელია და გია ბერულავა მერობის ერთ-ერთი კანდიდატის, ვახტანგ ცხადაიას, მომხრეები არიან და ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან არჩევნების გაბათილებას ითხოვენ. მათი მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა 32 000-ზე მეტი ამომრჩევლიდან მხოლოდ 13 000-მა მიიღო. უმრავლესობამ დამატებითი სიებით გაიარა რეგისტრაცია. ცხადაიას მომხრეები აცხადებენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა, ფაქტობრივად, ერთ მესამედსაც არ მიუღია. ზუგდიდის ახლადარჩეული მერი და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე როლანდ გვათუა მათ გამოსვლას, რა თქმა უნდა, არ ეთანხმებიან. მეორე ადგილზე გასულ ვახტანგ ცხადაიას პოლიტიკური ძალების იმედი აქვს. მას ტარიელ ქანთარიამ 500 ხმით გაუსწრო. **"ისტორიას არ ახსოვს ასე სამართლიანად ჩატარებული არჩევნები. ძალიან კარგად ვიცი ამ ქალაქის მართვის სირთულეები. გზადაგზა რაც გამოჩნდება, იმ საკითხებსაც მივხედავ. ერთი სიტყვით, ზუგდიდს არავის გავალანძღვინებ. მგონი, საკმარისია და დროა, შეწყდეს ამ ქალქზე ბინძური საუბრები. ჩვენთვის არც კონტრაბანდაა უცხო თემა და არც ბევრი სხვა. ვიცი, რა უნდა ვაკეთო. ვისაც აქ სიმშვიდე არ აწყობს, ის ხალხია სწორედ არჩევნების შედეგების გაუქმების მომხრე,"** — განუცხადა "24 საათს" ტარიელ ქანთარიამ. (ეკა ბაძაღუა)

**პრაიმ-ნიუსი, მედია-ნიუსი, ინტერ-პრესი.**

# სახელმწიფო ხაზინა ბჭობს, ცესკო კი ბიულეტენებს ისევ არ ითვლის

პირველი გვერდიდან

**ამას გარდა:**

**11 სათვალთვალო კამერა და ჩამწერი მოწყობილობა – 9 900 ლარი;**

**ორი კონდიციონერი სხდომათა დარბაზისთვის - 9 900 ლარი;**

**დარბაზში კონდიციონერებისათვის ელექტროკაბელის გაყვანა – 1000 ლარი; საუბნო საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობის ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად საწვავის შეძენა – 2000 ლარი;**

**დასალუქი მასალა (სურგუჩი, თოკი, სკოჩი, შესაფუთი მასალა და სხვა.) – 1000 ლარი;**

**ქსეროქსის ქაღალდი (A3 ფორმატი) - 3 000 ლარი;**

**ქსეროქსის ქაღალდი (A4 ფორმატი) - 5 000 ლარი;**

**ასლგადამღები მანქანა (ტონერი) - 3 000 ლარი;**

**ასლგადამღები მანქანის სათადარიგო ნაწილების შეცვლა და მომსახურება – 3 000 ლარი;**

**საკანცელარიო საქონელი – 1000 ლარი;**

**ბიულეტენების შესანახად სასაწყობო ფართის დაქირავება – 8 000 ლარი;**

**სულ სხვა ხარჯები და მომსახურება – 46 800 ლარი;**

**საერთო ხარჯები კი, როგორც ვთქვით, 74 820 ლარს შეადგენს.**

გუშინ "24 საათი" სახელმწიფო ხაზინის წარმომადგენლებსაც ესაუბრა. ისინი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოთხოვნის შესახებ უკვე ინფორმირებულები არიან იმის მიუხედავად, რომ, როგორც ვთქვით, კომისიას მათთვის ჯერ არ მიუმართავს. საოპერაციო გადარიცხვების განყოფილების უფროსის, გურამ გრიგორაშვილის თქმით, **"მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა. თუმცა, საბოლოო გადაწვეტილება ჯერ არ არის მიღებული. ყველაფერი დამოკიდებული იქნება ფინასთა მინისტრისა და ხაზინის უფროსის ერთობლივ პოზიციაზე. თუკი ისინი ამ საკითხს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სასარგებლოდ გადაწყვეტენ, ჩვენ ამ თანხას კომისიის ანგარიშზე დაუყონებლივ გადავრიცხავთ".**

ამის მიუხედავად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის საფინანსო განყოფილების წარმომადგენლებს ეეჭვებათ, რომ ხაზინამ მათ ეს თანხა გამოუყოს. მით უფრო, რომ იმ სტამბებს, სადაც 2 ივნისის არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენები და კონვერტები დაიბეჭდა, ფული ჯერაც არ მიუღიათ. ამასთან, ხაზინისაგან მოთხოვნილი თანხა საკმაოდ სოლიდურია და, უკეთეს შემთხვევაში, მას განახევრება ელოდება. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მხოლოდ ის ეიმედება, რომ ეს თანხა მათთვის განკუთვნილი 1 400 000-დან უნდა გამოიყოს, რადგან მისი ათვისება კომისიამ ვერა და ვერ მოახერხა. სხვა საქმეა, რა პოზიციას დაიკავებს ფინანსთა სამინისტრო. შესაძლოა, მათი ჭიდილი იმდენ ხანს გაგრძელდეს, რომ თავად დათვლის პროცედურის აუცილებლობა ყველას გადაავიწყდეს, რისი წინააღმდეგი, საბოლოო ჯამში, ალბათ, არც ცენტრალური საარჩევნო კომისია და არც თავად სამინისტრო უნდა იყვნენ.

# პოლიტიკური პარტნიორის სტუმრობა



*ავთანდილ ჯორბენაძე სახელმწიფო მინისტრის რანგში პირველად იღებს ამ დონის სტუმარს*

ბესო გულაშვილის ფოტო

თამარ ხორბალაძე

**"საქართველოში ასეთი ფართო შემადგენლობით უკრაინის დელეგაცია ჯერ არ ჩამოსულა",** - ამის შესახებ გუშინ თავად უკრაინის წარმომადგენლებმა განაცხადეს უკრაინისა და ქართული საქმიანი წრეების შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი და უკრაინის პრემიერ-მინისტრი ესწრებოდნენ.

საერთო სტრატეგიული პარტნიორებისა და საერთო სტრატეგიული მოწინააღმდეგეების არსებობიდან გამომდინარე, საქართველოსა და უკრაინის პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორობა, რასაც მსგავსი შეხვედრები კიდევ უფრო აღრმავებს, აშკარა კოზირია. ამ კოზირის გათამაშება ორივე ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე არაერთხელ უცდია და, სავარაუდოდ, კიდევ არაერთხელ შეეცდება.

უკრაინის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი, რომელიც საქართველოში 15 ივლისს დაიწყო და რომლის ძირითადი ოფიციალური თემატიკა ეკონომიკურია, პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე საინტერესო პერიოდს დაემთხვა.

19-20 ივლისს კიევში დაგეგმილია სუუამ-ის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტი, რომელსაც ერთი "უ", კერძოდ უზბეკეთი უკვე აკლია. მართალია, ედუარდ შევარდნაძემ ტრადიციულ რადიოინტერვიუში ორშაბათს განაცხადა, რომ ეს "დროებითი მოვლენაა", მაგრამ ცხადია, რომ უზბეკეთის გასვლა ამ ორგანიზაციიდან რეალურზე რეალური პერსპექტივაა. ამას დაუმატეთ შიდაპოლიტიკური ცვლილებები მოლდოვაში და ცხადი ხდება, რომ სუუამის მომავალი მნიშვნელოვნად გახლავთ დამოკიდებული აზერბაიჯანის, საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლების მყარ პოზიციასა და აქტიურობაზე.

სხვათა შორის, ამის თაობაზე ამ დღეებში განცხადება გააკეთა აშშ-ს ელჩმა უკრაინაში კარლოს პასკუალმა. მან აღნიშნა, რომ აშშ სუუამ-ისაგან ახალ იდეებსა და ახალ პროექტებს ელის. მანვე აღნიშნა ის ფაქტი, რომ სამიტს დაესწრება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, ელჩი უილიამ ტეილორი.

ამ განცხადებებიდან და სუუამის ირგვლივ შექმნილი არცთუ სახარბიელო მდგომარეობიდან გამომდინარე, მომავალი სამიტს ექსპერტები ძალიან დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ. მას გარდამტეხსაც უწოდებენ.

ამიტომ ის ფაქტი, რომ თბილისში სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე უკრაინის პრემიერ-მინისტრი ანატოლი კინახი სტუმრობს, მომავალი "იდეებისა და პროექტების" საბოლოოდ შეთანხმების კონტექსტშიც უნდა იქნას განხილული. მით უფრო, რომ უკრაინულ დელეგაციაში წარმოდგენილი გახლავთ სახელმწიფო ჩინთა და ბიზნესმენთა დიდი სპექტრი, განათლების და კულტურის მინისტრებით დაწყებული და უკრაინის შეიარაღებული ძალების შეიარაღების უფროსის მოადგილით დასრულებული.

პრემიერ-მინისტრი გუშინ შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს. ამ შეხვედრების დროს, ოფიციალური პროტოკოლის ენაზე, "განხილულ იქნა საკითხთა ფართო სპექტრი". ვიზიტის საბოლოო ოფიციალური შედეგები ჟურნალისტებისთვის დღეს დაგეგმილ პრეს-კონფერენციაზე შეჯამდება.

თუმცა, ვიზიტის ძირითადი მიზანი ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება და ერთობლივი ეკონომიკური პროექტების მომზადება გახლდათ. ამ მიზანს ემსახურებოდა გუშინ საქართველოში გახსნილი "საქართველო-უკრაინის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის" სხდომა და ორი ქვეყნის საქმიანი წრეების ბიზნეს-ფორუმიც.

უკრაინასა და საქართველოს შორის დღეს არსებული ბიზნეს-აქტივობის შესახებ კონკრეტული ციფრები გუშინ გადასახადის გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა გაახმოვანა. მისი ინფორმაციით, ბოლო ხუთ წელში უკრაინასა და საქართველოს შორის ტვირთბრუნვა 44 მილიონიდან 60 მილიონამდე მერყეობდა. დღემდე სულ შექმნილია 22 ერთობლივი საწარმო და საქართველოში ფუნქციონირებს უკრაინული ფირმების სულ 9 წარმომადგენლობა. ამასთან, ძალზე მწვავედ დგას ქართული პროდუქციის ფალსიფიცირების საკითხი უკრაინის ბაზარზე.

შეხვედრებზე აღინიშნა, რომ ეს მონაცემები სტრატეგიულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორებად მოაზრებული ქვეყნებისთვის, მათი პოტენციალიდან და თუნდაც უკრაინული ბაზრის მასშტაბებიდან გამომდინარე, საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება.

უკრაინის პრემიერ-მინისტრმა გუშინ თქვა, რომ 2002 წლის განმავლობაში საქართველოსა და უკრაინას შორის ტვირთბრუნვა 34 პროცენტით გაიზარდა, თუმცა, ეს მაინც მინიმალური გახლავთ. მისივე ინფორმაციით, უკრაინა დაინტერესებულია თანამშრომლობით უპირატესად მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკის, ნავთობმრეწველობის, კავშირგაბმულობის დარგებში.

ეკონომიკურ საკითხზე მსჯელობისას ორი ქვეყნის ურთიერთობებში პოლიტიკური პარტნიორობის ელემენტების სიჭარბის დასტური გახლდათ უკრაინის პრემიერ-მინისტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ **"უკრაინა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი-ს ნავთობსადენს არ განიხილავს უკრაინაში მშენებარე ნავთობსადენის კონკურენტად".** მეტიც - მან საქართველოს მხარეს ოდესა-ბროდიგდანსკის ნავთობსადენის მშენებლობის შემდგომ ეტაპზე საერთაშორისო კონსორციუმში შესვლა შესთავაზა.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჭუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# „ნაციონალებმა" ვერც მამალაძე მოხსნეს და ვერც საკრებულოს სხდომა დანიშნეს

თამარ მჭედლიშვილი

***გუშინ "ნაციონალურმა მოძრაობამ" მუქარა არ შეასრულა და ქვემო ქართლში საპროტესტო აქციათა ტალღა არ ააგორა. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა მათ ულტიმატუმს აშკარად წაუყრუა და ქვემო ქართლში საკუთარი რმწუნებული ლევან მამალაძე თანამდებობიდან არ გაანთავისუფლა. მეტიც – როგორც სახელმწიფო კანცელარიაში "შინაურულად" აცხადებენ, პრეზიდენტს ასეთი გადაწყვეტილების მიღება ჯერჯერობით დაგეგმილი არ აქვს.***

ლევან მამალაძის გარემოცვისთვის სააკაშვილის გუნდის გუშინდელი პასიურობა მოულოდნელი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, როგორც "24 საათთან" საუბრისას ფრაქცია "ალიანსი ახალი საქართველოსთვის" თავმჯდომარემ ირაკლი გოგავამ განაცხადა: **"მათთვის ისედაც ცნობილი იყო, რომ ნაციონალური მოძრაობა" ქვემო ქართლში ვერაფერს მოახერხებდა. მეტიც - მოსახლეობა მათ მხარს არ აუბამდა".**

თავად "ნაციონალები" ბოლო ორი დღის განმავლობაში ერთმანეთის გამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ. ლევან ბერძენიშვილი ამბობს, რომ რუსთაველ "ნაციონალებს" ლევან მამალაძის წინააღმდეგ საბრძოლველად საკუთარი ძალებიც ეყოფათ, ვანო მერაბიშვილი კი ლევან მამალაძის გადაყენების მოთხოვნას აღარ სჯერდება და უკვე პრეზიდენტს უტევს.

ერთი სიტყვით, "ნაციონალები" ერთიან პოზიციას ჯერჯერობით ვერ აყალიბებენ. ყველაფერი, ალბათ, იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს მათი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ამჟამად საქართველოში არ იმყოფება. მისი თანამებრძოლები ვერც მის სამშობლოში დაბრუნების თარიღს ასახელებენ და ვერც ევროპის იმ ქვეყანას, სადაც სააკაშვილი გაემგზავრა. თუმცა, როგორც კობა დავითაშვილმა "24 საათს" განუცხადა, სააკაშვილი საქართველოს მალე დაუბრუნდება.

ლევან მამალაძის გარდა, "ნაციონალურ მოძრაობას" მეორე, საკმაოდ სერიოზული პრობლემაც აქვს გადასაჭრელი. ცენტრალური საარჩევნო კომისია თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომის დანიშვნას არ აპირებს. გუშინ "ნაციონალებმა" საკმაოდ დიდხანს იმსჯელეს ამ პრობლემის ირგვლივ. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ცენტრალური სარჩევნო კომისია მაინც დაელოდება უზენაესი სასამართლოს მიერ სახალხოელების საკასაციო სარჩელის განხილვას. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სასამართლო პროცესი, შესაძლოა, ერთი თვის შემდეგაც გაიმართოს და ამით არც ერთი იურიდიული ნორმა არ დაირღვეს.

"24 საათი" ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყოფილების გამგეს ელდარ გოგიაშვილს დაუკავშირდა. **"ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს, თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა დავნიშნოთ. ვალდებულები ვართ, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდოთ. შესაძლოა, სასამართლო პროცესი ორი-სამი კვირის შემდეგაც შედგეს, მაგრამ ჩვენ მის გადაწყვეტილებას აუცილებლად უნდა დაველოდოთ",** - ამბობს ელდარ გოგიაშვილი.

# ნატოსკენ სავალ გზაზე მეზობლებმა გაგვასწრეს

## ჩრდილოატლანტიკური ალიანსი საქართველოს უყურადღებოდ მაინც არ ტოვებს

გიორგი ასანიშვილი

*27-29 სექტემბერს საქართველოში ჩამოვა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სოლიდური დელეგაცია ასი კაცის შემადგენლობით, რომლებიც ქართველ პარლამენტარებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ კავკასიის უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ სემინარში.*

ამის თაობაზე შეთანხმება მიღწეულ იქნა ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარის, გიორგი ბარამიძის, ბრიუსელში ამასწინდელი ვიზიტის დროს. პარლამენტარის თქმით, მას, როგორც ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში ყოფნისას შეხვედრები ჰქონდა ალიანსის სოლიდურ პერსონებთან: ნატოს პოლიტიკური და ეკონომიკური დეპარტამენტების თავმჯდომარეებთან, ნატოში აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და საფრანგეთის ელჩებთან, ნატოს საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელობასთან, ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწესთან...

გიორგი ბარამიძეს მნიშვნელოვნად მიაჩნია ის გარემოებაც, რომ ბრიუსელში უკვე სერიოზულად საუბრობენ თბილისში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენლობის გახსნაზე, რომელიც მთელი კავკასიის რეგიონს "მოემსახურება."

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე არ უარყოფს, რომ საქართველოს ხელისუფლებასაც ნატოსკენ შემხვედრი კურსი აქვს აღებული, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ამ მხრივ ყველაფერი მაიცდამაინც კარგად ვერ მიდის და სამომავლო პერსპექტივები უღრუბლო სულაც არ არის. ბარამიძე განსაკუთრებით ბევრ ხარვეზს ხედავს თბილისსა და ბრიუსელს შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობებში. **"ერთი მხრივ, დამაიმედებელია, რომ წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული სამხედრო პროგრამა წარმატებით ხორციელდება და ამით საფუძველი ეყრება ქართული არმიის გადასვლას ნატოს სტანდარტებზე, მაგრამ მეორე მხრივ, შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ბიუჯეტიდან სათანადოდ ვერ ფინანსდება. ნატოში შესვლა თუ გვინდა, ეს ძალიან დიდ პრობლემებს შეგვიქმნის. არადა, ჩრდილოატლანტიკური ბლოკი დღეს, ისე როგორც არასდროს, ღიაა ახალი ქვეყნების მისაღებად,"** - აღნიშნავს ბარამიძე.

თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ პარლამენტარი იმ ფაქტსაც იშველიებს, რომ ნოემბერში, ნატოს პრაღაში დაგეგმილ სამიტზე, მიწვეულნი არიან: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი და რუმინეთი. მართალია, ამ ფორუმზე ზემოთ დასახელებულ ქვეყნებს ალიანსის რიგებში ოფიციალურად არ მიიღებენ, მაგრამ პრაღის სამიტის შემდეგ ნატოში მათი გაწევრიანება ფორმალობაღა იქნება.

ბარამიძეს გული წყდება იმ გარემოებაზე, რომ ნატოსკენ სავალ გზაზე საქართველოს იმ ქვეყნებმაც გაასწრეს, რომლებიც არც თუ დიდი ხნის წინათ ჩვენი ქვეყნის "უკან" მოიაზრებოდნენ. ამის მაგალითად პარლამენტარი ასახელებს უკრაინას, რომლის უშიშროების საბჭომაც ორიოდე კვირის წინათ ნატოში გაწევრიანების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება და ოფიციალური კიევის ამ განაცხადს პრაღის სამიტზე განიხილავენ.

# მორატორიუმის ვადა იწურება

სოფო ბუკია

*1 აგვისტოს იწურება მორატორიუმი, რომელიც აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ შვიდი თვის წინ გამოაცხადა. აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ დადო პირობა, რომ ამ ხნის განმავლობაში არ ჩაერეოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებულ არც ერთ საერთაშორისო მოლაპარაკებაში, ანუ ხელისუფლებას მისცა კიდევ ერთი შანსი მშვიდობიანი გზით აფხაზეთის საკითხის გადასაწყვეტად. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ეს შანსი ვერ გამოიყენა. ბერლინში გამართულ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის მეთერთმეტე სესიაზე კი რუსულმა მხარემ საერთოდაც დაბლოკა აფხაზეთის საკითხი. ასეთ პირობებში ნადარეიშვილის ხელისუფლება საკუთარი გეგმის ამოქმედებას აპირებს. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით შეგროვდა მილიონ ორასი ათასი ხელმოწერა. ხელმომწერები მთლიანად ეთანხმებიან და ენდობიან ნადარეიშვილსა და მის მთავრობას და აფხაზეთის დასაბრუნებელ ერთადერთ გზად ძალისმიერი მეთოდები ესახებათ. ბოლო ხელმოწერა გუშინდელ სხდომაზე ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორმა ელდარ კურტანიძემ გააკეთა.*

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ნადარეიშვილმა კიდევ ერთხელ დასახა აფხაზეთის ძალისმიერი გზებით დაბრუნების პერსპექტივა. იგი გაეროს წესდების მეშვიდე მუხლის ამოქმედებას ითხოვს, სადაც საუბარია მშვიდობის იძულების წესით დამყარებაზე. **"მორატორიუმს მოვხსნით პარტიზანულ მოძრაობაზე. ყოველთვის მხარს ვუჭერდით და მომავალშიც წავახალისებთ პარტიზანულ მოძრაობას. დაუშვებელია, რომ სოხუმში დამსვენებლები ისვენებდნენ, როცა ქართველები იქ არ ვართ. ჩვენ ომის პროპაგანდას არ ვეწევით, როგორც ამას ზოგიერთები გვაბრალებენ; უბრალოდ, სხვა გზას ვერ ვხედავთ,"**- აცხადებს იგი. ნადარეიშვილს არ სჯერა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები რაიმე ღირებულს გააკეთებენ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის დასარეგულირებლად. **"მათ არც მწვადის დაწვა სურთ და არც შამფურის... არც რუსეთს აწყენინონ, არც აფხაზებს, არც ქართველებს... ასე საქმე არ გაკეთდება,"**- დარწმუნებულია ნადარეიშვილი.

გაეროს უშიშროების საბჭოს 31 ივლისს დაგეგმილ სხდომაზე წასასვლელად აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ლონდერ ცაავა ემზადება. იგი აღნიშნული შეხვედრიდან რევოლუციურ გარდატეხებს არ მოელის. ნიუ-იორკში ცაავა ბროშურად გამოცემული მილიონ ორასი



თამაზ ნადარეიშვილი ომის გარდა სხვა გზას ვერ ხედავს

ათასი ხელმოწერითა და ასგვერდიანი ფაქტობრივი მასალით ხელდამშვენებული მიდის. ასგვერდიან ფაქტობრივ მასალაში საქართველოსა და აფხაზეთის გენერალური პროკურატურების მირ მოძიებული მასალები იგულისხმება, სადაც დადასტურებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდა და გენოციდი. ამ მასალებს ცაავა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს წარუდგენს.

აგვისტოს დასაწყისში ნადარეიშვილი და მისი უწყება გადამწყვეტ სესიას გეგმავენ. საზაფხულო არდადაგებიდან დაბრუნებულ საქართველოს პარლამენტს კი პირველივე სხდომაზე ყოველგვარი დებატების გარეშე მოსთხოვენ აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას. **"აფხაზეთის მთავრობას კონფლიქტის მოგვარების საკუთარი კურსი აქვს,"**- აცხადებს ნადარეიშვილი და საქართველოს მთავრობას კონფლიქტის მოგვარების გზებს უწუნებს. ამავე დროს "24 საათთან" საუბარში ლონდერ ცაავა აღნიშნავს, რომ აფხაზეთის მთავრობა არ აპირებს, ზოგად სახელმწიფოებრივ კურსს დაუპირისპირდეს.

ბოლო დროს ისევ ალაპარაკდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს გაუქმებაზე. საინიციატივო სიომ ამჯერად ბათუმიდან დაუბერა. აჭარის ხელისუფალმა აღნიშნული ინიციატივა ევროსაბჭოშიც გააცხადა. ამ მოთხოვნაზე ნადარეიშვილი მწვავედ რეაგირებს და მას პრორუსულს უწოდებს. ნადარეიშვილი დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმებასთან ერთად დაიმარხება აფხაზეთში დაბრუნების იდეაც. **"მათ სურთ, ცხინვალის ვარიანტი გაითამაშონ. ცხინვალს არც დეპუტატები ჰყავს, არც პარტიზანები... მოკლედ, არავის არ აწუხებენ..."**- ამტკიცებს ნადარეიშვილი და ამბობს, რომ ლეგიტიმური ხელისუფლების გაუქმებასთან ერთად იმ გაყვითლებულ ლოზუნგებსაც ჩამოხსნიან, რომლებიც შეახსენებს ხოლმე ხალხს, რომ აფხაზეთი დასაბრუნებელია.

კონკრეტულად როგორ აპირებს ნადარეიშვილი აფხაზეთის დაბრუნებას, აგვისტოს საგანგებო სესიაზე გახდება ცნობილი. თუმცა, იგი იმთავითვე მიუთითებს, რომ ორიენტირებული იქნება ძალისმიერ მეთოდებზე.



უმაღლესი საბჭოს სხდომა

იური ლობოდინის ფოტოები

რეპლიკა

# აღლუმი დამარცხებულთათვის

ვერიკო თევზაძე

*სამხედრო აღლუმები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის, აღსანიშნავად 1997 წლამდე ტარდებოდა, საშუალოდ მილიონ 200 ათასი ლარი ჯდებოდა. ეს მონაცემები თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურმა მოგვაწოდა. საქართველოს პრეზიდენტის ბოლოდროინდელი რადიოინტერვიუდან ვიგებთ, რომ მომავალი წლიდან "სამხედრო აღლუმების რეგულარულად გამართვის ტრადიცია აღდგება." ფაქტია, რომ განახლებული დღესასწაულები ბიუჯეტს ძვირად დაუჯდება. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას ვზეიმობთ?*

ამ საკითხთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროს პოზიცია ასეთია: **"დღევანდელ ვითარებაში სრულმასშტაბიანი აღლუმების მოწყობას საჭიროდ არ მივიჩნევთ. აუცილებელი არ არის ღონისძიებაში ავიაციის ჩართვა და მძიმე ტექნიკის დემონსტრირება. ეს ხანგრძლივ მოსამზადებელ პერიოდს და დიდძალ ხარჯებს მოითხოვს. აღლუმს შეიძლება სიმბოლური დატვირთვა ჰქონდეს. მასში მონაწილეობას მიიღებენ კურსანტები, კადეტები, რასაკვირველია, ორკესტრის თანხლებით. ამგვარი დღესასწაულები (იგი უმნიშვნელო ფინანსურ დანახარჯებს უკავშირდება) დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის განწყობაზე. სრულმასშტაბიანი დემონსტრაციების ჩატარება მისაღებია იმ შემთხვევაში, როცა ქვეყნის ბიუჯეტი ამის საშუალებას იძლევა. ვეჭვობ, რომ დღეს ეს ასე იყოს. საერთოდ, მსგავსი საკითხი ქვეყნის პრეზიდენტმა და მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს,"** – განუცხადა "24 საათს" თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა მირიან კიკნაძემ.

რაც შეეხება ქვეყნის პრეზიდენტს, იგი ნაკლებად ეჭვობს, რომ ჩვენ ფართომასშტაბიანი სამხედრო აღლუმების მოწყობის საშუალება არ გაგვაჩნია. **"ვფიქრობ, ბიუჯეტი მოგვცემს ამის საშუალებას,"** - აცხადებს ბატონი შევარდნაძე და იქვე დასძენს: **"თავდაცვის მინისტრთან ერთად მივიღე გადაწყვეტილება, მომავალი წლიდან აღვადგინოთ სამხედრო აღლუმების რეგულარულად გამართვის ტრადიცია."**

შევარდნაძე, ბატონი კიკნაძისგან განსხვავებით, მომავალი წლის სამხედრო აღლუმს მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას როდი ანიჭებს. ედუარდ შევარდნაძის აზრით, აღლუმი საშუალებას მოგვცემს, **"თვალნათლივ ვიხილოთ, რა გაკეთდა ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს შეიარაღებულ ძალთა აღჭურვის და გაწვრთნილობის დონის ასამაღლებად."** "დონის" წარმოჩენა მარტოოდენ კურსანტების საზეიმო სვლებითა და ორკესტრის საშემსრულებლო მონაცემებით, რასაკვირველია, ვერ მოხერხდება. ერთი სიტყვით, მომავალ სამხედრო აღლუმებს საქართველოს პრეზიდენტი და თავდაცვის სამინისტრო სხვადასხვაგვარად აღიქვამენ. თუმცა, გაუგებრობას იწვევს ის, რომ პრეზიდენტი აცხადებს: გადაწყვეტილება თავდაცვის მინისტრთან ერთად მივიღეო.

რადიოინტერვიუში ბატონი პრეზიდენტი ბრძანებს: **"რაც უფრო ძლიერი, კარგად გაწვრთნილი, პროფესიულად მომზადებული და ბრძოლისუნარიანი იქნება საქართველოს არმია, მით უფრო მეტი შესაძლებლობა იარსებებს აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის. სწორედ ეს გახლავთ ამ ღონისძიების დედაარსი."**

პირველი: გაწვრთნილი და პროფესიული არმიის არსებობაში რომ დავრწმუნდეთ, ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი გრანდიოზული აღლუმი მოვაწყოთ და ჯარისკაცები რესპუბლიკის მოედანზე ჩავატაროთ.

მეორე: თუ ღმერთი გწამთ, სად არის ეს გაწვრთნილი და პროფესიული არმია? ხომ არ გვავიწყდება, რომ დღეისთვის ქვეყნის ბიუჯეტი ქართული ჯარის განვითარებისთვის მხოლოდ 33 მილიონ ლარს იმეტებს. ეს თანხა, ჯერჯერობით, საკმარისი არ არის საიმისოდ, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა ნორმალურად დაიბანონ პირი. სხვათა შორის, ამაზე წერა კი არ არის ჯარისკაცების შეურაცხყოფა (ეს ტენდენცია საკმაოდ მყარად დამკვიდრდა ჩვენს საზოგადოებაში), არამედ ჯარისკაცებს მაშინ შეურაცხვყოფთ, როცა პირის დაბანის საშუალებას არ ვაძლევთ.

მესამე და მთავარი: 1997 წლიდან მოყოლებული, ჩვენში სამხედრო აღლუმები არ გამართულა. მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა, დამარცხებულ ქვეყანაში აღლუმების ჩატარება მიზანშეწონილად არ მიმაჩნიაო. ახლა მისივე ინიციატივით სამხედრო აღლუმების ტრადიციას კვლავ ვუბრუნდებით. საინტერესოა, როდის და სად გავიმარჯვეთ?

# სკანდალები ვერც ამერიკულ და ვერც ქართულ საფონდო სფეროებს ვერაფერს დააკლებს

ზვანცა ქვინიკაძე

*ენერგოგიგანტ "ენრონის" გაკოტრებით დაწყებულმა სკანდალებმა ამერიკული ფინანსური ბაზრისადმი და ბიზნესის წარმოების ამერიკული სტილისადმი ასწლოვანი ნდობა სერიოზულად შეარყია. ფინანსური აღრიცხვიანობის სიმკაცრის, კორპორატიული მართვის გამჭვირვალობისა და სხვა პრინციპებმა, რომლებსაც ეს დიდი სახელმწიფო განვითარებად და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის - საქართველოშიც, ფინანსური ბაზრების ჩამოყალიბებისას ნერგავდა, თავად ამერიკაშივე დატოვა დამანგრეველი "ხვრელები". ასეთ სიტუაციაში, საინტერესოა, არასასურველად აისახება თუ არა ზემოხსენებული პრინციპების მოქმედებაში გამოვლენილი ნაკლოვანებები საქართველოში უკვე არსებულ საფინანსო ინსტიტუტებზე, მით უმეტეს, რომ ამ ფაქტორების უარყოფითი მხარეების გავლენის გაძლიერებას, შესაძლოა, ქართული ეკონომიკური გარემოს სისუსტემაც შეუწყოს ხელი.*

საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსური სფეროსადმი დაინტერესება ამერიკის მთავრობამ კარგა ხნის წინ გამოხატა. 90-იანი წლების ბოლოს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სექტორის რეფორმირება და ჩამოყალიბებაც კი დაიწყო. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და მსხვილბიუჯეტიანი პროექტი სწორედ "საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების" პროექტი იყო, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კანონმდებლობა. მაშინ აშშ იმდენად იყო დაინტერესებული საქართველოში საფონდო ბაზრის განვითარებით, რომ მიზნის მისაღწევად ხარჯებს არ ერიდებოდა. შედეგად, საქართველოში ამერიკულ პრინციპებზე აწყობილი ის სისტემა მივიღეთ, რომელსაც ბოლო პერიოდში თავად ამერიკაში შეერყა რეპუტაცია. საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი ლოლაძე** აშშ-ში განვითარებულ მოვლენებში ტრაგიკულს ვერაფერს ხედავს და მიაჩნია, რომ, მართალია, ისინი ამ მექანიზმებში გარკვეული ხარვეზების არსებობაზე მიუთითებს, მაგრამ მათ გამო სისტემაში განსაკუთრებულად სერიოზული ცვლილებების განხორციელების საჭიროება არ არსებობს. **"თავად ის ფაქტი, რომ ეს გახმაურებული დარღვევები დაფიქსირდა, მეტყველებს ამერიკული კორპორატიული სისტემის სიძლიერეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტები ან ვერ გამოვლინდებოდა, ანდა მათ გამომზეურებას წლები დასჭირდებოდა,"** – განაცხადა ლოლაძემ. ამის გათვალისწინებით იგი არც ქართულ ანალოგიურ სისტემაში ხედავს მნიშვნელოვანი ცვლილებების საჭიროებას. **"საფონდო სფეროში რადიკალურად შესაცვლელი არაფერია. უბრალოდ, ის, რაც ამჟამად კეთდება, უფრო კარგად და თანმიმდევრულად უნდა გაკეთდეს,"** – დასძინა ლოლაძემ.

ამ მხრივ ფინანსური ანგარიშგების წარმოების წესებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის დაშვებულ უზუსტობებზე პასუხისმგებლობის გამკაცრებას, რასაც ამერიკაში, პრაქტიკულად, უკვე მიაღწიეს, დიდი მნიშვნელობა აქვს. ლოლაძე დარწმუნებულია, რომ ასეთი ხმაურიანი სკანდალების შემდეგ, რომელმაც მსოფლიოს უდიდესი კომპანიები და აუდიტორულ კომპანიათა დიდი ხუთეულის ერთ-ერთი წევრი "არტურ ანდერსენი" "შეიწირა", ფინანსური ანგარიშების შედგენასა და შემოწმებას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდებიან.

ამერიკაში განვითარებული მოვლენების ფონზე იქაური ინდექსების ვარდნას არც ევროპულები ჩამორჩნენ, თუმცა სკანდალები ევროპულ ბაზრებზე არ დაფიქსირებულა. ამის მიუხედავად, ევროპული კორპორატიული პრინციპების ამერიკულთან შედარებით რაიმე უპირატესობაზე საუბარს საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არამართებულად მიიჩნევს. ეს ის იშვიათი გამონაკლისი შემთხვევაა, როცა ექსპერტები საქართველოს ევროპულ პრინციპებზე ორიენტაციის აღებას არ ურჩევენ. უფრო მეტიც, ლოლაძე არ გამორიცხავს, რომ აშშ-ში დაფიქსირებული დარღვევების ანალოგები ევროპულ ბაზარზეც არსებობს, მაგრამ მათ გამომჟღავნებას ამ სისტემის არასაკმარისი სრულყოფილება უშლის ხელს. ამის დასტურად, მას ცნობილი გერმანული და ამერიკული საავტომობილო გიგანტების, "დაიმლერ ბენცისა" და "კრაისლერის" გაერთიანება მოჰყავს. მაშინ სწორედ ამერიკული სტანდარტების გერმანული ფინანსური ანგარიშებისადმი მიყენებამ გამოავლინა ამ უკანასკნელთა სერიოზული ხარვეზები. **"საფონდო ბაზარი თავისი ბუნებით ზედმეტად ფრთხილია, მაგრამ მომხდარი ჩავარდნა, ამერიკული საფონდო ბაზრის ასწლოვანი წარმატებული ფუნქციონირების ფონზე, არაფერს ნიშნავს. მიუხედავად ვარდნებისა, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფონდო ინდექსის, დოუ ჯონსის საშუალო წლიური ზრდა ბოლო 70 წლის მანძილზე 10-11 პროცენტს შეადგენს,"** – განაცხადა ლოლაძემ. ამის გათვალისწინებით, იგი მხოლოდ მიესალმება იმ ფაქტს, თუ ამერიკის მთავრობა საქართველოს საფონდო ბაზრის განვითარებაში კვლავ აქტიურად ჩაერთვება. ლოლაძის თქმით, ამ სფეროში ამერიკელების დახმარებით ბევრი რამ არის გაკეთებული, თუმცა, კიდევ ბევრი რამ ჯერაც დასახვეწია. უპირველეს ყოვლისა, ლოლაძე საქართველოში არასაბანკო ფინანსური სექტორის განვითარების აუცილებლობას ხედავს. საინვესტიციო ბანკების, საპენსიო ფონდებისა და სხვა მსგავსი პროფილის ინსტიტუტების შექმნა და ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საფონდო ბაზრის განვითარებას და მასში ჩვეულებრივი მოქალაქეების ჩართვას. ლოლაძე, ასევე, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, რათა მის ყურადღებას, ამჟამინდელივით, მხოლოდ ბირჟებზე მომხდარი სკანდალები კი არ იპყრობდეს, არამედ მათ არსშიც კარგად ერკვეოდეს.

# "არმენტელი" სომხეთის მობილური ქსელის გაფართოებაში 39.4 მილიონი დოლარს დებს

სომხეთის სატელეკომუნიკაციო მონოპოლისტი "არმენტელი" 39.4-მილიონიან ინვესტიციას განახორციელებს ქვეყნის მობილური კავშირგაბმულობის ქსელის გაფართოებისა და ახალი მომსახურების შეთავაზებისთვის. ასეთი გადაწყვეტილება კომპანიამ სომხეთის ტერიტორიის 85 პროცენტის GSM-ის ქსელით დაფარვის დაჩქარებისა და 200 ათასამდე აბონენტის მომსახურების შესაძლებლობების გაზრდის გამო მიიღო.

"არმენტელი" 30 აგვისტოდან GSM-ის ქსელში ახალი აბონენტების ჩართვეს გეგმავს. ეს პროცესი კომპანიას მაისიდან შეწყვეტილი ჰქონდა. ამასთან, აბონენტების ჩართვა მოხდება როგორც სახელშეკრულებო ბაზაზე, ასევე, პრინციპით -- Easy card.

"არმენტელის" აქციების 90 პროცენტი ბერძნულმა კომპანია "ოტემ" 142.47 მილიონ დოლარად საერთაშორისო კონკურსის წესით 1997 წელს შეიძინა. დანარჩენი 10 პროცენტი სომხეთის მთავრობის კუთვნილებაში დარჩა. ხელშეკრულების თანახმად, "არმენტელმა" დარგის მონოპოლისტის სტატუსი 15 წლის ვადით მიიღო.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 11–17 ივლისის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.637 | 0.6423 | 0.0055 |
| US$ | 1.5698 | | 1.0086 | 0.0086 |
| €uro | 1.5568 | 0.9914 | | 0.0086 |
| ¥en | 181.72 | 115.74 | 116.71 | |

2002 წლის 17 ივლისიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.2023 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4401 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5002 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1900 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3098 ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1883 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0694 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4488 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3766 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.1104 ლარი |

# "თბილგაზის" ავარიებში დამნაშავე "საქგაზია"

## არასამთავრობოები და მერია მტყუან-მართლის გარკვევას სასამართლოში ამჯობინებენ


*ვანო ზოდელავა*

სოფიკო ოხანაშვილი

*ბუნებრივი აირის მოსახლეობისათვის მიწოდების საკითხის მოგვარებით არასამთავრობო სექტორიც დაინტერესდა. გუშინ მათი მოთხოვნით მერიაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მერთან მოლაპარაკებას, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელების გარდა, "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა და თბილისის პრემიერიც ესწრებოდნენ. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა წარიმართა.*

უმოკლეს ვადებში აღდგენითი სამუშაოების დამთავრება და დედაქალაქისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება, "თბილგაზის" მენეჯმენტის შეცვლა, "საქგაზის" გენერალური დირექტორის, ლეონიდ დეიკალოს ქმედების კანონმდებლობით გაკონტროლება, მოსახლეობის მიერ გაზის საფასურის ბანკში გადახდის მექანიზმის შემოღება – აი, ის ძირითადი წინადადებები, რაზეც არასამთავრობო ორგანიზაციებმა გუშინ გამართულ შეხვედრაზე იმსჯელეს. **"ქალაქის მერთან იმიტომ მოვედით, რომ გაზის საკითხით, პირველ რიგში, მოსახლეობაა შეშფოთებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ არ მოხდა "თბილგაზის" მენეჯმენტის საფუძვლიანი შეცვლა, ამჟამად არსებული პრობლემები სხვა დროსაც გამეორდება. მთავარია, რომ მერიამ, თავის სამსახურებთან ერთად, გადახედოს და შეისწავლოს "თბილგაზთან" დაკავშირებული რეალური პრობლემატიკა",** - აღნიშნა არასამთავრობო სექტორისა და მთავრობის ურთიერთობათა ეროვნული ცენტრის თავმჯდომარემ, **ნიკა გელაშვილმა.**

"თბილგაზის" მენეჯმენტის საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს თბილისის მერს, **ვანო ზოდელავას**. მისი თქმით, პრობლემას "თბილგაზის" მენეჯმენტის შეცვლით არაფერი ეშველება, თუმცა იგი არც ამ საკითხის მოგვარების აუცილებლობას უარყოფს. **"მენეჯმენტი ცალსახად მოსაგვარებელია. "თბილგაზის" მენეჯმენტს, მასთან ერთად, USAID-ი ახორციელებს. ეს მთელი კომპლექსია. მე არ გამოვრიცხავ, რომ ინკასატორების ინსტიტუტში კორუფციას აქვს ადგილი. ჩვენ ძალიან ბევრი ინკასატორი გავათავისუფლეთ. უფრო მეტიც, წელიწადნახევრის მანძილზე "თბილგაზის" ხუთი პირველი პირი დავითხოვე. მთავარია, რომ ეს პრობლემა კომპლექსურად იქნას განხილული",** - "24 საათთან" საუბარში განაცხადა თბილისის მერმა. ვანო ზოდელავას თქმით, პირველ რიგში, "თბილგაზის" ქსელის რეაბილიტაცია უნდა განხორციელდეს. აღდგენით სამუშაოებს 500 ათასი ლარი დასჭირდება. ქალაქის მერი, ამ სამუშაოების დროულად დამთავრების შემთხვევაში, ვარაუდობს, რომ თვის ბოლოს ბუნებრივი აირის მომხმარებელ ოჯახთა რიცხვი 200 ათასამდე გაიზრდება. ქსელის რეაბილიტაცია კი მოსკოვისა და ცოტნე დადიანის გამზირებიდან დაიწყება. ამ სამუშაოებს მერია დააფინანსებს.

მეორე საკითხი, რაზეც არასამთავრობო სექტორმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა, "საქგაზის" მიერ ბუნებრივი აირის ხშირი ჩართვა-გამორთვის პრობლემა იყო, რაც, მათი განცხადებით, ხშირი ავარიების მიზეზი ხდება. **"საშინელებაა, როცა ხალხი ყოველი თვის ბოლოს ელოდება, როდის გამორთავენ გაზს. ამის მიზეზი ის არის, რომ დეიკალო გადასახადს ითხოვს. ეს, ერთი მხრივ, გასაგებია, მაგრამ, მეორე მხრივ, გაუმართლებელი. სამწუხაროდ, კანონში არ არსებობს მუხლი, რომელიც, გაზის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიწოდების შეწყვეტას კი არა, საურავის დაკისრებას გაითვალისწინებს,"** - აღშფოთება ვერ დამალა არასამთავრობო ორგანიზაციის - "ვაკის გონივრული განვითარება" თავმჯდომარემ **ნანული ქაჩიბაიამ.**

არასამთავრობო სექტორის პოზიცია "საქგაზთან" დაკავშირებით თბილისის მერიამაც გაიზიარა. **"ჩვენც იგივე მოთხოვნები გვაქვს "საქგაზის" მისამართით, რაც არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუ გადახდა წინსწრებით ხორციელდება, მაშინ ხელშეკრულებით გაზის "ერთი ხელის მოსმით" გამორთვა არ უნდა იყოს ნებადართული. თუ გაზის საფასურს ვერ გადავიხდით, სასამართლომ უნდა გაარკვიოს მტყუან-მართალი,"** - უკმაყოფილება გამოთქვა ვანო ზოდელავამ.


*ნანული ქაჩიბაია*

არასამთავრობოების მოთხოვნა, რომ მათ მოახდინონ "თბილგაზის" მონიტორინგი, მერმა გაითვალისწინა. შეხვედრაზე ასევე შეთანხმდნენ, რომ "თბილგაზში" არსებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის მუშაობაში მონაწილეობას არასამთავრობო სექტორიც მიიღებს.



*ჯორჯ ბუში*
REUTERS

# ამერიკის სენატმა კორპორაციულ თაღლითობებს ომი გამოუცხადა

თორნიკე შარაშენიძე

*ამერიკის სენატმა ერთხმად მიიღო კანონპროექტი, რომელმაც უნდა გაამკაცროს ქვეყანაში კორპორაციული დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა და მომავალში არ უნდა დაუშვას ისეთი სკანდალები, რომლებმაც მთელი მსოფლიო შეძრა და სერიოზულად შეარყია ამერიკული ბიზნესისადმი ნდობა.*

97 ხმით არც ერთის წინააღმდეგ სენატმა მწვანე შუქი აუნთო დამოუკიდებელი მონიტორინგული სამსახურის შექმნას, რომლის ფუნქციებიც იქნება: სტანდარტების დამკვიდრება, კორპორაციული თაღლითობების აღმოჩენა (რომელიც 10-წლიანი თავისუფლების აღკვეთით დაისჯება) და იმ პირთა უსაფრთხოების დაცვა, ვინც ამა თუ იმ კომპანიას საჯაროდ ამხელს კანონდარღვევაში.

ეს კანონპროექტი თავისი მნიშვნელობით უპრეცედენტოა 1929 წლის შემდეგ, როცა ამერიკა დიდმა დეპრესიამ შეძრა. თუმცა, იგი მოქმედებაში ჯერ ვერ შევა. უფრო მეტიც, ამოქმედებამდე იგი უნდა შეჯერდეს ნაკლებად რადიკალურ პროექტთან, რომელიც წარმომადგენელთა პალატამ აპრილში, "ენრონის" კოლაფსის შემდეგ მიიღო.

მიუხედავად ამისა, პროექტის დამტკიცებას ყველა მოწონებით შეხვდა, მათ შორის, ცხადია, პრეზიდენტი ბუშიც. **"მოხარული ვარ, რომ სენატმა მიიღო ასეთი თამამი გადაწყვეტილება, რომელიც ჩემს გეგმებს პასუხობს,** – განაცხადა მან, - **აღარ უნდა დავუშვათ, რომ ამერიკელი მშრომელები და აქციონერები მომავალშიც დაზარალდნენ მავანთა უსინდისო ქმედებების გამო."**

კაცმა რომ თქვას, ბუშს, ალბათ შეუძლია, არ შეაჯეროს სენატის მიერ მიღებული კანონპროექტი წარმომადგენელთა პალატის დადგენილებასთან. საქმე ისაა, რომ წარმომადგენელთა პალატაში უმრავლესობას რესპუბლიკელები აკონტროლებენ და მათ შეუძლიათ, კომიტეტში განხილვის გარეშე, პირდაპირ გაიტანონ იქ ახალი კანონპროექტი. სწორედ ამის შესახებ შეახსენა სენატის უმრავლესობის ლიდერმა, დემოკრატმა ტომ დეშლმა მმართველ პარტიას, თუმცა რესპუბლიკელებმა ამაზე უარი თქვეს – მათ სურთ ორივე პროექტი შეჯერდეს და საუკეთესო გადაწყვეტილება იქნას მიღებული.

ამ ორ კანონპროექტს შორის ძირითადი განსხვავება აუდიტორული კომპანიების მომავალ ბედს ეხება, რომლებიც წამყვან როლს თამაშობდნენ იმ ცნობილ სკანდალებში. სენატის პროექტი ითვალისწინებს აუდიტორებისათვის საკონსულტაციო სერვისების აკრძალვას, რაც, საერთო აზრით, ინტერესების კონფლიქტს (თანამდებობის პირადი მიზნებისთვის გამოყენებას) უწყობს ხელს. წარმომადგენელთა პალატის პროექტი კი ასეთ მოთხოვნებს არ აყენებს.

სენატის კანონპროექტი ასევე მოითხოვს, რომ კომპანიათა მთავარმა აღმასრულებელმა ოფიცრებმა წარმოადგინონ საბუთები თავიანთ ფინანსურ მოღვაწეობაზე და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოთ. ეს პუნქტი თავად ბუშის მოთხოვნით იქნა შეტანილი. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი ასევე კრძალავს იმ ტიპის შიდა სესხების მიღებას, როგორიც თავად ბუშმა მიიღო ტეხასურ ნავთობკომპანია "ჰარქენში" მოღვაწეობისას.

პრეზიდენტმა სენატსაც და წარმომადგენელთა პალატასაც აგრძნობინა, რომ მას სურს ხელმოსაწერად გამზადებული კანონპროექტი ზაფხულის შესვენებამდე ედოს მაგიდაზე, რომელიც ამ თვის ბოლოს იწყება. დრო მართლაც არ იცდის – გასულ დღეებში ამერიკული კომპანიებისადმი ნდობა ისე დაეცა, როგორც არასდროს: დოუ ჯონსისა და სხვა წამყვანი ინდექსები სარეკორდოდ დაბალ მაჩვენებლებს მიუახლოვდა, ევრო კი დოლარს გაუტოლდა და, თუკი ასე გაგრძელდა, მალე გაუსწრებს კიდევაც.

# ამერიკამ მორიგი სამიზნე მონიშნა - ერაყზე სახმელეთო და საჰაერო შეტევის მთავარი ბაზა თურქეთი გახდება

გიორგი ხელაშვილი

*ჯორჯ ბუში-უფროსის დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას ჯორჯ ბუში-უმცროსი აპირებს. მან უკვე აქტიურად დაიწყო ერაყის წინააღმდეგ სამხედრო შეტევისთვის დიპლომატიური საფუძვლის მომზადება.*

პირველად ანტიტერორისტული ომის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებს სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება თავისი უერთგულესი მოკავშირის – თურქეთის – ახალ ომში ჩასათრევად. გუშინ შეერთებული შტატების სამხედრო მისიამ ამ ამოცანის გადასაწყვეტად ანკარაში დიპლომატიური მოლაპარაკებები გამართა.

თურქეთი, უკვე რამდენიმე თვეა, აქტიურად უჭერს მხარს შეერთებული შტატების ანტიტერორისტულ ოპერაციას; მეტიც, ანკარამ თავის თავზე აიღო ავღანეთში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მეთაურობა და წარმატებითაც უძღვება ამ მისიას.

მიუხედავად ამისა, თურქეთი ეჭვით ეკიდება შეერთებული შტატების მორიგ ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს სადამ ჰუსეინის რეჟიმის სამხედრო ჩარევით დამხობას. სადამ ჰუსეინი თურქეთის ძველი მტერია. ჯერ კიდევ 1991 წელს, სპარსეთის ყურის ომის დროს, ამერიკელები ერაყის სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს სწორედ თურქეთის საჰაერო ბაზებიდან ბომბავდნენ. ომის დასრულების შემდეგ ჩრდილოეთ ერაყის საჰაერო პატრულირებაც თურქეთის სამხედრო-საჰაერო ბაზების გამოყენებით ხდებოდა.

თურქეთი თავის როლს საკმაოდ კარგად შეეგუა, მაგრამ როგორც კი საქმე ერაყის წინააღმდეგ მორიგ დიდ სამხედრო აქციაზე მიდგა, რომელსაც სულ უფრო ხშირად ახსენებს პრეზიდენტი ბუში, თურქეთმა ყოყმანი დაიწყო. ამის მიზეზი რამდენიმეა. უპირველეს ყოვლისა, სადამ ჰუსეინის მარცხის შემთხვევაში თურქეთს აშინებს ერაყის დეზინტეგრაცია, რაც ამ ქვეყნის ჩრდილოეთში დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს წარმოშობას გამოიწვევს. ეს წაახალისებს თურქეთის სამხრეთში მცხოვრებ ქურთებს, რომლებიც უკვე თხუთმეტი წელია, იარაღით ხელში იბრძვიან ავტონომიისა და დამოუკიდებლობისათვის.

თურქეთის ყოყმანის მეორე მიზეზი ეკონომიკური კრიზისია. ერაყის წინააღმდეგ ომი მძიმედ დააწვება ქვეყნის ისედაც შერყეულ ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემას. გასულ წელს თურქეთის ეკონომიკის მოცულობა 9 პროცენტზე მეტად შეიკვეცა, ხოლო ვალუტა ბოლო თვეებში თითქმის 20 პროცენტით გაუფასურდა. გარდა ამისა, თურქეთის ეკონომიკური პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდება ერაყიდან ქურთი ლტოლვილების შემოსვლით. ამის გამო ჯერ კიდევ 1991 წელს თურქეთის მთავრობას სერიოზული პრობლემები შეექმნა.

ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომი გავლენას მოახდენს თურქეთის შიდა პოლიტიკურ ვითარებაზეც, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში მნიშვნელოვნად დაიძაბა. მუსლიმანური სახელმწიფოს წინააღმდეგ ომმა შეიძლება მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვიოს და ხელი შეუწყოს თურქი ისლამისტების პოპულარობის კიდევ უფრო გაზრდას.

ცხადია, რომ თურქების ყოყმანის მიზეზები საკმაოდ საფუძვლიანია, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაცია ფიქრობს, რომ ამ პრობლემებს მოევლება. სწორედ ამ პრობლემების გადაწყვეტა და თურქეთის ეჭვების გაფანტვა იყო შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოადგილის, პოლ ვოლფოვიცის, ანკარაში ვიზიტის მთავარი მიზანი. მას თან ახლდა ევროპაში ნატო-ს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი ჯოზეფ რალსტონი. ისინი შეხვდნენ თურქეთის ავადმყოფ პრემიერ-მინისტრს ბულენთ ეჯევითს და ქვეყნის წამყვან სამხედრო პირებს. ვოლფოვიცმა ჯერ კიდევ თურქეთში ჩასვლამდე მტკიცედ განაცხადა, რომ ამერიკის ადმინისტრაცია მხარს არ უჭერს ერაყის ჩრდილოეთში ქურთული სახელმწიფოს შექმნას. თქმა არ უნდა, რომ ეს განცხადება თურქეთის ხელმძღვანელობის დაწყნარებისა და ომში მონაწილეობისკენაა მიმართული.

შეერთებული შტატების ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ერაყის წინააღმდეგ მოქმედების სტრატეგია ჯერ არ დამუშავებულა. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ სადამ ჰუსეინი უნდა წავიდეს, რადგან ერაყი, ჩრდილოეთ კორეასა და ირანთან ერთად, "ბოროტების ღერძს" წარმოადგენს და საერთაშორისო უსაფრთხოებას ემუქრება. ამერიკელთა შეშფოთების მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, ერაყის მიერ მასობრივი მოსპობის იარაღის შექმნის პროგრამებია, რომელთა გაკონტროლება 1998 წლის დეკემბრის შემდეგ ველარ ხერხდება, რადგან ბაღდადი საერთაშორისო დამკვირვებლების ქვეყანაში შეშვებაზე უარს აცხადებს.

# მორიგი ტერაქტი ისრაელში

იორდანეს დასავლეთ ნაპირზე, ქალაქ ნაბლუსის მახლობლად სამგზავრო ავტობუსის ავტომატური იარაღიდან დაცხრილვის შედეგად 7 ებრაელი დაიღუპა და 25-მდე დაშავდა. დაშავებულებიდან 7 მძიმე მდგომარეობაშია. დაზარალებულებს შორის ბავშვებიც არიან.

თვითმხილველების მონაყოლის მიხედვით, ავტობუსის მიერ გასავლელ გზაზე ტერორისტებმა რამდენიმე ძლიერი ფუგასი ააფეთქეს, რომელმაც მგზავრები მხოლოდ უმნიშვნელოდ დააზიანა, რადგან ავტობუსი ტყვიაგაუმტარი ფირფიტებით იყო დაჯავშნული. პანიკაში ჩავარდნილმა მგზავრებმა ავტობუსიდან გამოსვლა დაიწყეს და ცეცხლის წვიმაში მოყვნენ. ტერორისტი სამი იყო. ისინი ისრაელის არმიის სამხედრო ფორმაში იყვნენ გადაცმულნი. ავტობუსის მგზავრთა ნაწილი ირწმუნება, რომ ტერორისტებმა, ავტომატური იარაღის გარდა, ხელყუმბარებიც გამოიყენეს.

როგორც ჩანს, ხანმოკლე "შესვენების" შემდეგ პალესტინელმა ტერორისტებმა ისრაელის მოქალაქეების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება განაახლეს. ახლანდელი ტერორისტული აქტი ებრაული დასახლება ემანუელის შესასვლელთან მოხდა, რომლის მოსახლეობაც ორთოდოქსული რწმენით გამოირჩევა. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ აიღებს პასუხისმგებლობას ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით.

ტერორისტების თავდასხმა წინ უსწრებს ნიუ-იორკში დაგეგმილ "კვარტეტის" შეხვედრას, რომელზეც შეერთებული შტატების, ევროკავშირის, რუსეთისა და გაერო-ს წარმომადგენლებმა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მიმართ ერთიანი მიდგომა უნდა შეიმუშავონ. მათ მოგვიანებით ეგვიპტისა და იორდანიის საგარეო საქმეთა მინისტრები შეუერთდებიან. "კვარტეტის" შეხვედრის მთავარი თემა იქნება პრეზიდენტ ბუშის მოწოდებები პალესტინური სახელმწიფოს რეფორმირებასა და ახალი ხელმძღვანელობის არჩევასთან დაკავშირებით.



ტერაქტის შემდეგ REUTERS

# თურქეთის საპარლამენტო არჩევნები ნოემბერში შედგება

სამშაბათს კოალიციურ მთავრობაში გაერთიანებული სამი პარტიის ლიდერების შეხვედრაზე ბულენთ ეჯევითი, დევლეთ ბაჰჩელი და მესუთ ილმაზი შეთანხმდნენ, რომ, პოლიტიკური კრიზისის დამთავრების მიზნით, ვადამდელი არჩევნები მიმდინარე წლის 3 ნოემბერს გაიმართება.

ჯერ კიდევ შეხვედრამდე, CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, ეჯევითმა აღიარა, რომ მის მთავრობას ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწერია. მან განაცხადა, რომ, როგორც ჩანს, კოალიციური მთავრობა 2004 წელს დაგეგმილ არჩევნებამდე ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს.

ეს განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბულენთ ეჯევითის კოალიციურმა მთავრობამ პარლამენტში კიდევ ექვსი დეპუტატის ხმა დაკარგა. 550 ადგილიდან კოალიცია მხოლოდ 275 ადგილს ფლობს. თუმცა, მთავრობა საკონონმდებლო ორგანოს ჯერ კიდევ აკონტროლებს, რადგან 13 ადგილი ვაკანტურია და, აქედან გამომდინარე, ოპოზიციას პარლამენტში უმრავლესობა ჯერ არ მოუპოვებია.

ეჯევითის კოალიცია ბოლო ათი დღის განმავლობაში, საერთო ჯამში, 58-მა დეპუტატმა დატოვა. გასულ შაბათ-კვირას ეჯევითმა გააკეთა განცხადება, რომ თუ კოალიციის ადგილები პარლამენტში 276-ზე ნაკლები იქნება, იგი გადადგება. ორშაბათს კი თურქულ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია ეჯევითის მიერ გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ – ეჯევითი, შესაძლოა, დაელოდოს ოპოზიციის მიერ უმრავლესობის ხელში ჩაგდებას. ამისთვის ოპოზიციას კიდევ 14 მანდატი სჭირდება. (Bloomberg)

# ბალკანელი ლიდერები საერთო ენას პოულობენ

ორშაბათს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში, ბალკანური ომების დასრულების შემდეგ პირველად, იუგოსლავიის, ბოსნიისა და ხორვატიის პრეზიდენტების შეხვედრა შედგა. პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ რეგიონში მშვიდობას, ომის შედეგად დაკარგულ ნდობასა და გაწყვეტილ ეკონომიკურ ურთიერთობებს აღადგენენ.

ქვეყნების ლიდერებმა განიხილეს რეგიონში არსებული პრობლემების ფართო სპექტრი. მხარეებმა მიაღწიეს შეათანხმებას ომის შედეგად გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცედურის გამარტივებისა და თანამშრომლობის შესახებ. გარდა ამისა, პრეზიდენტები შეთანხმდნენ ძალისხმევის კოორდინირებაზე ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, რეგიონის ეკონომიკის განვითარებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების სფეროში. ეს არის ის აუცილებელი კრიტერიუმები, რომლებიც ევროკავშირში - გაწევრიანების მსურველმა ნებისმიერმა ქვეყანამ უნდა დააკმაყოფილოს. ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, არსებული უთანხმოებების მიუხედავად, ევროკავშირში გაწევრიანების სურვილმა მხარეების პრეტენზიები შეარბილა და მათ კონსტრუქციული დიალოგისკენ უბიძგა. ხორვატიის ლიდერის, მესიჩის განცხადებით, "ევროპა ერთიანდება და ეს ჩვენი ბედისწერაცაა".

შეხვედრის შედეგად ხელი მოეწერა სამმხრივ დეკლარაციას, რომლითაც სამ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ახალი ერის დასაწყისი დაფიქსირდა. დეკლარაციის თანახმად, მხარეები ვალდებულნი არიან, უთანხმოებები მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ და განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში მიღებული სტანდარტების თანახმად იმოქმედონ.

უცხოელმა დიპლომატებმა სამიტის შედეგებთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოთქვეს. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უწყების ხელმძღვანელმა, ხავიერ სოლანამ განაცხადა: "სამიტის ჩატარება იმის მანიშნებელია, რომ ქვეყნები მწარე წარსულის დავიწყებისა და ევროკავშირის ფარგლებში თანამშრომლობისკენ მიისწრაფვიან." ბოსნიის სამშვიდობო პროცესის მთავარი შუამავლის, ბრიტანელი პოლიტიკოსის პედი ეშდაუნის შეფასებით, სამი ბალკანური ქვეყნის ლიდერის შეხვედრა "რეგიონის ისტორიაში გადამწყვეტ მომენტს" წარმოადგენს. მისი განცხადებით, "ბრიუსელისკენ გზა სარაევოზე გადის".

სამი ქვეყნის ლიდერები ერთად ბოლოს 1995 წელს დეიტონში (ოჰაიოს შტატი) შეიკრიბნენ. მაშინ იუგოსლავიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი, ბოსნიის ლიდერი ალია იზიტბეგოვიჩი და ხორვატი ფრანიო ტუჯმანი იმისთვის შეხვდნენ, რომ 1992-95 წლების ბოსნიის ომის დასასრული წერილობით დაეფიქსირებინათ და სამშვიდობო შეთანხმებაზე მოეწერათ ხელი. (CNN)

ამბები

# "ოხრახუშის ომი" ესპანეთსა და მაროკოს შორის

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ჯორჯ რობერტსონმა განაცხადა, რომ ნატო მხარს უჭერს ესპანეთს მაროკოსთან ტერიტორიულ დავაში. ამით ალიანსმა შეცვალა თავის მიერ ადრე დაკავებული ნეიტრალური პოზიცია, რომლის მიხედვითაც ესპანეთ-მაროკოს დავა ორ ქვეყანას შორის კერძო საქმეს წარმოადგენდა, რომელიც ნატო-ს არ ეხებოდა. ნატო-ს ამ პოზიციამ ბოლო დღეებში ესპანელების პროტესტი და აღშფოთება გამოიწვია.

კუნძულ პერეხილთან დაკავშირებული ვნებათაღელვა არ ნელდება. გასულ პარასკევს მაროკოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიკავეს კუნძული პერეხილი (მაროკოული ვარიანტით: კუნძული ლეილა) და მის დატოვებას აღარ აპირებენ იმ მოტივით, რომ კუნძული მაროკოს ტერიტორიას წარმოადგენს. მეორეს მხრივ, ესპანეთი მაროკოს ჯარის სასწრაფოდ გაყვანას მოითხოვს. ევროკავშირი მტკიცედ უჭერს მხარს ესპანეთის მოთხოვნას. სამაგიეროდ, მაროკოს მთავრობა უკვე პრეტენზიას აცხადებს არა მარტო კუნძულ პერეხილზე, არამედ მაროკოს ჩრდილოეთით მდებარე ორ ქალაქზე – სეუტასა და მელილიაზე.

ამ ორი ქალაქის მოსახლეობის დასამშვიდებლად ესპანეთმა სამხედრო-საზღვაო ძალების ოთხი გემი გაგზავნა, რომელთაგან ერთმა, "ნავარამ", დემონსტრაციულად ჩაიარა მაროკოს სანაპირო ხაზის გასწვრივ. გემებს მხარს უმაგრებს ავიაცია და გაძლიერებული გარნიზონები. გამოკითხვების მიხედვით, ესპანელთა 80 პროცენტი კონფლიქტის სამხედრო გზით გადაჭრას უჭერს მხარს.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კუნძული პერეხილი დაუსახლებელია და ერთადერთი მცენარე, რომელიც მასზე ხარობს, ოხრახუშია.

# უკრაინა კონტროლს ამკაცრებს

უკრაინის მთავრობამ გააკეთა განცხადება იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტზე სახელმწიფო კონტროლის გამკაცრების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერაყი უკრაინისგან სამხედრო ტექნოლოგიების შეძენას ცდილობს. წინა კვირას აშშ-ს ფინანსთა მინისტრმა, პოლ ო`ნილმა უკრაინაში ვიზიტის დროს ამ საკითხთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატა.

უკრაინის მთავრობამ განაცხადა, რომ შემოიღებს უფრო მკაცრ წესებს იმ შუამავალთა მიმართ, რომლებიც სამხედრო ინდუსტრიაში მუშაობენ და, აგრეთვე, მოლაპარაკებების წარმოების წესებს გაამკაცრებს. ახალი წესების თანახმად, მყიდველმა უნდა წარმოადგინოს გარანტია, რომ მის მიერ შეძენილი იარაღი, უკრაინის მთავრობის სპეციალური ნებართვის გარეშე, უკრაინის ტერიტორიიდან არ იქნება გატანილი. უკრაინა მსოფლიოში იარაღის ყველაზე მსხვილ ექსპორტიორთა ათეულში შედის. (BBC)

# აშშ-ს ჟირინოვსკის ეშინია

ვლადიმირ ჟირინოვსკის არ მისცეს შეერთებული შტატების ვიზა. რადიოსადგურ "ეხო მოსკვის" ინფორმაციით, ეს არის ჟირინოვსკის აშშ-ში დაგეგმილი ვიზიტის ჩაშლის მიზეზის ოფიციალური ვერსია. რუს პოლიტიკოსს აშშ-ს რამდენიმე მსხვილ ქალაქში, მათ შორის, ნიუ-იორკსა და ბოსტონში, ლექციების სერია უნდა წაეკითხა. არაოფციალური ინფორმაციით კი, რომელიც სააგენტო "რია-ნოვოსტიმ" გაავრცელა, ამერიკელებმა დაგეგმილი ლექციების გაუქმება პოლიტიკოსის მიერ სკანდალების მოწყობის შესაძლებლობის გამო გადაწყვიტეს. სააგენტოს ცნობით, ჟირინოვსკის ლექციებზე ბილეთები (თითოს ღირებულება 50 დოლარი) სწრაფად გაიყიდა.

"ნტვ"-თვის მიცემულ ინტერვიუში ჟირინოვსკიმ განაცხადა, რომ ამერიკელები რუსულ დიასპორაზე მისმა გავლენამ შეაშინა: "ჩემმა გამოსვლებმა აშშ-ს გარკვეული წრეები შეაშინა. ისინი შიშობენ, რომ მე დავარწმუნებ რუსებს, დაბრუნდნენ რუსეთში და ამერიკა კაპიტალის დიდ ნაწილს დაკარგავს". (ახალი ამბების სააგენტო)

# თეირანში მუშათა დემონსტრაცია დაარბიეს

თეირანის პოლიციამ ძალა გამოიყენა მუშათა მრავალრიცხოვანი დემონსტრაციის დასაშლელად, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ შრომის მძიმე პირობების გამო და მთავრობას შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანისაკენ მოუწოდებდნენ. მანიფესტანტები, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს წინ შეიკრიბნენ, ხელფასების მომატებასა და სოციალური დაცვის გაუმჯობესებასაც მოითხოვდნენ.

თვითმხილველების ცნობით, პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. დემონსტრანტების დასაშინებლად ჰაერშიც ისროდნენ. (BBC)

კავკასიის ამბები

# ვალს „ნატურით" ისტუმრებენ

სომხეთი რუსეთს სახელმწიფო ვალის ანგარიშში ერთ თბოელექტროსადგურსა და ელექტრონული მრეწველობის სამ საწარმოს გადასცემს. ამის შესახებ ერევნის აეროპორტ "ზვარტნოცში" გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა სომხეთ-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის რუსმა თანათავმჯდომარემ ილია კლებანოვმა. "2003 წლის პირველი იანვრისთვის სომხეთს რუსეთის ვალის პრობლემა აღარ ექნება," – ხაზგასმით აღნიშნა კლებანოვმა. საწარმოების ღირებულების დასადგენად, ალბათ, უცხოელ აუდიტორებსაც მოიწვევენ, რათა არც ერთ მხარეს კითხვები აღარ დარჩეს. სომხეთის სახელმწიფო ვალი რუსეთის წინაშე ამჟამად 98 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს.

# ისრაელის უსაფრთხოებას სომხების მიწა ეწირება

ბეთლემში, სომხური საპატრიარქოს კუთვნილ მიწებზე, დაიწყება პალესტინელი ტერორისტებისგან ებრაელთა დასახლებების დასაცავად ჩაფიქრებული ელექტრონული ღობის აგება. სომხური სააგენტო "არმინფოსა" და ლონდონური არაბული გაზეთის "ალ-ყუდსის" ცნობით, ისრაელის თავდაცვის სამინისტროს გენერლებმა, რომლებიც იორდანეს დასავლეთ სანაპიროს უსაფრთხოებას კურირებენ, გასცეს ბრძანება სომხეთის საპატრიარქოს კუთვნილი მიწების კონფისკაციის თაობაზე. მიწასთან ერთად საპატრიარქოს ჩამოერთმევა ბეთლემის სომხური თემის მთავარი შენობა. იგი ისრაელის არმიას შტაბის მოსაწყობად გადაეცემა.

სომხეთის საპატრიარქოს წარმომადგენლები ბოლო ორი კვირის განმავლობაში ყველანაირად ცდილობდნენ სამხედროების ბრძანებების შეცვლას, მაგრამ — უშედეგოდ. ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ ჩამორთმეული მიწების დაბრუნებაზე ცივი უარი განაცხადა. ახლა სომხური საპატრიარქო აპირებს, ისრაელის უმაღლეს სასამართლოს მიმართოს და საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის გავლენა გამოიყენოს, რათა დაიბრუნოს საუკუნეების განმავლობაში კუთვნილი ტერიტორია. სომხური საპატრიარქო არა მარტო მიწების დათმობაზე ამბობს უარს, არამედ ამ მიწაზე ელექტრონული ღობის აგების წინააღმდეგიცაა.

# სუუამ-ი გაფართოებას გეგმავს

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი, ანატოლი ზლენკო, არ გამორიცხავს, რომ 19-20 ივლისს იალტაში დაგეგმილი გუუამ-ის სამიტის შემდეგ ამ გაერთიანების წევრთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხარჯზე. ეს განაცხადა ზლენკომ გუშინ, გუუამ-ის საინფორმაციო ბიუროს გახსნის ოფიციალურ ცერემონიალზე.

იალტაში დაგეგმილი შეხვედრის წინ ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მიიღებს თუ არა მასში მონაწილეობას უზბეკეთის წარმომადგენელი. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ სუუამ-ის დანარჩენი ოთხი სახელმწიფო – საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდავეთი – აპირებენ ხელი მოაწერონ ცხრა შეთანხმებას. მათგან ორი ითვალისწინებს სუუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შექმნასა და სუუამ-ის ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობის ზონის დაარსებას. ("რია-ნოვოსტი")

## ვანო ზოდელავამ ხმაური ატეხა

ნანა ქადაგიშვილი

იშვიათია, რომ თბილისში ახალი, თანამედროვე სტილის მშენებლობები აჟიოტაჟისა და შეხლა-შემოხლის გარეშე დასრულდეს. მშენებლობებს, როგორც წესი, მოსახლეობა ან ისტორიული ძეგლების დამცველები ეწინააღმდეგებიან, რადგან მათ ინტერესებს არავინ ითვალისწინებს. გაზონების, პარკებისა თუ კულტურის ობიექტების ადგილას სავაჭრო ცენტრები შენდება, ქალაქს ტროტუარები თითქმის აღარ შერჩა, ძველ თბილისში, უზარმაზარი თანამედროვე სტილის სასტუმროების ფონზე, მოფახფახებული აივნიანი სახლები საერთოდ აღარ მოჩანს. ქალაქის ხელმძღვანელობა კი დუმს, რადგან მიწას ჩუმად ყიდის და ნებართვებსაც ჩუმად გასცემს. თუმცა, საბოლოო ჯამში მშენებლობისათვის საჭირო ყველა საბუთი წესრიგში აღმოჩნდება ხოლმე და მოსახლეობა კი პირში ჩალაგამოვლებული. ახლახან თამარ მეფის სახელობის ხიდზე მიმდინარე მშენებლობის გამო ატყდა აჟიოტაჟი, ოღონდ, ამჯერად, ხმაური ქალაქის მერმა ატეხა.

ხიდის დასაწყისში, სადაც ადრე ყვავილების მაღაზია იყო, მშენებლობა დეკემბერში დაიწყო. ეს ადგილი მოქალაქე ანზორ გიუაშვილმა იყიდა და საოფისე და სავაჭრო ობიექტებს აშენებს. ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტი აცხადებს, რომ გიუაშვილმა პროექტი დეპარტამენტში შეათანხმა და მშენებლობა ყოველგვარი წესის დაცვით მიმდინარეობს, მაგრამ მერიაში გამართულ გუშინდელ თათბირზე ვანო ზოდელავამ ამ მშენებლობას უკანონო და სახიფათო უწოდა. "მშენებლობისას ჩამოჭრილი მიწის ნაწილი თამარ მეფის სახელობის ხიდს ჩამონგრევის საშიშროებას უქმნის, რატომ სძინავს არქმშენის ინსპექციას?" – განაცხადა მერმა. მისთვის ეს ინფორმაცია მიუწოდებია ქალაქის სამეურნეო სამსახურის უფროსს, ალეკო კურცხალიას. კურცხალიამ ეს ჩვენც დაგვიდასტურა. "მშენებლებმა ტროტუარი ჩაჭრეს, გზა გამოთხარეს და მძიმე მანქანის გავლამაც კი შეიძლება ჩამოანგრიოს. ქალაქის მერმა მშენებლები ადრეც გააფრთხილა, მაგრამ აღნიშნული ობიექტი ბოლოს 14 ივლისს ვნახე და არაფერი გაუკეთებიათ", – განგვიცხადა სამეურნეო სამსახურის უფროსმა.

არქმშენის ინსპექცია კი შეშფოთების მიზეზს ვერ ხედავს. "მშენებლობა სრულიად კანონიერად მიმდინარეობს. მერიის ხელმძღვანელობის უჩუმრად არაფერი გაკეთებულა. გიუაშვილმა აღნიშნული ტერიტორია ნოემბერში იყიდა, არქიტექტურის დეპარტამენტში შეათანხმა, გაკეთებულია შენებლობის ორგანიზაციის პროექტიც. მშენებლებმა რკინა-ბეტონის კონსტრუქციები ააშენეს. მშენებლობას სისტემატურად ვამოწმებთ და საშიში არაფერია. თანაც, მშენებლობა ხიდიდან 70 მეტრით არის დაშორებული", – გვითხრა ინსპექციის უფროსმა, ბესო ჭიჭინაძემ.

თბილისის მერი კი ირწმუნება, რომ აღნიშნული მშენებლობის შესახებ ქალაქის ხელმძღვანელობამ არაფერი იცოდა. მას არც არქმშენის ინსპექციის დამამშვიდებელი განცხადებების სჯერა და კატეგორიულად სთხოვს სათანადო ზომების მიღებას.

## "ციხეში ადამიანის გამოსწორება შეუძლებელია"

### 17 წლის პატიმარი მომავალს ვერ ხედავს



*საჩუქრების დარიგების დროს*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ირმა კახურაშვილი

*"რუსთავში ვცხოვრობდი. ბინაზე დაგვიჭირეს. ჩემი "ნაპარნიკი" "ვზროსლი" იყო. სამი წელი მომისაჯეს. აქ კიდევ ცხრა თვე ვიქნები. ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ, ოჯახური პრობლემების გადამკიდემ, ქურდობა დავიწყე. სკოლის დამთავრების შემდეგ სამსახურს ქარხნებში ვეძებდი და არავინ ამიყვანა. ცოლი და პატარა ბიჭი მყავს... აქ დედაც მაკითხავს", – გვიყვება 17 წლის პატიმარი. მას მიაჩნია, რომ ციხეში ადამიანის გამოსწორება შეუძლებელია. მან არ იცის, სასჯელის მოხდის შემდეგ როგორ იცხოვრებს. არც იმას გამორიცხავს, რომ ისევ ქურდობით არჩენს ოჯახს. ჯერჯერობით კი დარჩენილ მოსახდელ ვადას სპორტით "კლავს". ასე დრო უფრო სწრაფად გადის.*

გუშინ ავჭალის არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების პატიმრებს ახალგაზრდობის ნაციონალურმა საბჭომ, სტუდენტურმა ლიგამ და სტუდენტთა ახალგაზრდულმა ფორუმმა საჩუქრები გადასცა. 14-დან 18 წლამდე ოცდათერთმეტივე პატიმარი კმაყოფილი იყო; თითოეულმა მათგანმა სპორტული მაისურა და ფეხსაცმელი მიიღო. განსაკუთრებული პრიზები - საათები და რადიომიმღებები - მაგიდის ჩოგბურთის "ჩემპიონატში" გამარჯვებულებს გადაეცათ. თუმცა, სტუდენტური "საპრიზო ფონდი" (სულ ათას ლარამდე) ამით არ ამოწურულა. პატიმრებმა საჩუქრად მიიღეს ბურთები, ჭადრაკი, სათამაშო კომპიუტერი, ტელევიზორი, სამედიცინო პრეპარატები, ფერადი ფანქრები და ქაღალდი. კოლონიის შიდა "ჩემპიონატები" სპორტის ექვს სახეობაში 12 აგვისტოს - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს დასრულდება.

მოკლედ, ყველა კმაყოფილი იყო. რატომაც არა? მაგალითად, სტუდენტური ორგანიზაციების შუამდგომლობით უკვე სამი არასრულწლოვანი პატიმარი ვადაზე ადრე გათავისუფლდა.

სტუდენტები ირწმუნებიან, რომ ასეთ დახმარებას სისტემატური ხასიათი ექნება. ისინი შეეცდებიან, ახლო მომავალში სპორტული ტრენაჟორებისთვისაც გამონახონ თანხა. შემოდგომაზე კოლონიის ტერიტორიაზე ეკლესიის მშენებლობა დაიწყება. სამშენებლო პროცესში სტუდკავშირებიც აქტიურად ჩაერთვებიან. ტაძრის მშენებლობის სურვილი თავად პატიმრებს დაებადათ. კოლონიის ხელმძღვანელის ზვიად ბაქრაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგი ჰყავთ, ამ ბავშვებს საეკლესიო პირებთან ურთიერთობაც ძალიან სჭირდებათ. სამი დღის წინათ აქვე, კეთილმოწყობილ აუზთან, რამდენიმე პატიმარი მოინათლა.

გაქრისტიანებული ახალგაზრდა პატიმრების დიდი ნაწილი ქურდობისთვის იხდის სასჯელს. ისინი, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილები არიან, მაგრამ ბაქრაძეს, დანაშაულის მიზეზების ძიებაზე მეტად, ჯერჯერობით, სხვა პრობლემები აწუხებს. მათ შორის, თავისუფალი დროის განაწილების საკითხი. მას დიდი სურვილი აქვს, კოლონიაში არსებობდეს სახელოსნოები, სადაც პატიმრები დასაქმდებიან და სარგებლობას მოუტანენ საკუთარ თავს (დროც უფრო სწრაფად გავა). "ჩვენი დაწესებულება 130 ადამიანზეა გათვლილი. გვაქვს ინფორმაცია, რომ გასამართლებას კიდევ 50 არასრულწლოვანი ელოდება", - ამბობს ზვიად ბაქრაძე.

დღეს არასრულწლოვან პატიმრებს ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები სამედიცინო, მათ შორის, სტომატოლოგიურ შემოწმებას ჩაუტარებენ. თუმცა, ხელმძღვანელობის თქმით, ამჟამად პატიმრები ყველაზე ხშირად სპორტული შეჯიბრების დროს მიღებულ ტრავმებს უჩივიან...

## „დამნაშავეა„ დასაქმების სახელმწიფო პროგრამა

მაკა ჭაიანი

დასაქმების ახალი სახელმწიფო პროგრამის წყალობით, რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა საქართველოში თვალსა და ხელს შუა იზრდება. მცირე და ხანმოკლე შემწეობისა და იმის გამო, რომ რეგისტრირება დასაქმებას სულაც არ ნიშნავდა, უმუშევრები აღრიცხვაზე დადგომას არ ჩქარობდნენ. ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტმა განაცხადა, უმუშევრები საკუთარი ბიზნესის დასაწყებად სახელმწიფოსგან ფულს მიიღებენო. ამას გარდა, კიდევ ბევრი რამ ითქვა, მაგრამ დეპარტამენტს დღესაც აკითხავენ ადამიანები და დაპირებულ თანხას ითხოვენ.

საქმე კი ცოტა სხვაგვარადაა. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი წელს მხოლოდ საცდელი პროექტის განხორციელებას ახერხებს. ეს იმიტომ, რომ პროგრამისთვის ნაანგარიშევ და უმუშევართა კუთვნილ 3 მილიონ 200 ათას ლარს გასული წლის ბოლოს ჩამოაჭრეს 2 მილიონ 600 ათასი და საინვესტიციო სააგენტოს შესაქმნელად გადადეს. მას შემდეგ ნახევარ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ სააგენტო ჯერ არ შექმნილა. სამაგიეროდ, დასაქმების პროგრამა შემცირდა იმდენად, რომ ამჯერად, შესაბამისი ტესტირებისა და სწავლის შემდეგ, მაქსიმუმ, 250 უმუშევრის დასაქმება თუ იქნება შესაძლებელი.

თანხის შემცირების გამო იყო, რომ დეპარტამენტმა პროგრამაში მონაწილეობის მსურველთათვის ერთგვარი ზღვარი დააწესა. წელს კონკურსის გავლა მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც უმუშევართა აღრიცხვაზე 2002 წლის 1 მაისამდე დადგა. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტში ამბობენ, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შემდგომ წლებშიც, ტესტირებამდე სამი თვით ადრე, რეგისტრირებულებს შეეძლებათ. რაც შეეხება ტესტირებას, იგი მომავალშიც, ისევე, როგორც წელს, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ერთსა და იმავე დროს ჩატარდება.

წლევანდელ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება 15 ივლისს დასრულდა. ზუსტად რამდენმა უმუშევარმა გამოთქვა პროგრამაში მონაწილეობის სურვილი, დეპარტამენტში მხოლოდ დღეს ეცოდინებათ. სავარაუდოდ, მათი რიცხვი ათასს არ გადააჭარბებს. ტესტირება 23 ივლისს, 12 საათზეა დანიშნული. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტში ხაზს უსვამენ, რომ სამინისტრო ამ პროგრამის მხოლოდ ავტორია და, ამა თუ იმ პროექტთან დაკავშირებით, არ ერევა არა მარტო გადაწყვეტილებების მიღებაში, არამედ ტესტირების პროცესშიც. ამას კურირებენ შესაბამის ტენდერებში გამარჯვებული დამოუკიდებელი ორგანიზაციები.

## კონკორდატი რატიფიცირებას ელის

### რელიგიის კანონის მორიგი განხილვა

ეთერ მამულაშვილი

გუშინ პოლიტიკური პარტიების ერთმა ნაწილმა "სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ" იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი განიხილა და საერთო განცხადებაც გააკეთა. განცხადებაში ნათქვამია, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენაში არსებული დაძაბულობა და რადიკალიზმი, რაც გამოწვეულია აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საკითხის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის ხელოვნური დრამატიზებით, აუცილებლად მოითხოვს ქმედითი საკანონმდებლო ღონისძიების გატარებას.

ტრადიციონალისტებმა, ედპ-მ, "მწვანეებმა", სახალხო ფრონტმა და მოქალაქეთა კავშირმა საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს მოუწოდეს, დაჩქარდეს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დადება და დაიწყოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტის განხილვა.

კანონპროექტის ცალკეული მუხლებისა და პუნქტების ავკარგიანობის შესახებ პარტიებმა დიდხანს იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ, აქამდე წარმოდგენილ ვარიანტებთან შედარებით, ეს უკანასკნელი უფრო დახვეწილი და ლიბერალურია. "კანონპროექტის ეს ვარიანტი, რა თქმა უნდა, საბოლოო არ არის, გარკვეული ნაკლი და ხარვეზი მასაც აქვს, რომლის გამოსწორება იოლად შეიძლება. თუმცა, არსებობენ გარკვეული ჯგუფები, რომელთა უკიდურესად ლიბერალური და არაჯანსაღი მიდგომა საზოგადოებას აბნევს. სპეკულირება იმით, რომ, თითქოს კანონპროექტი არღვევს მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, აბსურდულია. პირიქით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ კანონპროექტის მიზანი სწორედ ადამიანის უფლებების დაცვაა", - განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ქადაგიშვილმა.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი ამ კანონპროექტის მთავარ ნაკლს მის მოცულობაში ხედავს. ის ფიქრობს, რომ კანონპროექტის ზოგიერთი მუხლის ამოღება და ყველაზე არსებითის დატოვება შეცდომების ალბათობას შეამცირებს და საკამათოც ნაკლები იქნება. "ეს იმდენად ფაქიზი თემაა, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო. მთავარია, კანონპროექტმა საზოგადოების ძირითად მოთხოვნებს უპასუხოს, სხვა დანარჩენი მუხლების ამოღება კი საქმეს უფრო გაამარტივებს", - აღნიშნა გიგი წერეთელმა.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი რუსულ და უკრაინულ მოდელზეა დაფუძნებული, რამაც პოლიტიკური პარტიების უკმაყოფილება გამოიწვია. პარტიების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ამ საკითხში ყველასთვის მისაღები იქნებოდა. ამ აზრს საქართველოს საპატრიარქოს იურისტი გიორგი ანდრიაძეც ეთანხმება. "დასავლეთ ევროპის ქვეყნები, თავიანთი კულტურული ტრადიციებით, საქართველოსთან უფრო ახლო არიან, ვიდრე სხვა ქვეყნები, ამიტომ, ვფიქრობ, საჭიროა მათი მოდელების თარგმნა და შესწავლა", - განაცხადა გიორგი ანდრიაძემ.

კანონპროექტის განხილვას ესწრებოდა მისი ერთ-ერთი ავტორი, იუსტიციის მინისტრის მოადგილე ზურაბ ეზუგბაია. მან აღნიშნა, რომ კანონპროექტის ძალაში შესვლის შემდეგ რელიგიური გაერთიანებები საჯარო სამართლის სტატუსს შეიძენენ, რაც, ეზუგბაიას თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი და საპატიო იქნება ნებისმიერი რელიგიური გაერთიანებისთვის. "კანონპროექტში ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის საკითხი, რამაც, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. არადა, რეგისტრაცია ძალიან ჩვეულებრივი, ნორმალური და, თანაც, ამ კანონპროექტით მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურაა, რაც თავად რელიგიური გაერთიანებებისთვისვე იქნება მნიშვნელოვანი", - განაცხადა ზურაბ ეზუგბაიამ.

შეხვედრაზე პარტიათა წარმომადგენლები სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების აუცილებლობასაც შეეხნენ. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა აღნიშნა, რომ კონკორდატის საბოლოო ვარიანტი უკვე მზად არის და ის არავითარ წინააღმდეგობას არ იწვევს. კონკორდატს, რომელიც 24 პუნქტისგან შედგება, სულ მალე საქართველოს პატრიარქი და პრეზიდენტი მოაწერენ ხელს, რის შემდეგაც მისი რატიფიცირება პარლამენტმა უნდა მოახდინოს.

## სტუდენტური თვითმმართველობის პრეტენზიები და მოთხოვნები

### უნივერსიტეტის მმართველობას კორუფციაში ამხელენ

თინა დგებუაძე

გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენლებმა გაზეთ "24 საათის" რედაქციაში პრესკონფერენცია გამართეს. მათ ხელთ ჰქონდათ 2002 წელს კონტროლის პალატის მიერ უნივერსიტეტის შემოწმებისას აღმოჩენილ დარღვევათა ნუსხა. კონტროლის პალატას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. სტუდენტები იმედოვნებენ, რომ მასალები პროკურატურას გადაეცემა. თუმცა, ჯერ-ჯერობით ეს მასალები გადასაცემად მხოლოდ უნივერსიტეტის საბჭოსთვისაა გამზადებული.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, უმაღლეს სასწავლებლებს თავიანთი ფართის გაქირავების უფლება მხოლოდ 5 წლის ვადით გააჩნიათ, ისიც არა საიჯარო, არამედ საუზურფუქტო ხელშეკრულებით. ამ ბრძანებულების მიუხედავად, როგორც პრესკონფერენციაზე სტუდენტებმა განაცხადეს, უნივერსიტეტი თავისი ტერიტორიების საკმაოდ დიდ ნაწილს 10 წლის ვადით და თანაც, ძალიან იაფად აქირავებს. მაგალითად, 1999 წლის 20 მაისის საიჯარო ხელშეკრულებით შპს ბანკ "რესპუბლიკას" 10 წლის ვადით, იჯარით გადაეცა ი. ჭავჭავაძის გამზ. №13 (თსუ მე-8 კორპუსი) განთავსებული 131,87 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, წელიწადში 1400 აშშ დოლარის ექვივალენტი საიჯარო ქირით. 1999 წლის 25 ივნისს კი შპს "უნივერსიტეტსერვისთან" გაფორმდა რამდენიმე საიჯარო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების თანახმად, "უნივერსიტეტსერვისს" 10 წლის ვადით გადაეცა უნივერსიტეტის ეზოში განთავსებული 1186 კვ.მ ფართი კაფე-სასადილოს შენობა, წელიწადში 3000 დოლარად. მათ ასევე 10 წლის ვადით გადაეცათ მაღლივი კორპუსის სასადილო 664 კვ.მ ფართი წელიწადში 2500 დოლარად და ბიოლოგების კორპუსში განთავსებული ბუფეტი 135 კვ.მ ფართი წელიწადში 750 აშშ დოლარად. წვრილ-წვრილი ფართები, (9-12კვ.მ), წელიწადში 90-150 დოლარად ქირავდება.

ასეთი ხელგაშლილობის მიზეზი ის არის, რომ უნივერსიტეტი ამ ფართობს, ფაქტობრივად, საკუთარ თავზე აქირავებს. უნივერსიტეტის პრორექტორმა გოდერძი ტურძელაძემ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ საიჯარო ხელშეკრულებას სასწავლებელი კი არა, ქონების მართვის სამინისტრო აფორმებს ტენდერის შემდეგ და თანხასაც ის იღებს.

უნივერსიტეტის ყველა ბუფეტის მფლობელ "უნივერსიტეტსერვისის" დამფუძნებელთა შორის უნივერსიტეტის კადრების უფროსი ბატონი პალადი ჯინჯოლავა და უნივერსიტეტის ბუღალტერი ბატონი თენგიზ მენთეშაშვილი არიან. აბა, მათ უნივერსიტეტი ათი წლის ვადით 1186 კვ.მ ფართს წელიწადში 3000 დოლარზე ძვირად ხომ არ მიაქირავებდა?! გოდერძი ტურძელაძე ამგვარ ორმაგ კავშირებსაც უარყოფს. კონტროლის პალატის 2002 წელს ჩატარებული შემოწმების დროს ეს და ბევრი სხვა აქ არ აღნიშნული თანხები უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხული არ ყოფილა!




*პრესკონფერენციაზე*

იური ლობოდინის ფოტო

რაც შეეხება შპს "ვაკეს". მას უნივერსიტეტი 1997 წლიდან მოყოლებული დღემდე, გაურკვეველი სამუშაოების შესრულებაში, ყოველ წელიწადს ათასობით ლარს უხდის. 2000 წელს ე.წ. ოფისის ხარჯებში, მხოლოდ შედარებითი აქტების საფუძველზე 33235 ლარია ჩამოწერილი, როგორც შპს. "ვაკეს" მიერ ჩატარებული სამუშაოთა ღირებულება, თუმცა არ არის გაფორმებული სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტი და არ არის აღნიშნული რა სამუშაოებია შესრულებული. 2001-2002 წლებში შპს ვაკემ 39,9 ათასი ლარი მიიღო, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, არ ჩანს, რა სამუშაოებია შესრულებული და არ არის შედგენილი მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი. პრორექტორმა, გ. ტურძელაძემ კი გვითხრა: "შპს "ვაკეს" შარშან ჩვენგან 75 ათასი ერგებოდა, მაგრამ მხოლოდ 1300 გვაქვს გადახდილი. მეტი ვერ შევძელით."

კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების მიხედვით, დარღვეულია "სალაროს მეურნეობის გაძღოლის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები. 2001-2000 წლებში უნივერსიტეტის თანამშრომელთა მივლინების ხარჯებზე 224 331 ლარი დაიხარჯა. დიპლომების გაცემისა და შენახვის მდგომარეობის შესწავლამაც ბევრი დარღვევა გამოავლინა. კონტროლის პალატის ოქმებში პრემიების გრაფა საერთოდ გამოტოვებულია. უნივერსიტეტი თურმე არავითარ პრემიებს არ არიგებს. არადა, ყოველ წელს უნივერსიტეტის სპეციალური ბრძანების საფუძველზე რექტორთან მიახლოებული პირები, ძირითადად იურიდიული ფაკულტეტიდან,ისე რომ მათი შერჩევის კრიტერიუმი სრულიად უცნობია, თვეში ხელფასის გარდა, საშუალოდ, 300-500 ლარს იღებენ წახალისების მიზნით. მაგალითად, 2001 წლის 120-ე ბრძანებულების მიხედვით სხვებთან ერთად, ვალერიან მეტრეველს, რომან შენგელიას, შალვა ჩიკვაშვილს თვეში ხელფასს ზევით 500 ლარი, მაყვალა კახაძესა და აკაკი ლაბარტყავას კი 350-400 ლარი ენიშნებათ.

სტუდენტები მისაღებ გამოცდებზე არსებულ კორუფციასაც შეეხნენ. მათ უნივერსიტეტის რექტორისგან შემდეგი რეფორმების გატარება მოითხოვეს: 1.საგნობრივი საგამოცდო კომისიის ყველა წევრი უფლებამოსილი უნდა იყოს აბიტურიენტი შეაფასოს დამოუკიდებლად, როგორც მინიმალური, ასევე მაქსიმალური ქულით. 2.ყველა საგანში მისაღები გამოცდები უნდა ჩატარდეს ტესტირებით, გარდა იმ საგნებისა, რომლებიც თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ვერ ჩატარდება ტესტირების მეშვეობით. 3.წერითი გამოცდების ჩატარების მეორე დღეს ყველა აბიტურიენტის წერითი ნამუშევარი უნდა გახდეს საჯარო და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას. 4.თითოეულ აბიტურიენტს უნდა შეეძლოს თავისი ნამუშევარის ასლი გადაიღოს უსასყიდლოდ საგამოცდო კომისიისთვის ჩაბარებამდე იმ შენობაში, სადაც ტარდება გამოცდა. 5. საგნობრივი საგამოცდო კომისიის წევრი არ უნდა ეწეოდეს რეპეტიტორულ საქმიანობას. 7.მისაღებ გამოცდებზე დაკვირვების უფლება უნდა ჰქონდეს ყველა სრულწლოვან პირს, რომელიც აკრედიტაციას გაივლის ივლისის პირველ კვირას. 8. ყველა აბიტურიენტის ნამუშევარი უნდა სწორდებოდეს საჯაროდ და გამსწორებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს მის მიერ დაწერილ ნიშანზე. ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სტუდენტები თავიანთი მიზნის მიღწევას სასამართლოს გზით აპირებენ.

# ქართული რაინდობა ქართულ ციხეში

თამარ მაისურაძე

**"დღეს პატიმრობაში მყოფ ყოფილ სამართალდამცავებზე ერთი რამის გადაჭრით თქმა შეიძლება: ისინი არასდროს იცავდნენ ადამიანების უფლებებს, მაშინაც კი, როდესაც ეს კანონით ევალებოდათ. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რაც დღეს ავჭალის №9 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ხდება,"** – ასე შეაფასეს პატიმრების დაპირისპირების ამბავი გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის - "ადამიანის უფლებების კავკასიის დირექტორატის" თაოსნობით მოეწყო.

ავჭალის №9 სასჯელაღსრულების კოლონიაში წელიწადნახევარზე მეტია, რაც ყოფილი, დღეს კი პატიმარი სამართალდამცავები ხონის კოლონიიდან გადმოიყვანეს. როგორც ჩანს, ავჭალის ჰაერს შეჩვეულნი, ხონში დროებით დაბრუნების სასტიკი წინააღმდეგნი არიან. მათზე არც ის ფაქტორი მოქმედებს, რომ თავიანთი დროებითი საცხოვრებელი პატიმარ ქალებს უნდა დაუთმონ.

25 აპრილს, თბილისში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, მატროსოვის ქუჩაზე მდებარე ქალთა კოლონია საგრძნობლად დაზიანდა. **"იქ იმდენად მძიმე სიტუაციაა, რომ კოლონიაში მყოფი ქალების სიცოცხლეს საფრთხე ყოველ წუთს ემუქრება. აღარ არის საშხაპე, საპირფარეშო, სამრეცხაო. ერთ ლოგინში ორი ქალი წევს. ასეთ პირობებში ყოფნა მათთვის დამატებითი ფსიქოლოგიური ტრავმაა,"** – თქვა პრესკონფერენციაზე ქალთა კლუბ "პეონის" წარმომადგენელმა, ნატო შავლაყაძემ. ქალთა კოლონიაში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად იუსტიციის სამინისტრომ თანხა უკვე გამოყო. წესით, გარემონტებული დაწესებულების გახსნა 27 ნოემბერს არის დაგეგმილი. სარემონტო სამუშაოების დაწყებისათვის კი კოლონიიდან პატიმრების გაყვანაა აუცილებელი. **"დღეს კოლონიაში 127 პატიმარი ქალია. მათგან 40 - მარტოხელა დედა, რომელთა უმრავლესობას შვილები ბავშვთა სახლებში ჰყავთ მიბარებული. ხომ შეიძლება, 80-მა ყოფილმა სამართალდამცავმა ქალებს ანგარიში გაუწიოს და ხონში დროებით გადასვლაზე დათანხმდეს?"** – კითხვას სვამს ნატო შავლაყაძე.

ავჭალელი პატიმრების მხრიდან პროტესტის გამოთქმის შემდეგ იმ ვარიანტზეც ყოფილა ლაპარაკი, რომ ეს უკანასკნელნი ქსანში "ტუბზონაში" გადაეყვანათ, მაგრამ ეს ვარიანტი ვარიანტადვე დარჩა, რადგან იქ "ციხის ტრადიციების მატარებელი" პატიმრები ყოფილან. ამდენად, სახელმწიფოს სამსახურში მყოფმა სამართალდამცავებმა ყოფილ კოლეგებს ანგარიში გაუწიეს.

პრესკონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი კახა გოგაშვილი იმედს იტოვებს, რომ პატიმარი კაცები რაინდობას გამოიჩენენ და ქალებს ჯიბრში არ ჩაუდგებიან. **"მართალია, ყოფილი სამართალდამცავები ხონის კოლონიის პირობებს იწუნებენ, მაგრამ, იმედია, სასჯელთაღსრულების დეპარტამენტი ამ პრობლემის მოგვარებას საკუთარ თავზე აიღებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს,"** – თქვა დასასრულ მან.

# ციხის „ბუნტის" საფუძველი - ნარკომაფია

ხათუნა გიგაური

მეექვსე დღეა, ავჭალის კოლონიის, ე. წ. "წითელი ზონის" პატიმრები აქციას აწყობენ და იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებას აპროტესტებენ. "წითელი ზონის" მობინადრეები ხონის კოლონიაში გადაყვანის წინააღმდეგ გამოდიან და ადგილზე დარჩენას კატეგორიულად მოითხოვენ. ისინი ასევე კატეგორიულად უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ "წითელი ზონა" ნარკოტიკული საშუალებების სატრანზიტო ბუდეა, რომ აქ ნარკოტიკები სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის რესპუბლიკური საავადმყოფოდან შედის და შემდეგ სწორედ აქედან ხდება მათი ბრუნვა-გასაღება და გადანაწილება სხვა კოლონიებზე. პატიმრები კატეგორიულად უარყოფენ მოარულ ხმებს იმასთან დაკავშირებით, რომ "წითელი ზონით" შინაგან საქმეთა სამინისტროა დაინტერესებული.


შიმშილობის აქცია კოლონიაში
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გუშინ ავჭალის კოლონიას ელენე თევდორაძე ესტუმრა. დაწესებულების ეზოში წამოწოლილმა მოშიმშილე პატიმრებმა მას დახმარება სთხოვეს და იმაში დასარწმუნებლად, რომ ნარკოტიკი არაფერ შუაშია და მათ, უბრალოდ, ხონის კოლონიის პირობებზე აქვთ პრეტენზია, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვეს.

ადამიანის უფლებების დამცველმა პატიმრებს აუხსნა, რომ აქცია უშედეგო იქნება, რადგან იუსტიციის სამინისტრომ მათი ხონში გადაყვანის გადაწყვეტილება უკვე მიიღო. "სასჯელი უნდა მოიხადოთ იქ, სადაც ხელისუფლებას თქვენი შენახვა შეუძლია," – განუცხადა თევდორაძემ "წითელი ზონის" "აბუნტებულ" პატიმრებს, რომლებიც შიშობენ, რომ, სერიოზული წინააღმდეგობის მიუხედავად, ხონის კოლონიაში იძულებით მაინც გადაიყვანენ. პროტესტის ერთადერთ მიზეზად ისინი ხონის კოლონიის კეთილმოუწყობლობასა და იქ უსაფრთხოების გარანტიის არქონას ასახელებენ. გაფიცულ მსჯავრდებულებს დაწესებულების თანამშრომლებიც შეუერთდნენ, რომლებიც აცხადებენ, რომ უმუშევრები დარჩებიან.

### ინფორმაცია განსჯისთვის

შეგახსენებთ, რომ ავჭალის "წითელ ზონაში" რამდენიმე თვის წინ დაწყებული არეულობის ჩასაქრობად სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავკაცობამ მეტად ორიგინალური ხერხი გამოიყენა: დაწესებულებაში მომხდარი მკვლელობის გამო მოკლულის უახლოესი მეგობარი დასაჯეს. თავადაც დაზარალებულ ელდარ გოგბერაშვილს ერთი წლით ჩაკეტილ ციხეში – "კრიტში" ტუსაღობა მიუსაჯეს.

ციხის ადმინისტრაციამ ელდარ გოგბერაშვილის მკაცრ რეჟიმში გადაყვანა მოსალოდნელი ახალი არეულობის თავიდან აცილების მიზეზით ახსნა.

ავჭალის კოლონიაში რამდენიმე თვის წინ მომხდარი სისხლიანი ანგარიშსწორების მთავარი მოქმედი გმირებისთვის – ზურაბ გოგობერიშვილის მკვლელობის დამგეგმავ-შემსრულებლებისთვის კანონდამცველებს ჯერაც არ მიუგნიათ. აფეთქება-მკვლელობას კოლონიის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ხმაურიანი "რიტუალი" მოჰყვა და გოგბერაშვილის დასჯით დასრულდა. არც ციხის ადმინისტრაცია და არც იუსტიციის სამინისტროს თავკაცები არ ჩაღრმავებიან კოლონიაში არეულობის დაწყების მთავარ მიზეზებს. არადა, როგორც ირკვევა, მიზეზი მრავალია და ძალიან სერიოზულიც.

ამას ელდარ გოგბერაშვილის მიერ ციხიდან გამოგზავნილი ბარათიც ადასტურებს: **"მოკვლის მიზნით ჩემზე სამჯერ მოხდა თავდასხმა. ამ ჩანაფიქრის თუ შეკვეთის შესრულებას ცდილობდა ერთ-ერთი პატიმარი, რის თაობაზეც ინფორმაცია თებერვალში მივაწოდე დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურს. გარდა ამისა, მე და გარდაცვლილმა ზურაბ გოგობერიშვილმა წერილობით მივმართეთ დეპარტამენტის თავმჯდომარეს. ჩვენს განცხადებებს მაშინ რეაგირება რომ მოჰყოლოდა, სისხლიანი ანგარიშსწორება არ მოხდებოდა.**

**დეპარტამენტის მაღალი თანამდებობის პირები, იმის მაგივრად, რომ წესრიგი დაემყარებინათ, ხელს უწყობდნენ დანაშაულის სისრულეში მოყვანას, რადგან მჭიდრო კავშირში არიან დამნაშავეთა სამყაროს, ნარკომაფიის წარმომადგენლებთან...**

**კონკრეტული დამნაშავე ადმინისტრაციის მხრიდან არ დაისჯება, რადგან საქმე დიდ ფულს ეხება... ჩემს წინააღმდეგ იბრძვის ნარკომაფია და, თუ მათ დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მხრიდან არ ექნებათ ხელშეწყობა, ვერაფერს მომიხერხებენ,"** – აცხადებდა ელდარ გოგბერაშვილი.

გავრცელებული ინფორმაციით, "მხედრიონელ" გოგბერაშვილსა და კოლონიის ყოფილ დე ფაქტო უფროსს, კოლონიის "მაკონტროლებელ" ბაბუნაშვილს შორის კონფლიქტი ერთი წლის წინ დაიწყო.

ჩვენი ინფორმაციით, ბაბუნაშვილი შსს-ს ნარკომანიისა და ნარკომაფიის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს კადრი გახლდათ და მას კოლონიაში ნარკოტიკების რეალიზაციისთვის იყენებდნენ. "წითელ ზონაში" ორი დაჯგუფების შექმნა და მათი დაპირისპირება ბაბუნაშვილის მიერ ნარკოტიკების რეალიზაციიდან შემოსული ფულის დაკარგვამ გამოიწვია. საქმე ისაა, რომ "მაკონტროლებელმა" დაკარგული ფულის შეგროვება პატიმართა ხარჯზე სცადა, მათთვის დაწესებული არაოფიციალური გადასახადის გაზრდით. ბაბუნაშვილს გოგბერაშვილმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია და დაპირისპირებაც დაიწყო. გოგბერაშვილს მომხრეები გამოუჩნდა - ძირითადად, ყოფილი "მხედრიონელები" და გვარდიელები - და შეიქმნა ცალკე დაჯგუფება, რომელიც კოლონიაში ძველი წესრიგის აღდგენას მოითხოვდა.

პირველი თავდასხმა გოგბერაშვილზე ხონის კოლონიაში განხორციელდა, მაშინ იგი მძიმედ დაიჭრა და მის მომხრეებთან, 30 პატიმართან ერთად, თბილისში, ციხის საავადმყოფოში ჩამოიყვანეს. ხონში უკან დაბრუნებულ გოგბერაშვილს ჩასვლის დღესვე დაესხნენ თავს ბაბუნაშვილის დაჯგუფების წევრები. მესამედ კი, უკვე ავჭალის კოლონიაში მოუწყვეს აფეთქება. სხვათა შორის, ეს ფაქტი ციხის ადმინისტრაციამ რატომღაც კი არ გაახმაურა, დამალა.

"წითელ ზონაში" დიდი ფული ტრიალებს. ძველი ბიჭები გენერლებმა შეცვალეს, რომლებიც ერთმანეთის წილებს იყოფენ," – ასეთია კულუარული ინფორმაცია.

დავუბრუნდეთ ახლანდელ აქციას. როგორც გავარკვიეთ, იუსტიციის სამინისტრო გადაწყვეტილებას არავითარ შემთხვევაში არ შეცვლის და "წითელი ზონის" ბინადრებს მაინც მოუწევთ ხონის კოლონიაში გადასახლება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციითვე, პატიმრების გადასაყვანად მატარებელი უკვე მზად არის. თუმცა, დასაშვებია, გარკვეული შეთანხმების საფუძველზე, პატიმართა გამგზავრება ჯერჯერობით გადაიდოს.

## დაკავებული ტერორისტის ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებულია

ორშაბათს ურეკში დაკავებული ადამ დეკუშევის ადგილსამყოფელი სადღეისოდ მკაცრად გასაიდუმლოებულია. თუ საქართველოს ტელევიზიის პირველადი ინფორმაცია რუსი სამართალდამცველებისთვის მის გადაცემას ირწმუნებოდა, გუშინ უკვე თავად რუსი ჟურნალისტებიც ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას ავრცელებდნენ. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ დეკუშევი, რომელსაც მოსკოვსა და ვოლგოდონსკში საცხოვრებელი სახლების აფეთქება ბრალდება, მოსკოვში, "ლეფორტოვოს" საგამოძიებო იზოლატორში ჩვენებებს იძლევა, მეორენი კი საქართველოდან რუსეთში ტერორისტის გადაყვანის ფაქტს უარყოფდნენ. თუმცა, ერთ-ერთი სატელევიზიო არხის ღამის საინფორმაციო პროგრამაში ნაჩვენები იქნა, როგორ კითხავენ რუსი სამართალდამცველები "ლეფორტოვოს" იზოლატორში დეკუშევს. იქვე გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, რომ მისი პიროვნება ამოიცნო რამდენიმე მოწმემ.

თავის მხრივ, საქართველოს უშიშროების სამინისტრო, რომელმაც განახორციელა დეკუშევის დაკავების სპეცოპერაცია, დაკავებულის ადგილსამყოფელსა და საქმის სხვა დეტალებს მკაცრად ასაიდუმლოებს. უშიშროების მინისტრის პრესმდივნის თქმით, ეს მის პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა, როცა მომხდარისა თუ მიმდინარე მოვლენების შესახებ მას ყოველგვარი კომენტარის გაკეთება აუკრძალეს. გამოძიებისთვის მოსახერხებელ მომენტში ყველაფრის თქმას კი უშიშროების მაღალჩინოსნები უპრობლემოდ გვპირდებიან.

რუსმა ჟურნალისტებმაც მხოლოდ იმის გარკვევა შეძლეს, რომ დეკუშევს აღმოაჩნდა რადუშევის გვარზე გაცემული ლტოლვილის მოწმობა. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში ასეთი მოწმობის გამოჩენა არ უკვირთ. სამინისტროს წარმომადგენელი ირაკლი ფირცხალავა აცხადებს, რომ სამინისტროს მართლაც შეეძლო პანკისის ხეობაში ასეთი მოწმობის გაცემა, თუ საიდენტიფიკაციო დოკუმენტები წესრიგში იყო.

## რეფორმების კომისია მუშაობას ასრულებს

უწყებათაშორისი რეფორმების კომისია უზენაეს სასამართლოში ორდღიან სამუშაო შეხვედრას მართავს. გუშინდელ სხდომაზე ქართველმა სამართალდამცველებმა გერმანელი პროკურორის რეკომენდაციები მოისმინეს. გერმანელმა ექსპერტმა, ქალაქ ბრემენის ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ფრიშმიტმა ქართველ კანონდამცველებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა კონცეფცია შესთავაზა.

გერმანელმა პროკურორმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი პუნქტი დაიწუნა და განაცხადა, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს. ფრიშმიტმა ქართველ კოლეგებს წინასწარი გამოძიების პროცესის რეფორმირების რეკომენდაციაც მისცა, რასაც, გერმანული სამართალწარმოების მოდელის გათვალისწინებით, ხანგრძლივი ლექცია-სემინარი მიუძღვნა.

უწყებათშორისი რეფორმების კომისიის მუშაობა დასასრულს უახლოვდება. ივლის-აგვისტოში გამართული შემაჯამებელი სხდომების შემდეგ, სექტემბრის თვეში კომისია მათ მიერ შემუშავებულ საბოლოო ვარიანტს პრეზიდენტს წარუდგენს.

*უცხოეთი*

## ექსტრემისტებმა კოლუმბიელი მილიონერი გაათავისუფლეს

კოლუმბიელმა ბოევიკებმა ვენესუელელი მილიონერი რიჩარდ ბულტონი გაათავისუფლეს. ბიზნესმენი 2 წელია, ექსტრემისტთა ტყვეობაში იმყოფება. ბოევიკებმა ვენესუელას ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მეწარმე საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებს გადასცეს.

რიჩარდ ბულტონის გათავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე დაჯგუფება "კოლუმბიის თავდაცვის გაერთიანებული ძალების" ლიდერმა განაცხადა, რომ ბულტონი მისმა ბოევიკებმა გაიტაცეს. აღიარების შემდეგ მეთაური დაკავებული პოსტიდან მოულოდნელად გადადგა.

ბულტონის ძმამ ვენესუელას ტელევიზიას შეატყობინა, რომ თებერვალში დაზვერვის სამსახურს პირადად გადასცა ძმის გამოსასყიდი თანხა, რომელსაც ბოევიკები მეწარმის სანაცვლოდ ითხოვდნენ.

მსოფლიოში ყველაზე ხშირად ადამიანთა გატაცება კოლუმბიაში ხდება. მარტო გასულ წელს 3 ათასი ტყვედაყვანილი ადამიანი დაფიქსირდა.

## ტერაქტი, თუ ქურდობა

ამერიკის შეერთებულ შტატებში უპრეცედენტო ქურდობა მოხდა. ნიუ-იორკში თვითმფრინავის გამცილებლის სახლიდან სამუშაო ფორმა, მფრინავების კაბინეტის გასაღები და პირადობის მოწმობა გაქრა. მოპარულია წიგნი, რომელშიც ხომალდის რეისების განრიგი იყო ჩამოთვლილი. ქურდობამ ნიუ-იორკის მოსახლეობა აღაშფოთა. ჩადენილი დანაშაული დაუკავშირეს მოსალოდნელი ტერორისტული აქტის საშიშროებას. გამცილებლის სახლიდან, სამსახურეობრივი ნივთების გარდა, მოპარულია მხოლოდ თამბაქოს ორი შეკვრა. გამცილებელი ნიუ-იორკის ავია-კომპანია Delta airlines-ის თანამშრომელია. ნიუ-იორკის პოლიცია და ტერორიზმთან ბრძოლის გაერთიანებული სამსახურის სპეციალისტები ერთიანი ძალებით ცდილობენ გამოიკვლიონ მომხდარი ქურდობის მიზეზი. ნიუ-იორკის პოლიციის კომისრის რეა კელის განცხადებით, საგანგაშო არაფერია. იგი ქურდობას მოსალოდნელ საფრთხეს არ უკავშირებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლონდონში არსებული ამერიკული ავია-კომპანიების ეკიპაჟის წევრებმა მთავრობას აცნობეს, რომ მათ შემჩნეული ჰყავთ აღმოსავლური გარეგნობის ქალები და მამაკაცები, რომლებიც აეროპორტში ეკიპაჟის წევრებს საეჭვოდ უთვალთვალებდნენ და მათ საუბარს ფარულად უსმენდნენ.

# წყნეთის ტყეს თანამდებობის რამდენიმე პირი ეწირება

პირველი გვერდიდან

**"ის, რაც დღეს აქ მოხდა, საქართველოს დღევანდელობისთვის მეტად დამახასიათებელი მოვლენა გახლავთ,** — თქვა კახა უგულავამ მეფარიძე-ჯაფარიძის სიტყვიერი შეხლა-შემოხლის შემდეგ, — **ჩვენ ეს ხალხი მოვიწვიეთ, რომ გვეჩვენებინა — ხშირ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გადანაწილება იმდენად ბუნდოვანია, რომ, დარღვევის შემთხვევაში, დანაშაულის ერთმანეთისთვის გადაბრალებით საკითხი ამოწურულად ითვლება. არადა, დარღვევას დარღვევა მოსდევს. მაგალითად, შოთა მეფარიძე, რომელიც, ჩემი აზრით, სრულიად სამართლიანად იქნა გათავისუფლებული თანამდებობიდან, თურმე არ ყოფილა ერთადერთი დამრღვევი. ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები მოწმობს, რომ წყნეთში ტყის უკანონო ჭრა და უკანონო მშენებლობები მისი გათავისუფლების შემდეგაც მიმდინარეობს".**

ანტიკორუფციულს იმ საქმის გაკეთება მოუხდა, რაც გენერალურმა პროკურატურამ აიცილა თავიდან. კერძოდ, სამართალდამცველებმა დაბა წყნეთში ხეების უკანონოდ გაჩეხვისა და მიწის ნაკვეთების გაცემისას გამოვლენილ სამართალდარღვევებში დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინეს და ამიტომ არც სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. თუმცა, იმის დამადასტურებელი დოკუმენტური კადრები, რომ წყნეთში უკანონობა გრძელდება, ანტიკორუფციული ბიუროს სხდომაზევე აჩვენეს. აჩვენეს წყნეთის ტყე-პარკის ერთ-ერთი მონაკვეთის ხუთი თვის წინანდელი, ანუ მაშინდელი მდგომარეობა, როცა გამოიცა პრეზიდენტის ბრძანებულება "დაბა წყნეთის ტერიტორიაზე უკანონოდ ხეების ჭრისა და მიწათსარგებლობაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების შესახებ". მაშინ ტყის ეს ფართობი მხოლოდ საეჭვოდ იყო მონიშნული. ამ ბრძანებულების გამოცემიდან ხუთი თვის თავზე კი იმავე ადგილას გადაღებული კადრები მოწმობს, რომ იქ მშენებლობა დაიწყო და საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. შოთა მეფარიძის თქმით, ხალხი, რომელიც მშენებლობას იწყებს, საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტაციასაც ფლობს, მაგრამ, საქმეც ის გახლავთ, რომ სულ სხვა ადგილზე იწყებენ მშენებლობას. იგივე მეფარიძე, რომელსაც თავის დროზე თავისი ოჯახის წევრებისა და ნათესავებისთვის მიწის დანაწილებას ედავებოდნენ, ახლა ჯაფარიძეს აბრალებს, სიდედრს,


ურთიერთბრალდებები
მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ცოლისდას, ახლობელ-ნათესავებს წყნეთში ნაკვეთები ჩამოურიგეო. პროტექციონიზმში არა ერთი ბრალდების წამოძახების მიუხედავად, ანტიკორუფციული ბიურო გუშინ სხვა პრობლემებზე მსჯელობდა და სანამ სხდომაზე გამართული კამათის შემდეგ, მარტო დარჩენილებმა პრეზიდენტისათვის გასაგზავნი ვერდიქტი გამოიტანეს, ქუჩაში მტყუან-მართლის გარჩევა დედის გინების თანხლებით მიმდინარეობდა.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ კი კახა უგულავამ საჯაროდ გამოაცხადა ბიუროს წევრებთან შეთანხმებული რეკომენდაციის ტექსტი. ანტიკორუფციონერების აზრით, პასუხისმგებლობის გადანაწილება, საბოლოოდ, უპასუხისმგებლობით დასრულდა და დღემდე არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა უკანონო ჭრისა და უკანონო მშენებლობების აღსაკვეთად. მათ მიერ გაკეთებულ რეკომენდაციაში ნათქვამია, რომ ამ სფეროში უკანონობას ექნება ადგილი მანამ, სანამ არ დაისჯებიან კონკრეტული თანამდებობის პირები, რომლებიც ვერ ან არ ართმევენ თავს თავიანთ სამსახურეობრივ მოვალეობებს. შესაბამისად, იმის გამო, რომ ვერ უზრუნველყვეს პრეზიდენტის ბრძანებულების აღსრულება და წყნეთის ტყეების უკანონო ჭრისაგან დაცვა, ბიურომ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, გივი ჯაფარიძის, თბილისის სატყეო მეურნეობის უფროსის, სპარტაკ ჩიტაძის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმა მოითხოვა. ასევე, რეკომენდირებულია თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის უფროსის, კახა შენგელიასა და თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის უფროსის, ირაკლი ლოლაშვილის გათავისუფლებაც, რომლებსაც, პროკურატურის დასკვნაში დანაშაული არა, მაგრამ დარღვევა ნამდვილად ბრალდებათ.

ანტიკორუფციული საბჭოს წევრი გიორგი ისაკაძე მშენებლობისა და გარემოს დაცვის მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც ითხოვდა, თუმცა ბიურო ამჯერად გაფრთხილებას დასჯერდა და მშენებლობისა და გარემოს დაცვის მინისტრებს, თბილისის მერს, გარდაბნის რაიონის გამგებელს, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ორკვირიანი ვადა მისცა.

დათქმულ ვადაში მათ უნდა წარადგინონ წყნეთსა და გარდაბნის რაიონს შორის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებული წინადადებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიურო მათი პასუხისმგებლობის საკითხსაც დასვამს.

**"მე სამართლიანად არ მიმაჩნია ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება და ვფიქრობ, რომ იმ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, რომლებსაც მე მათ წარვუდგენ, ისინი თავის შეცდომას მიხვდებიან",** — ამბობს თანამდებობას, ფაქტობრივად, უკვე დამშვიდობებული გივი ჯაფარიძე და კახა უგულავას იმ დოკუმენტაციას სთავაზობს, რომლის სხდომაზე წარდგენასაც ანტიკორუფციონერებზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

# რა ბედი ელის სამხედრო ბეგარას

პირველი გვერდიდან

სამხედრო სამსახურის გადავადება ერქვა. განსხვავება ის არის, რომ ავადსახსენებელი სიტყვა "ქრთამი" კეთილხმოვანი "მოსაკრებლით" შეიცვალა. თანაც ფინანსური ტერმინის ქვეშ ნაგულისხმევი თანხა, რომელიც ერთწლიანი გადავადების შემთხვევაში 200, ხოლო ერთჯერადად გადავადებისას – 2000 ლარს უტოლდება, არა კომისარიატის მუშაკის, არამედ სახელმწიფო ხაზინაში გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ჩაირიცხება და ისევ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას მოხმარდება. ხოლო იმისთვის, რომ მოსახლეობას გაუქრეს სამხედრო კომისარიატის მუშაკების მიმართ არსებული შიში და წყენა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ დიმიტრი ლეჟავას განცხადებით, ამიერიდან წვევამდელებს საქმის დაჭერა მუნიციპალურ სამოქალაქო სტრუქტურებთან მოუწევთ.

**"ბეგარის გადახდის ორგანიზება მოხდება შემდეგნაირად. ოფიციალური განცხადება გამოიკვრება, ანგარიშის ნომრით, რომლითაც უნდა გადაიხადონ ეს თანხა. შემდეგ წვევამდელები აიღებენ ამ ქვითარს და მიიტანენ სამხედრო განყოფილებაში, რომლებიც გამგეობებთან იქნება. ქვითარი ჩაიკვრება წვევამდელის პირად საქმეში და ეს იქნება საფუძველი გადავადებისა და არა განთავისუფლებისა(სამხედრო საქმისგან).ხოლო ის პირები, რომლებიც გადავადებას მიიღებენ, 27 წლის ასაკში მაინც გაივლიან 6-თვიან შეკრებას და შემდეგ ჩაირიცხებიან რეზერვში",** - აცხადებს პოლკოვნიკი დიმიტრი ლეჟავა.

თუმცა, ყველაფერი ასე მარტივად რომ არ იქნება, ამთავითვე ცხადია. მოსალოდნელ დაბრკოლებებს შორის ორი ჰიპოთეტური შესაძლებლობა სახელდება: 1) ყველა წვევამდელის მშობელი გადაიხდის მოსაკრებელს და არმია საერთოდ რესურსის გარეშე დარჩება და 2) როცა პირიქით, ყველა წვევამდელი გამოთქვამს სურვილს, რომ არ გადაიხადოს ფული და პატიოსნად მოიხადოს სამხედრო ვალდებულება. სამხედრო უწყების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ წარმოდგენილი ორივე შემთხვევა სწორედ მათ წისქვილზე ასხამს წყალს – თუ ყველა წვევამდელი(მათი რაოდენობა კი საქართველოში დაახლოებით 100 ათასია) გადაიხდის ფულს, მაშინ ბიუჯეტში იმხელა თანხა დაგროვდება, რაც შესაძლებლობას მისცემს არმიის ხელმძღვანელობას, საჭირო კონტინგენტი საკონტრაქტო წესით დააკომპლექტოს და პროფესიონალ სამხედროებს საკმაოდ მაღალი ხელფასიც გადაუხადოს. მეორე შემთხვევაში, რაც ფანტაზიის სფეროს უფრო განეკუთვნება, სამხედრო უწყება ასევე არაფერს კარგავს, რადგან მას შესაძლებლობა ექნება, ყველა მსურველიდან ხარისხიანი რესურსი შეარჩიოს.

თავდაცვის სამინისტროში მიიჩნევენ, რომ ყველაზე მოკრძალებული გათვლებით, მოსაკრებლის შედეგად შემოსულმა თანხამ, მხოლოდ პირველ წელს, დაახლოებით 10-15 მილიონი ლარი უნდა შეადგინოს. დამატებითი შემოსავლის ძირითადი დონორები კი, ახალი კანონმდებლობით, საქართველოს კომერციული და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ის 30 ათასამდე სტუდენტი იქნება, რომლებიც უკვე ვეღარ ისარგებლებენ სწავლის პერიოდში სახელმწიფოს მიერ დაწესებული გადავადების შეღავათით. კანონის მომხრეთა თქმით, მოსაკრებლის პოტენციურ გადამხდელთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა, პარლამენტი დათმობაზე რომ არ წასულიყო და შეღავათები ზოგიერთი კატეგორიის, მათ შორის დედისერთებისა და 20 კვირის ფეხმძიმე ცოლიანი წვევამდელებისთვისაც რომ გაეუქმებინა. თუმცა სამხედრო წრეებში დარწმუნებით აცხადებენ, რომ უახლოეს სესიაზე პარლამენტი შეღავათების საკითხს კიდევ ერთხელ გადახედავს.

როგორც ჩანს, დამატებითი თანხის მიღების სურვილი იმდენად ძლიერია, რომ ხელისუფლება ვეღარ ამჩნევს, თუ როგორ გროვდება "საავდრო ღრუბლები" მის თავზე.

დედისერთების უფლებების დასაცავად უკვე აღიმაღლა ხმა ჯარისკაცთა უფლებებსა და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებზე მომუშავე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებმაც ივნისის ბოლოს სათათბირო ორგანო "ალიანსი" დააფუძნეს. "ალიანსის"ერთ-ერთი წარმომადგენლის, ასოციაცია "სამართალი და თავისუფლების" დირექტორის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, "თუ სხვა შემთხვევებში გადავადების სისტემა სერიოზულ ცვლილებას მოითხოვს, დედისერთებთან დაკავშირებით მისი არსებობა იმით არის გამართლებული, რომ იცავს გვარის ერთადერთ გამგრძელებელს იმ პოტენციური საფრთხისგან, რომელიც ადამიანს სამხედრო სამსახურში საბრძოლო ამოცანის შესრულებისას შეიძლება დაემუქროს." უფრო შორს მიდის სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობის ექსპერტი დავით დარჩიაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ დისკრიმინაციულია არა მხოლოდ ამ მუხლის გაუქმება, არამედ თავად მოსაკრებლის კანონის შემოღება, რომელიც ოფიციალურად აკანონებს სახელმწიფოსთვის ქრთამის გადახდის შესაძლებლობას. და თუ ეს ტენდენცია საზოგადოებაში ფეხმოკიდებულ სხვა მავნე პრობლემაზეც გავრცელდა, მაშინ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ხელისუფლებამ, შესაძლოა, "სისხლის აღების" ადათის ან მოაქალაქის ლინჩის წესით დასჯის დაკანონებასაც დაუჭიროს მხარი.

მაგრამ მოსაკრებელთან დაკავშირებული გაუგებრობები მხოლოდ ამით არ ამოიწურება. კანონის თაობაზე უკმაყოფილება შეიმჩნევა სხვა სამხედრო სტრუქტურებში, რომლებიც მიიჩნევენ, რომ შემოსული ვირტუალური მილიონებიდან, თავდაცვის სამინისტროს გარდა, გარკვეული წილი მათაც ერგებათ. ესეც რომ არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, რომ კომისარიატის მრავალნაცადმა მუშაკებმა, ან მათმა კოლეგებმა მუნიციპალური გამწვევი ორგანოებიდან, რაღაც გამოსავალს აქაც არ მიაგნონ. საქართველოში ხომ გადასახადის დამალვის უამრავი მზამზარეული მეთოდი არსებობს. გარდა ამისა, კანონის ამოქმედების შემთხვევაში, აშკარად გაიზრდება გამწვევი სამხედრო სამედიცინო კომისიის "აქციები", რომელსაც ნახევარ ფასში, ყალბი ჯანმრთელობის ცნობით, შეეძლება წვევამდელის სამხედრო ვალდებულებისგან დახსნა. ერთი სიტყვით, მოსაკრებლის კანონს წინ ჯერ კიდევ ბევრი საინტერესო ამბები ელის.

# საქართველო კვლავ რჩება ეზოდ, რომელსაც ღობე არა აქვს

პირველი გვერდიდან

## რუსეთის ფედერაცია

სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებით, ყველაზე მეტი პრობლემა, ტრადიციულად, რუსეთის ფედერაციასთან გვაქვს. პირიქითა ხევსურეთში, რუსეთსა და საქართველოს შორის სადავოა მუცოს ქედთან ტრადიციული საძოვრების ტერიტორია, რომელიც ფიჭვებისა და აცეხის სახელით არის ცნობილი. 1999 წლის შეთანხმებით, ეს ტერიტორია რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. თუმცა, მოგვიანებით ქართულ მხარეს ხელში ჩაუვარდა 20-იანი წლების დოკუმენტური მასალა, სადაც ეს ტერიტორია საქართველოს შემადგენლობაშია დაფიქსირებული. **"რუსეთის სადელიმიტაციო და სადემარკაციო კომისია ძლივს დავითანხმე, რომ ამ მასალებს გაცნობოდნენ. თავიდან ამის გაგონებაც არ უნდოდათ და ადრე მიღწეული შეთანხმებების დარღვევაში გვადანაშაულებდნენ. ახლა განსხვავებული სიტუაციაა,"** – ამბობს ზაზა კანდელაკი. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიისა და გეოინფორმატიკის განყოფილების გამგე ჯანო კეკელია მიიჩნევს, რომ ორი წლის წინ ქართულმა მხარემ სერიოზული შეცდომა დაუშვა, როცა მოლაპარაკებებზე დოკუმენტური მასალებით მომზადებული არ დაჯდა. **"ფიჭვებსა და აცეხში რუსებმა საზღვრის მოწყობა დაიწყეს, ფული დახარჯეს და ასე იოლად არაფერს დათმობენ. სადავო ტერიტორია ცხრა კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. საზღვარი ერთი კილომეტრით არის გადმოწეული. რუსეთის მხარეს დარჩა ანატორიის კოშკი, ხევსურების უძველესი სალოცავი. ასევე, სათიბი და საძოვრები. რუსმა მესაზღვრეებმა მდინარეების - ანდაკისა და არღუნის შესართავთან გადმოინაცვლეს,"** – აცხადებს კეკელია.

თითქმის ანალოგიური სიტუაციაა დარიალის ხეობაში - ზემო ლარსიდან საზღვარი ერთი კილომეტრით არის გადმოწეული, დაახლოებით, ათი კვადრატული კილომეტრის ფართობის ტერიტორია რუსეთის ფედერაციას რჩება. აქ, ტრადიციულად, საზღვარი ე.წ. "ეშმაკის ხიდზე" გადიოდა, მდინარე თერგის სანაპიროსთან, მაგრამ ახლა რუსი მესაზღვრეები უკვე გვირაბთან დგანან.

ექსპერტი ჯანო კეკელია სერიოზულ პრობლემებს ელოდება მთა-თუშეთის საზღვრის მონაკვეთზეც. **"დიკლოს მთის მონაკვეთზე მოლაპარაკებებისას სერიოზული შეცდომა დაუშვით, ორმხრივ ოქმში გაფორმდა, რომ საქართველო თანახმაა, საზღვარი სამი კილომეტრით გადმოიწიოს. ამ ტერიტორიაზე დაღესტნე-**


ქართველი მესაზღვრეები

**ლებს ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან ეჭირათ თვალი და მისი გადაცემის საკითხი არაერთხელ დაუყენებიათ, მაგრამ ჩვენი პოზიცია ყოველთვის უარყოფითი იყო. საზღვრის ეს მონაკვეთი ისეა მოწყობილი, რომ სამი კილომეტრით გადმოწევის შემდეგ, ის ქვემოდანაც აუცილებლად უნდა გასწორდეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, დაახლოებით, 42 კვადრატული კილომეტრის ტერიტორია სხვა ქვეყნის იურისდიქციაში გადავა,"** – აცხადებს კეკელია.

მოლაპარაკებების საგანი ასევე შეიძლება გახდეს სახელმწიფო საზღვრის პატარა მონაკვეთი აფხაზეთში. ზაზა კანდელაკის თქმით, **"რუსული მხარე აქაც ტერიტორიის პატარა ნაწილზე აცხადებს პრეტენზიას".**

## სომხეთი

სომხეთთან საზღვრის დიდი ნაწილის განსაზღვრა, ექსპერტთა თქმით, პრობლემას არ წარმოადგენს. თურქეთის საზღვრიდან აღმოსავლეთით, ჯავახეთის ქედამდე პრეტენზიას არც ერთი მხარე არ აცხადებს. **"ჯავახეთის ქედიდან სადახლომდე საზღვრის მონაკვეთის შესახებ შეთანხმების მიღწევა შედარებით რთულად მესახება,"** – ამბობს კეკელია. ქართული მხარე სადავოდ მიიჩნევს სოფელ ახქერფთან ახლოს, მგლის ბილიკის უღელტეხილის მიმდებარე 600 ჰექტარ მიწას, სადაც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ჰუჯაბი მდებარეობს. **"ეს ტერიტორია იყო ქართველი თავადების, მელიქიშვილების მამული, მას ჰყავს მემკვიდრეც, ყოფილი პარლამენტარი, პროფესორი გივი გიგინეიშვილი. აგერ მიდევს მის მიერ გადმოცემული კადასტრული რუკა, სადაც ეს ტერიტორია საქართველოს შემადგენლობაშია დაფიქსირებული,"** – აცხადებს კეკელია. ეს მიწები 1935 წელს, გაურკვეველი მოტივით, გადაუციათ სომხეთისთვის. კეკელია არ გამორიცხავს, რომ ამ ტერიტორიაში საქართველომ სომხეთს სხვა ტერიტორია გაუცვალოს. შეთანხმებას საჭიროებს, აგრეთვე, საზღვრის მონაკვეთი გეგუთის გამშვებ პუნქტთან.

## აზერბაიჯანი

40–იან წლებში საქართველომ აზერბაიჯანს დროებით, მუდმივ სარგებლობაში უსასყიდლოდ გადასცა 310 ჰექტარი მიწა, წითელი ხიდთან. აზერბაიჯანს ამ ტერიტორიაზე ბამბის მრეწველობა უნდა განევითარებინა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ ამ მიწაზე პრეტენზია განაცხადა. **"აზერბაიჯანელები ამ პრეტენზიას არ იღებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ გარიგების შესახებ არქივში დევს დოკუმენტი. უფრო მეტიც, იქ არიან ძალები, რომლებიც წითელი ხიდის გადაცემასაც კი ითხოვენ,"** – ამბობს კეკელია. ზაზა კანდელაკს კი მიაჩნია, რომ **"მოლაპარაკებები აზერბაიჯანულ მხარესთან კონსტრუქციული ხასიათის იქნება".**

▪ ▪ ▪

"დაუზუსტებელი, გაუფორმებელი საზღვარი არის გაუთვალისწინებელი და სახელმწიფოსთვის არასასურველი მოვლენების წარმოქმნის წინაპირობა. ამიტომ ვცდილობთ, რომ პროცესი ყველა მიმართულებით დაჩქარდეს," - მიაჩნია საგანგებო დავალებათა საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, ზაზა კანდელაკს.

# შევარდნაძე - ქართული პოლიტიკის გუშინდელი დღე

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, დღეს შევარდნაძეს არანაირად არ აძლევს ხელს სიტუაციის გამწვავება, რადგან, პირველ რიგში, ეს მის შერყეულ პოზიციებს და უსაფრთხოებას შეუქმნის პრობლემას.

თუმცა, ეს მარტივი ლოგიკა დღეს ხელისუფლების არც ერთ ნაბიჯზე არ აისახება. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი თემურ ხაჩიშვილის შეწყალებაა, რომელიც შევარდნაძის მხრიდან ისეთი უზნეო ნაბიჯი აღმოჩნდა, რომ თავად არც თუ ისე ზნეობრივი ღირებულებების მატარებელი ოპოზიციისთვისაც კი საგანგაშო გახდა.

რამდენიმე დღის წინ ედპ-ს ოფისში სხვადასხვა პარტიების ლიდერების შეკრების შემდეგ ბევრი აღნიშნავდა, რომ ამ ფაქტს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომ ის გრძელვადიანი არ იქნება და რომ, შევარდნაძე მათ ერთობას სულ მალე მოუღებს ბოლოს.

არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად გრძელვადიანი იქნება პარტიათა ეს სოლიდარობა. ემოციურ დონეზე ის ფაქტი, რომ დაპირისპირებულმა და ერთმანეთის მლანძღველმა პარტიებმა ერთი დღით მაინც მოახერხეს გაერთიანება და საკუთარ პირად ბოლმაზე მაღლა დადგომა, თავისთავად დადებითი მოვლენა იყო.

თუმცა, ყველაზე მთავარი დღეს ამ მოვლენის პოლიტიკური მნიშვნელობაა.

შევარდნაძე საკუთარი სახელმწიფო მინისტრის და ძალით შეყვანილი მინისტრების ხარჯზე ხელახლა "აღორძინებული" "მოქალაქეთა კავშირის" ანაბარა დარჩა, ოპოზიციური პარტიებიდან ჩუმი თუ შედარებით გახსნილი პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე.

ხაჩიშვილის განთავისუფლების გამო პროტესტის ნიშნით გაერთიანებული პარტიები, ალბათ, მალე დაიშლებიან და ეს ლოგიკურიც იქნება. თუმცა, ძალიან საეჭვოა, რომ მათი დაშლა მაინცადამაინც შევარდნაძემ მოახერხოს.

ირინა სარიშვილი და დავით გამყრელიძე ბოლო წლების განმავლობაში ზურაბ ჟვანიას ოპოზიცია უფრო იყვნენ, ვიდრე ედუარდ შევარდნაძისა და ყოველთვის გულწრფელად სურდათ, პრეზიდენტის გვერდით ჟვანიას ადგილი დაეკავებინათ.

მაგრამ დღეს სიტუაცია შეიცვალა. ხაჩიშვილის ციხიდან გამოშვება ირინა სარიშვილს პირად ტრაგედიას შეეხო, რომელიც ედპ-ს ლიდერისთვის, სავარაუდოა, პოლიტიკურ ინტრიგებზე მაღლა დგას.

გარდა ამისა, რაც ძალინ მნიშვნელოვანია, აღარ არსებობს რეალური საფუძველი საიმისოდ, რომ სარიშვილი შევარდნაძის წიაღში დაბრუნდეს, რაც არ უნდა შესთავაზოს მას პრეზიდენტმა. სარიშვილს, ისევე, როგორც სხვა პარტიების ლიდერებს, წლების განმავლობაში დაგროვებულმა მწარე გამოცდილებამ უჩვენა, რომ შევარდნაძესთან კეკლუცი ბევრი არაფრის მომტანია.

ეს თავის თავზე უკვე გამოსცადა დავით გამყრელიძემაც და მთელმა "ახალმა მოძრაობამ". გამყრელიძე ბოლო დროს ქართულ პოლიტიკაში ახალი ნიშის მოძებნას ცდილობს, რადგან ის ძველი პოზიციები, რომელიც მას ხელისუფლებასთან მიმართებაში ეკავა, საკმაოდ წარუმატებელი აღმოჩნდა.

სხვათა შორის, ჯორბენაძე და შევარდნაძე მაშინაც ძალიან შეცდნენ, როცა გადაწყვიტეს, რომ აქცენტი არა მემარჯვენეებზე და მათ ფავორიტობას მოწყურებულ სხვა პარტიებზე გაეკეთებინათ, არამედ ძალით შეყვანილი მინისტრების ხარჯზე მოქალაქეთა კავშირი "აეღორძინებინათ."


ახალი არჩევანის წინ
ბესო გულაშვილის ფოტო

მართალია, შევარდნაძე იმუქრება, რომ დარჩენილ საპრეზიდენტო ვადაში ის კიდევ ბევრი რამის გაკეთებას მოასწრებს, მაგრამ ფაქტია - ხაჩიშვილის შეწყალება ძალიან ცუდი დასაწყისია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შევარდნაძე ისევე ვერ შეძლებს საკუთარი რეპუტაციის რეაბილიტაციას, როგორც პოლიტიკურ ალღოს მოკლებული ჯორბენაზე - ყოფილი მმართველი პარტიის გადარჩენას.

სხვათაშორის, სულაც არ იქნება მოულოდნელი, თუ "ახალი მოძრაობა" შევარდნაძესთან მისასვლელ გზებს ისევ გამონახავს. ამ პარტიის ლიდერებს მაინც ბევრი რამე აკავშირებთ ხელისუფლებასთან და საკმარისად გამოუცდელები არიან იმისათვის, რომ შევარდნაძეს ერთი იმედგაცრუება არ აპატიონ.

მაგრამ, ვერც გამყრელიძის, სარიშვილის, ან სხვა რომელიმე პოლიტიკოსის გადასვლა შევარდნაძის ბანაკში, ვერ შეცვლის ახალ რეალობას, რომელიც პრინციპულად განსხვავდება წინა წლების რეალობისგან. შევარდნაძე ქართულ პოლიტიკაში უკვე გუშინდელი დღეა. პარტიათა თითქმის ერთი თაობის ლიდერები შევარდნაძის გარეშე არსებობას ეჩვევიან და ერთმანეთთან ურთიერთობის გზებს დამოუკიდებლად ეძებენ.

ქართულ პოლიტიკაში კი ათვლის ახალი წერტილი მხოლოდ მას შემდეგ გაჩნდება, როცა ქვეყანაში პოლიტიკური კონკურენციის ჯანსაღი გარემო შეიქმნება და მოსახლეობა საკუთარი სიმპატიით გადაწვიტავს, ვის მიცეს ხმა.

ხალხის პირისპირ

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
სამუშაო ადგილი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

www.24hours.ge
24
B

# საჰაერო ბურთით - მსოფლიოს გარშემო

## თითქმის ჟიულ ვერნის მიხედვით

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ



სტივ ფოსეტი ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროს უახლოვდება

REUTERS

"ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი თუნდა ხისაო"... ამ შემთხვევაში თავზეხელაღებულ ვაჟკაცს სტივ ფოსეტი ჰქვია. იგი 58 წლის ბანკირ-ინვესტორია ჩიკაგოდან. 3 ივლისს ფოსეტმა დაასრულა ჰაერნაოსნობის ისტორიაში პირველი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო საჰაერო ბურთით - მარტომ, შეჩერებების და ძრავის გარეშე. მანამდე მსგავსი მოგზაურობა წარმატებით დასრულდა მხოლოდ ერთხელ - 1999 წლის მარტში, ოღონდ მაშინ საჰაერო ბურთის ეკიპაჟს შეადგენდა ორი ადამიანი - შვეიცარელი დოქტორი პიკარდი და ინგლისელი ბრაიენ ჯონსი. მათი მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო გრძელდებოდა 19 დღის განმავლობაში და, 29 ათასი მილის - ჩინეთის, წყნარი ოკეანის და აშშ-ს თავზე გადაფრენის შემდეგ, დასრულდა ეგვიპტეში.

სტივ ფოსეტმა მიზანს მეექვსე მცდელობისას მიაღწია. წინა ხუთი წარუმატებელი იყო და თითოეული მათგანი შეიძლებოდა დამთავრებულიყო ამ გაბედული ადამიანის დაღუპვით. ასე, მაგალითად, 1995 წელს მისი საჰაერო ბურთი "მარტოხელას გამოწვევა" ქარბუქის მსხვერპლი გახდა კანადის ტერიტორიაზე. 1998 წელს საჰაერო ბურთმა "გამოწვევა მსოფლიოს" მარცხი განიცადა ჰავაის კუნძულების თავზე. ხოლო 2001 წელს ფოსეტის საჰაერო ბურთი "მარტოხელას სული" ჩამოვარდა მეცხოველეობის ფერმის ტერიტორიაზე ბრაზილიაში.

რამდენჯერ შეიძლება ბედის გამოცდა? იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს აუცილებელია მიზნის მისაღწევად - ასეთი იყო ფოსეტის პასუხი ამ კითხვაზე. და, ბოლოს, მეექვსე მცდელობისას ბედმა გაუღიმა შეუპოვარ ადამიანს, რომელიც ვერ შეაშინა სიკვდილთან ხუთჯერ შეხვედრამ.

ამჯერად ფოსეტის საჰაერო ბურთს ერქვა "თავისუფლების სული", და ეს ახალი სახელი ბედნიერი აღმოჩნდა. ფოსეტმა სტარტი აიღო 18 ივნისს დასავლეთ ავსტრალიის ქალაქ ნორტჰემიდან და 19.400 მილი ძირითადად დასავლეთ ნახევარსფეროს თავზე იფრინა. 2 ივლისს, იმყოფებოდა რა ინდოეთის ოკეანის თავზე 27 ათასი ფუტის სიმაღლეზე, ავსტრალიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან ახლოს, ჰაერნაოსანმა გადაკვეთა თავისი სასტარტო გრძედი - აღმოსავლეთის 117 გრადუსი, საღამოს 9 საათსა და 38 წუთზე ადგილობრივი დროით. ფოსეტმა ჰაერში გაატარა ცამეტ-ნახევარი დღე. ფინიშის გავლის შემდეგ მისი საჰაერო ბურთი მოხვდა ჰაერის ძლიერ ნაკადში, რომელმაც ფოსეტის საფრენი აპარატი სამხრეთ ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირისკენ გააქანა.

ფოსეტი თანამგზავრული ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა კონტროლის სპეციალურ ცენტრს სენტ-ლუისში - ქალაქში, საიდანაც დიდმა მფრინავმა ლინდბერგმა პირველმა მარტომ აიღო სტარტი და გადაიფრინა ატლანტის ოკეანე თვითმფრინავით "სენტ-ლუისის სული". სწორედ ამ მომენტში ცენტრში მიმდინარეობდა ფრენის წარმატებით დასრულებისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. ფოსეტმა თავისი საჰაერო ბურთიდან დაიძახა:

- უდიდეს კმაყოფილებას და შვებას ვგრძნობ. ბორტზე თან მაქვს რამდენიმე ბოთლი ლუდი. მაგრამ გადავწყვიტე, შევინახო ისინი მიწაზე დაშვებამდე, ვინაიდან აქ ვერავის მივუჭახუნებ!

მიუხედავად ჰაერში გატარებული ხანმოკლე დროისა და საჰაერო ბურთის მიერ დაფარული მილების სიმცირისა, ფოსეტის მოგზაურობა პასუხობს მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის პარამეტრებს, რომლებიც დადგენილია აერონავტიკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ, და რომლის შტაბ-ბინაც შვეიცარიაში მდებარეობს. ამ პარამეტრების მიხედვით, ფოსეტს უნდა ეფრინა მინიმუმ 12 400 მილი და დარჩენილიყო სამხრეთ პოლუსის ირგვლივ შემოვლებული აბსტრაქტული წრის მიღმა, რომლის დიამეტრიც 4 134 მილია (ეკვატორის მიხედვით მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა შეადგენს 24 900 მილს). "ჩვენს მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მისტერ ფოსეტმა წარმატებით დაამყარა მსოფლიო რეკორდი", - განაცხადა ფედერაციის გენერალური დირექტორის მოადგილემ ტერი მონტანამ.




სტივ ფოსეტი

REUTERS



REUTERS

ფოსეტის ფრენა გაცილებით უფრო სახასიათო იყო, ვიდრე პიკარდის და ჯონსის მიერ ორგანიზებული მსგავსი მოგზაურობა. მათ შეეძლოთ ერთმანეთს შენაცვლებოდნენ საჰაერო ბურთის პილოტირებაში, შეეძლოთ გამოძინება. ფოსეტს კი დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ოთხი საათი შეეძლო სძინებოდა, და ისიც 45-წუთიანი ან კიდევ უფრო ხანმოკლე მონაკვეთებით. ამ დროს საჰაერო ბურთს ავტოპილოტი მართავდა. საჰაერო ბურთ "თავისუფლების სულის" აღჭურვილობა უაღრესად სპარტანული იყო. მაგალითად, ჰქონდა მცირე რაოდენობით ჰაერი, 7 ფუტი სიგრძის, 5 ფუტი სიგანის და 5 ფუტი სიმაღლის ბურთის კაფსულა არ იყო ჰერმეტული, რის გამოც ფოსეტს, პრაქტიკულად, მთელი მოგზაურობის პერიოდში უწევდა ჟანგბადის ნიღბის ტარება. ფოსეტს საწვავის ავზების შესაცვლელად და მფრქვეველების შესაკეთებლად უხდებოდა ძლიერ ყინვაში ბურთიდან გამოსვლა.

ფოსეტი დაუდგრომელია. იმის ნაცვლად, რომ იჯდეს თავის "ძველ ჩიკაგოში" და სოლიდური ასაკის ბანკირების მსგავსად, ფული აკეთოს, იგი გამუდმებით ხიფათში იგდებს თავს. ასე მაგალითად, ფოსეტმა შეუსვენებლად გადაცურა ლა-მანში, გაიარა სამხრეთ პოლუსი ძაღლებშებმული მარხილით, იღუპებოდა ტორნადოში, იხრჩობოდა ოკეანეში. ერთხელ, როდესაც მისი საჰაერო ბურთის გონდოლა დაეცა წყნარი ოკეანის ზედაპირზე და ფსკერისკენ დაეშვა, ცეცხლის ალის შუაგულში მყოფმა ფოსეტმა მოახერხა თავის დაღწევა, ამოყვინთა და რამდენიმე საათის განმავლობაში მიცურავდა, ვიდრე მაშველებმა არ ამოიყვანეს. იღბლიანია? რა თქმა უნდა. მაგრამ ბედი, როგორც წესი, მამაცებს სწყალობთ. თითქოს ფოსეტის შესახებ უთქვამთ: "... ცეცხლში არ იწვის, წყალში არ იძირება..."

წინა მცდელობებისგან განსხვავებით, ფოსეტს ამინდი, ძირითადად, სწყალობდა, მაგრამ მასაც წინასწარ დეტალურად ჰქონდა შესწავლილი და გაანალიზებული ამინდის ყველა პროგნოზი. თუ ელდარ რიაზანოვს დავუჯერებთ, "ბუნებაში ცუდი ამინდი არ არსებობს". ჰაერნაოსნებისთვის კი არსებობს, და თანაც როგორი! აი, მაგალითად: 23 ივლისს, ჩილეს გავლის შემდეგ, წყნარი ოკეანის თავზე ყოფნისას, ფოსეტი იძულებული იყო, წყლის დონიდან 900 ფუტის სიმაღლეზე დაშვებულიყო, რათა თავი დაეღწია მოახლოებული შტორმისთვის, მაგრამ აქ მას წამოეწია კოკისპირული წვიმა, რომელმაც საჰაერო ბურთი თითქმის წყლის ზედაპირზე ჩამოაგდო. "ცოტა კიდევ და თევზაობასაც შევძლებ", - ხუმრობდა ფოსეტი, თუმცა მას სრულებით არ ჰქონდა საქმე სახუმაროდ. აი, სამხრეთ აფრიკის თავზე კი მას გაუმართლა. ზურგის ქარი მის საჰაერო ხომალდს საათში 200 მილის სიჩქარით მიაქანებდა.

პროექტის "თავისუფლების სული" დირექტორი და ინგლისური კომპანიის "კამერონ ბალუის ოფ ბრისტოლ"-ის თავკაცი ალენ ნობლი, რომელმაც ააგო ფოსეტის ყველა საჰაერო ბურთი, ყვება: "მე მქონდა სპეციალური მობილური ტელეფონი სტივთან დაკავშირებისთვის. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ რამე ტექნიკური პრობლემის წარმოშობისთანავე დამირეკავდა. მთელი ამ მოგზაურობის მანძილზე არც ერთი ასეთი ზარი არ ყოფილა. ვფიქრობ, ეს კარგი მაჩვენებელია, "თავისუფლების სული", ისევე, როგორც შორეული ჰაერნაოსნობისათვის განკუთვნილი სხვა საჰაერო ბურთები, შედგება ორი ნაწილისაგან - ერთი შეიცავს 550 ათას კუბურ ფუტ ჰელიუმს, რაც განაპირობებს ბურთის ჰაერში ფრენას; მეორე - 100 კუბურ ფუტ ჰაერს. "ჩვენი ამოცანა იყო დღისით მზისთვის არ მიგვეცა ბურთის ზედმეტად გახურების საშუალება და ღამით ყინვისთვის - ბურთის ზედმეტად გაცივებისა, - გვიხსნის ალენ ნობლი. - როცა ჰელიუმი ძლიერ ხურდება, იგი ფართოვდება და ორთქლდება ბურთის ზედა ნაწილიდან. იქმნება სიტუაცია, როდესაც ძნელი ხდება ბურთის შენარჩუნება ფრენის მდგომარეობაში. ხოლო ღამით ტემპერატურის დაცემა ბურთის დაბლა დაშვებას (ესეც თქვენი - "ბუნებაში ცუდი ამინდი არ არსებობს") იწვევს".

ამრიგად, სტივ ფოსეტმა თავისას მიაღწია: ბურთს ბურთით შემოუფრინა, მიწიერს - საჰაეროთი, პირველმა და მარტომ... ახლა უკვე შეიძლება "ძველ ჩიკაგოში" დაუბრუნდეს თავის ძირითად პროფესიას - ბანკირობას და აკეთოს ფული. ფოსეტი ასეც აპირებს მოიქცეს: ნაშოვნი ფულით ააგოს გლაიდერი და აფრინდეს სტრატოსფეროში დედამიწის ზედაპირიდან 60 ათასი ფუტის სიმაღლეზე, ანუ გაცილებით უფრო მაღლა, ვიდრე თანამედროვე რეაქტიული თვითმფრინავების ფრენის სიმაღლის ზედა ზღვარია.

დაუდგრომელი ფოსეტი, როგორც ჩანს, ვერასოდეს მოისვენებს!

*ივლისი, 2002*

# კოლხური კოშკის ოქროს ხანა

## დღეს კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებიდან 27 წელი სრულდება

შორენა ლებანიძე





კონსტანტინეს კაბინეტი ხანძრის შემდეგ.



### 1992 წლის მარტი

ცეცხლი ეს წუთია ჩააქრეს, თუმცა ცისფრად შეღებილი ჭიშკრის მიღმა წამომართულ აგურის სამსართულიან შენობას ჯერაც კვამლი ასდის. ირგვლივ ჭვარტლის ბუღი დგას და დამწვრის სუნი ტრიალებს. წყლის ჭავლისაგან გაჯერებულ მიწას ფერფლი ნაცრისფერი თრთვილივით მოჰფენია. კოლხური კოშკისაკენ მიმავალი მოასფალტებული გზის მარცხნივ, ვარდის ბუჩქების ნაცვლად ტალახში აზელილი ნახშირის გროვა მოჩანს, კიბეებთან კი ნაცარტუტად ქცეული საოჯახო ნივთების უფორმო მასა დაზვინულა. პირველ სართულზე, ხანძრისას ჩამოშვავებული გაჯის საფარქვეშ არქივის ნაშთს ეძებენ. კიდეებშემომწვარი, ყდააგლეჯილი წიგნები, დაფლეთილი ხელნაწერები, ჩაშავებული ფოტოები გასაშრობად გააქვთ. ბიბლიოთეკის უდიდესი ნაწილის ხსნა შეუძლებელია. აღარც ქართულ, რუსულ და გერმანულენოვანი ლიტერატურით სავსე კედლის ღია, თუ შემინული თაროებია სადმე, აღარც კოშკის ოთახის სათავსოებში ქრონოლოგიურად და თემატურად დახარისხებული უნიკალური გამოცემების წყება. შენობის მთელი ინტერიერი ცეცხლსა და წყალს შეუწირავს. ხის მასიური ავეჯის გარდა, მწვანე ფაიფურის ფილებით მოპირკეთებული ბუხარი, მომინანქრებულ-მოჩუქურთმებული ვენეციური სარკეც დაზიანებულა. ბაზალტის ქვები, ვერცხლის ჭურჭლის ვიტრინა, ხმლებისა და ხანჯლების კოლექცია უკვალოდ გამქრალა. გადარჩენილა მხოლოდ საწერი მაგიდის უჯრებში შენახული საქაღალდეები, რომლებშიც კონსტანტინე გამსახურდიას პირადი არქივი აღმოჩნდა.

### 1960-70-იანი წლები

მაგიდა მწერლის სამუშაო კაბინეტში, ე.წ. მემორიალურ ოთახში დგას. მუდმივად 24 კაცზე გაშლილს, წიგნებითა და ფურცლებით სავსეს, არასდროს არავინ ალაგებს. მხოლოდ დილაობით, როცა გათენებამდე წერით დაღლილ კონსტანტინეს სძინავს, კაბინეტში ფეხაკრეფით შესული მირანდა და თამარი ძალზე ფრთხილად, ადგილშეუცვლელად წმენდენ სქელყდიან ტომეულებს, ნაბეჭდი თუ ხელნაწერი თაბახების დასტას, მერე კი ახალგაღვიძებული მწერლისთვის კონიაკგაზავებული მუქი ჩაის ასადუღებლად სამზარეულოსკენ მიემართებიან. კონსტანტინე ჩაის ფაიფურის განუყრელი ფინჯნიდან მიირთმევს. სასადილოში კარის მეზობლისა და პირადი მძღოლის - ავქსეს - პირდაპირ მოკალათებულა. ბროლის ფერად სასმისში ჩამოსხმულ საფერავს ან ქინძმარაულს ნელა, დაგემოვნებით წრუპავს, საჭმელსაც ჩიტივით, მცირე ულუფებად კენკავს, თან ავქსეს ესაუბრება: “ხომ ასე იყო, ავქსე?” თუ რაიმე დღესასწაულია, წაიმღერეო, სთხოვს, გიტარას მოატანინებს. მასპინძელზე ბევრად ახალგაზრდა, ქერა, ცისფერთვალა, პირმომღიმარი სტუმარი ხალისით ღიღინებს ქალაქურ, ხალხურ სიმღერებს. შობა დღეს “25-სა დეკემბერსაო”, მეზობელს აჰყვება და დასძენს: “ღმერთი არსებობს, ჩემო ავქსე. ყოველ დილას მზე რომ ამოდის, მზეა ღმერთი”. სადილის მიწურულს, რომელიც ჩვეულებისამებრ 2-3 საათი გრძელდება, ეზოში გავა, საჩიხის პირდაპირ, კიბის თავში მდგარ კაკლის ძველებურ საკარცხლულში განმარტოვდება და ფიქრებს მიეცემა.

“ეზოში იზაბელას ტალავერის ტკბილი და გამაბრუებელი სურნელი იფრქვეოდა, - იგონებს ზვიად გამსახურდიას პირველი მეუღლე დალი ლოლუა, - ფუტკრები მონოტონურად ზუოდნენ, ხოლო ქონგურებზე ჩამომჯდარი მტრედები და გვრიტები მზეს ეფიცხებოდნენ. ბაღჩაში შემოდგომის მეწამული ვარდები ყვაოდა. გახლეჩილ ბროწეულებსა და ტანმორჩილ ხურმის ხეებს უამრავი ბეღურა შესეოდა, ხალებიანი ნუკრები შეყვითლებულ ფოთლებს აშრიალებდნენ”.

1200 კვადრატულ მეტრ ფართობზე ათასგვარი ნარგავი - ნუში, ლეღვი, ბალი, კაკალი, მუხა - ხარობდა. ბაღს, ერთი მხრივ, ყვავილნარი, მეორე მხრივ - შემაღლებულზე - ფანჩატური ემიჯნებოდა. ფანჩატურში ხის დიდი ქოლგა იყო გაშლილი. დაღმართზე აივანქვეშ გაჭრილი ტერასებიანი, ღრმა აუზისკენ ქვის საფეხურები ეშვებოდა. აუზში სუფთა წყალი ლივლივებდა.

მოშორებით, შემოღობილში, შვლის ნუკრები დარბოდნენ, ფარშავანგები იფხორებოდნენ. ხოხბების, კაკბების, მწყერების მომცრო გალიების გვერდით დიდი გალიის გისოსებიდან რუხ კავკასიურ დათვს - ჯვებეს - დრუნჩი გამოეყო და თამბაქოს სუნს სიამოვნებით იყნოსავდა. მნახველისაგან საჩუქარს - ლუდსა და ლიმონათს - მოელოდა. პატარა სათავსოში კუდბათქუნა მელა დაცუნცულებდა. ბელიც ჰყავდათ, მიჩო, ხარიც, ჯიხვიც, ძაღლებიც, ეპოლეტებიანი გენერალივით გაფუყული, მუდამ საომრად შემართული მამალიც, რომელსაც ზვიადმა რიჩარდი შეარქვა. იადონები ხომ გამუდმებით გალობდნენ გალიებში. ერთი რობერტინო იყო, საამოდ მომღერალი, მეორე - ჭირბერტინო.

იშვიათი ცხოველები კონსტანტინესთვის ლაგოდეხის ნაკრძალიდან ჩამოჰყავდათ. ხარი ჯანსულ ჩარკვიანის ძმამ აჩუქა. მელა თავად შეიძინა შავშეთში და მელან შავშელიც დაანათლა. განსაკუთრებით ნუკრები უყვარდა. მათი სილამაზე და პლასტიურობა სამუშაოდ განაწყობდა, თუმცა კალმის ხელში ასაღებად ყველაზე მთავარი მაინც ბუხართან საათობით ჯდომა და ნაკვერჩხლების ცქერა იყო.

ბუხართან საღამოობით ჯდებოდა. ცეცხლს თვალს არ აშორებდა და ახალი რომანის - “დავით აღმაშენებლის” - გმირებზე ფიქრობდა. გარინდებულსა და გარე სამყაროსაგან მოწყვეტილს მხოლოდ შინიდან ადრიანად გასული და გვიან მობრუნებული ზვიადის ომახიანი შეძახილი აფხიზლებდა: “როგორ ხარ, კოტე? ხომ ხარ სამტრედიის მამალივით?” შემცბარი კონსტანტინე თავს გადაიქნევდა: “უყურე, ამ შეჩვენებულს, მთელი ქვეყანა ლომს მადარებს, ეს კი...” მერე შვილს უკმაყოფილოდ აათვალიერ-ჩაათვალიერებდა. ვერაფრით წარმოედგინა, როგორ შეეძლო ზვიადს ქალაქი შლიპსის გარეშე, ანუ უჰალსტუხოდ, გულისპირგახსნილი პერანგით შემოევლო, როცა თავად შინ აბრეშუმის ხალათით დადიოდა, ხოლო ქუჩაში მოუწესრიგებელი, ევროპულ ყაიდაზე შეკერილი კოსტიუმის გარეშე არავის უნახავს. დაუდევარი ჩაცმის გამო უფროს ქალიშვილს, ნათელასაც ხშირად საყვედურობდა: “რა არის, ელიზარივით რომ აჩაჩულ-დაჩაჩულხარ?” ელიზარი მათი მებაღე იყო, გვარად გონჩაროვი, უკრაინელი, ოდესღაც თეთრგვარდიელებთან “დენშჩიკად” რომ მსახურობდა, ბოლოს კი თავშესაფარი გამსახურდიებთან ჰპოვა.

მართალია, შენიშვნების მიცემა იცოდა, მაგრამ სითბოსა და სიყვარულსაც დაუფარავად გამოხატავდა.

“როცა მირანდა და ბავშვები ქვიშხეთში მიდიოდნენ, - იგონებს ნათელა გამსახურდია, - მამა პაემანზე, პიონერთა სასახლის წინ დამიბარებდა. ნათელიკო, ჩემთან დარჩიო, შენს გაკეთებულ სადილს არ ვჭამ, ჩაის ხომ დამალევინებო, და “ორიანტში” წამიყვანდა”.

ყველაზე ხშირად ზვიადს ეპაექრებოდა. ჯერ ხირჩლას დაუძახებდა, რაც გაუთლელს, გაუჩორკნავს ნიშნავს, მეორე წუთში - “ზვიად ერისთავოო” - მიმართავდა, ან “მამიკოს გულში ზიხარო”.

“ჩემო სიცოცხლე ხირჩლა!” - სწერს ვაჟიშვილს მოსკოვიდან, - “ვწუხვარ, ჩემთან არა ხართ. წუხელ სიზმარში გნახე, ჩემო სიცოცხლე. მარტო შენი დარდი მაქვს. გამოცდების რა ქენი? აბა შენ იცი... საჩუქრები ჩემზე იყოს. ყველაფერი თქვენთვის მინდა. მე თქვენ სამისთვის ვკისრულობ ამდენ შრომას და დავიდარაბას, თორემ ისე დავიღალე, ძლივს ვსუნთქავ... ხვალ სათქვენო საჩუქრებისთვის ვიწყებ ლაშქრობას”.

“ჩემო საყვარელო დედიკო! - მიმართავს მეუღლეს მეორეგან, - ხომ გითხარი ერთხელ, როგორც კი ცოტას მოგცილდები, უფრო შემიყვარდები მეთქი... ამ საღამოს არსად წავედი. ვზივარ და შენ და ჩემი ლეკვების შესახებ ვფიქრობ... რიაბინინა და ევგენევი გაოცებულნი არიან, ეს რა ოქრო ცოლ-შვილი გყოლიაო, სამივე ანგელოზებიაო (მე გულში მეცინება, თქვენი ზოგიერთი რეპერტუარი რომ იცოდნენ)”.

თანამედროვეთა გადმოცემით, კონსტანტინე გამსახურდია მზრუნველი მამა და მეუღლე, ყურადღებიანი და კეთილგანწყობილი მასპინძელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, კოლხური კოშკი წლების განმავლობაში ვერ შეიფარებდა მწერლის ნათესავებს: ობოლ ძმისშვილს - სვიმონს, დას - ფაჩას, დისშვილს - თათია ხაინდრავას, ახლობელს - კვაკვას და მის ქალიშვილს - მერის, რომელთაც კონსტანტინე აჭმევდა, ასმევდა, აცმევდა, მირანდა სითბოსა და სიყვარულს უნაწილებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კოლხური კოშკი ყოველდღიურად ვერ უმასპინძლებდა ზვიადის უამრავ მეგობარს, რომლებიც გაზაფხულისა და ზაფხულის თბილ ამინდში ფანჩატურქვეშ მხიარულობდნენ, ზამთრის სუსხიან საღამოებს სასადილოს აგუზგუზებულ ბუხართან ატარებდნენ, ანტროფოსოფიურ ლიტერატურას არჩევდნენ, ან, უბრალოდ, ერთობოდნენ. ზვიადი ჯერ ანდრია ბალანჩივაძის ვაჟთან - ჯარჯისთან ერთად როიალზე უკრავდა, მერე მერაბთან ერთად საგალობლებს მღეროდა, დანარჩენები სულგანაბულნი უსმენდნენ, მირანდა ყველას თავს ევლებოდა: “თქვენი ჭირიმე, თქვენ გენაცვალე”. “კოშკში შესვლა ზეიმი იყო, - სევდიანად იღიმება ნათელა გამსახურდია, - სტუმარი არ ელეოდათ. არ მახსოვს, მარტო ესადილათ”, - გვიამბობს ავქსენტის ვაჟი, ლერი წოწორია.

ხალხმრავლობამ და ხალისიანმა განწყობილებამ მხოლოდ მირანდას გარდაცვალების შემდეგ იკლო, სადღესასწაულო სუფრა თვით ზვიადის დისერტაციის დაცვის დღესაც არ გაშლილა.

“საღამოხანს წაიქეიფეს ზვიადმა, მერაბმა და ვიქტორ რცხილაძემ, - ამბობენ წოწორიები, - კონსტანტინე ბუხარს არ მოშორებია, ნაკვერჩხლებს უჩიჩხინებდა”.

ნათელა გამსახურდია: “რომ დაბერდა, დილიდან საღამომდე ცეცხლს უჯდა. ღამე ვერ ისვენებდა, მაღვიძებდა და მელაპარაკებოდა. რა გაძინებსო, უკვირდა. თავად თვალის მოხუჭვაც არ შეეძლო. მართალია, აღარ წერდა, მაგრამ წლების განმავლობაში ღამისთევას ისე იყო მიჩვეული, პროფესიული უძილობა სჭირდა. ბოლოს ჭამაც აკრძალა. ან სულ კვერცხს მიირთმევდა, ან ხიზილალას. დროდადრო შორენას, ჩემი ქალიშვილის, მიერ ათქვეფილ კრემს დაიგემოვნებდა. მანამდე საყვარელი ბულიონის დანახვა აღარ უნდოდა. უმადობა ოპერაციის შემდეგ დაწყებულმა ინტოქსიკაციამ გამოიწვია, დასუსტდა და დადარდიანდა. ერთთავად ზვიადის გამო წუხდა, ზვიადს კითხულობდა. ის დრო აგონდებოდა, 16 წლისას არალეგალური სტამბა რომ აღმოუჩინეს და დააპატიმრეს, ხოლო თავად ნერვიულობისგან ლოგინად ჩავარდა”.

ლერი წოწორია: “ერთადერთი, ვისი დანახვაც ყოველთვის ახალისებდა და ვისთან საუბარიც არ ბეზრდებოდა, ავქსე იყო. გვერდიდან არ იშორებდა. სიკვდილის წინაც უხმო, სხვა არავინ გაიკარა. ბოლოს, ვაჟკაცები დაწოლილნი არ კვდებიანო, წამოჯდა, სიგარეტი მოწია და ასე, ავქსეს ხელში გარდაიცვალა”.

დიდი მწერალი კოლხური კოშკის ეზოში, მეუღლისა და ქალიშვილის საფლავების გვერდით დაკრძალეს. სამარეს ფიქალი შემოავლეს და თავთან უთხოვარის ხისაგან გამოთლილი ჯვარი დაამაგრეს. ამობურცულ მიწას ვარდები მოაბნიეს. ლარნაკებში ზამბახები ჩააწყვეს.

### დღევანდელობა

თითქოს დრო შეჩერდაო, საფლავები დღესაც ზუსტად ასე გამოიყურება: ახალმოკრეფილი ყვავილებით მორთული, ფიქალშემოვლებული, მოვლილი. სხვა ყველაფერი შეიცვალა. ოდესღაც მზითა და სინათლით სავსე, ახლა კი კარ-ფანჯრებამოღამებულ ოთახებში აღარ ისმის სტუმარ-მასპინძლის ხალისიანი ხმები. ეზოში არ დაფუსფუსებს მებაღე ელიზარი. ტერასებიანი კამკამა აუზიც, კარგა ხანია, გაუუქმებიათ. შემოღობილში არ დარბიან ირმები. დათვი ჯვებე მალაკნებს დაუკლავთ. მელან შავშელი გულისსწორის ძებნაში გორმახებს შეყოლია. ხოხბები და კაკბები დაფანტულან. ცხოველთა სამყარო ისევე, როგორც კოლხური კოშკის მთელი გარნიტური და ბიბლიოთეკა, უკვალოდ გამქრალა, განადგურებულა.

საერთოდ, დიდი ადამიანების ნაფეხურებს უფრთხილდებიან. მათ ხელშენავლებ უბრალო ნივთებს საგანძურად აქცევენ. “დიდოსტატის მარჯვენის” ავტორის სიცოცხლეში კონსტანტინე გამსახურდიას მიერვე შექმნილი სახლ-მუზეუმი კი, აგერ უკვე ათი წელიწადია, ამაოდ ელის აღდგენასა და შველას.


სატელეფონო კავშირი
B-07
www.online.ge

# დრამატურგები განუკითხაობის წინააღმდეგ

## სამეფო უბნის თეატრში დრამატული კითხვის ახალი ტრადიცია დამკვიდრდა

მადი სერებრიაკოვა

რამდენიმე ათეული წლის წინათ საბჭოთა კავშირში ერთი მეტად ტრაგი-კომიკური ფაქტი მოხდა. საკუთარი პიესის აქაური დადგმის სანახავად ჩამოსულ სარტრს ისეთი სიურპრიზი დახვდა სცენაზე, რომ იძულებული იყო რეჟისორისთვის ეხვეწნა –"ყველაფერი შეცვალეთ, ოღონდ გმირებს მაინც ნუ დაამატებთო" (სცენაზე მას სცენარით გათვალისწინებულზე 15-ით მეტი გმირი დახვდა). უფრო უარესი ართურ მილერს გადახდა თავს, როცა მან მოსკოვში საკუთარი პიესის თეატრალური ვერსია საერთოდ ვერ იცნო. ანალოგიური "კურიოზები" დღესაც ძალიან ხშირად ხდება და ამის მიზეზი, დრამატურგების განმარტებით, მათი პერსონებისა და ზოგადად ლიტერატურული ტაქსტის მიმართ სასტიკი უპატივცემულობაა.


ლაშა ბულაძე


ლევან ხერხეულიძის ფოტოები

სიმართლის მარცვალი ამაში ნამდვილად არის, ყოველ შემთხვევაში, საავტორო უფლებებით დაცულ-გამყარებულ დასავლურ სივრცეში ავტორის ტექსტის ასეთი ულტრა-თავისუფალი ინტერპრეტირება არცთუ მიღებული ფორმაა. სიუჟეტის შეცვლის, გმირების ჩამატება-გამოკლების გამო ხომ შეიძლება სასამართლომდეც მივიდეს საქმე. დრამატურგიასთან განუკითხავი ურთიერობის მოგვარებისა და "დაკარგული" ავტორიტეტის აღდგენისაკენ იყო მიმართული სამეფო უბნის თეატრში მოწყობილი აქცია, რომელიც დრამატურგიული ტექსტის რეჟისორული ჩარევისა და მიმატება-გამოკლების სახიფათო ღონისძიებების გარეშე წაკითხვას ითვალისწინებდა.

პირველი "კითხვადი" დრამატურგი ლაშა ბულაძე გახლდათ, რომლის "პოლიტიკური პიესა" გოგოლა კალანდაძემ, მსახიობის ამპლუაში მოვლენილმა დათო საყვარელიძემ, თავად ავტორმა და სხვა მსახიობებმა წარმოადგინეს.

განმარტებისთვის უნდა ითქვას, რომ "პოლიტიკურ პიესას" დიდი აჟიოტაჟით შეხვდებოდნენ ისინი, ვინც ლაშა ბულაძეს ანათემას გადასცემდნენ სიამოვნებით. თუმცა, მათგან განსხვავებით, პიესაში მე ერეტიკული ვერაფერი დავინახე, - უფრო პირიქითაც. მთავარი გმირი - 19 წლის ცინცინო, რომელიც შეპყრობილსა და წმინდანს შორის განიცდის საეჭვო გრადაციას – საბოლოოდ, კაცობრიობის მხსნელის როლს შეიფერებს. პროლოგსა და ეპილოგში უფლისა და მეფისტოფელის გასაუბრებაში კი, სადაც ცინცინოს არსებობას არც ერთი მხარე არ "აღიარებს", ეს უკანასკნელი იმ ღვთის პირიდან გადავარდნილ ყოფიერებას უფრო განასახიერებს, სადაც აღარც ღმერთს ეკითხებიან რამეს და მეფისტოფელსაც მოუძველდა გეგმა-სტრატეგიები. პიესის დანარჩენი, ბულაძისთვის ასე ახლობელ აბსურდულ კონტექსტში გარდატეხილი გმირები კი მშვენიერ კამპანიას უწევენ ცინცინოს რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის, ბანკის ძარცვის, ნარკომანების, მამათმავლებისა და ონანისტების სამყაროებში.

როგორც აღინიშნა, პიესის კითხვაში რეჟისორის მონაწილეობა მსახიობის ფუნქციას არ აღემატებოდა. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქართველმა დრამატურგებმა ურეჟისორო თეატრისთვის დაიწყეს ბრძოლა. უფრო პირიქითაც, ამ აქციის ძირითადი მიზანი ამ უკანასკნელთა "სწორ გაზაზე" დაყენებაა. როგორც აქციის ერთ-ერთი ინიციატორი, თავად რეჟისორი – დავით საყვერელიძე გვარწმუნებს, დასავლეთში საუკეთესო რეჟისორები ცდილობენ, ერთ რომელიმე მათთვის განსაკუთრებით ახლობელ ავტორზე მოახდინონ კონცენტრირება, მაქსიმალურად ღრმად გახსნან მისი შემოქმედება – ეს კი სრულიად შეუძლებელია, თუ დაკარგავენ კავშირს და სიახლოვეს დრამატულ ტექსტთან. საყვერელიძემ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ასევე ადგილობრივი თანამედროვე ავტორების დადგმას. შესაბამისად, ეს აქცია დაეხმარება რეჟისორებს "აღმოაჩინონ" ახალი ავტორები თუ პიესები, ხოლო დრამატურგებს – გააცნონ საკუთარი შემოქმედება პროფესიონალებსა და უბრალო მოყვარულებსაც.

ლაშა ბულაძის "პოლიტიკური პიესის" მოსასმენად, როგორც გათვალისწინებული იყო, ძირითადად, რეჟისორები, დრამატურგები, მსახიობები და თეატრის სხვა მუშაკები მოვიდნენ. აღმოჩნდა, რომ ავტორი იუმორს წერისასაც და კითხვისაც ერთნაირ სიმაღლეზე ინარჩუნებს. მეტად გამხიარულებულ აუდიტორიას კი პიესის განხილვით აღარ აუტკივებია თავი – თუმცა აქციის კონცეფცია ადგილზე კრიტიკულ განხილვა-შეფასებასაც ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ პიესების კითხვაზე დასწრება თავისუფალია, სანახაობრივად კი, თუმცა თეატრალურ დადგმას ჩამოუვარდება, სამაგიეროდ – ავტორისეული ინტერპრეტაციასთან ყველაზე ახლოს დგას და ლიტერატურული ტექსტის ავკარგიანობაზეც უკეთ შეიძლება მსჯელობა.

გადაწყდა, რომ სამეფო უბნის თეატრში დრამატული ტექსტის ასეთი კითხვა ტრადიციად დამკვიდრდეს. ყოველი თვის 15 რიცხვში დაგეგმილ ღონისძიებებზე ახალი პიესები წაიკითხება. დრამატურგებს შეძლებისდაგვარად დაეხმარებიან რეჟისორები და მსახიობები. იმ იმედით, რომ სამეფო უბნის თატრში დრამატული კითხვის ტრადიციას ქართული პიესების თეატრალური ხორცშესხმაც მოჰყვება - უკვე დაიგეგმა მანანა დოიაშვილისა და ბესო ხვედელიძის პიესების წაკითხვა.

# ბაიარ შაჰინის ოჯახში მხოლოდ ქართულად საუბრობენ

## მისი გოგონა კი საქართველოს დედოფლობაზე ოცნებობს

ნანა კობაიძე

თურქეთში მცხოვრები ქართველი მომღერალი ბაიარ შაჰინი ანსამბლ "რუსთავის" ხელმძღვანელმა ანზორ ერქომაიშვილმა გამაცნო – თურქეთში საკმაოდ პოპულარული მომღერალია და თავის სფეროში მის სიტყვას აფასებენო. საქართველოში ცოტა ხნით ჩამოვიდა – სოლო კონცერტისთვის ემზადება და ქართული რეპერტუარის დასახვეწად რამდენიმე ქართველი მუსიკოსის წაყვანა სურდა. თურქეთში კი არიან მუსიკოსები, მაგრამ იმათ ქართული სული არა აქვთო – ამბობს იგი.


ბაიარ შაჰინი

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ბაიარ შაჰინი თურქულ და ქართულ ხალხურ სიმღერებს მღერის, თანამედროვე რეპერტუარიც აქვს, უკრავს რამდენიმე ხალხურ საკრავზე და არცთუ ცუდად ლაპარაკობს ქართულად. მას ჩვენი გაზეთის რედაქციაში შევხვდი. ბევრი ვისაუბრეთ ქართულ ხალხურ სიმღერაზე, თურქ ქართველებზე, მათ ცხოვრებასა და მდგომარეობაზე.

ჯერ თავად ბაიარის შესახებ. იგი 37 წლისაა. დაიბადა ართვინში, სოფელ მაჭახელაში. დაწყებითი სკოლა იქვე დაასრულა. 5 წლის შემდეგ ოჯახი სტამბულში წავიდა საცხოვრებლად. მერე მამა დაეღუპა. უფროსმა ძმამ გერმანიაში წაიყვანა, სადაც იქ მცხოვრები თურქებისგან თურქულ ხალხურ ინსტრუმენტზე – ბაღლამაზე დაკვრა ისწავლა. ერთი წლის შემდეგ ისევ სტამბულში დაბრუნდა, სადაც მოგვიანებით კონსერვატორიაში ჩააბარა. აქვს საკუთარი სტუდია და ჯერჯერობით ორი აუდიოკასეტის ავტორია.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რის გამოც ბაიარის პიროვნებით დავინტერესდი, არის ის, რომ იგი თურქეთის ქართულ სოფლებში მოგზაურობს და ჯერ კიდევ შემორჩენილ ქართულ ხალხურ სიმღერებს აგროვებს. იცით, როგორ? ერთი სიმღერა, მაგალითად, ორ-ორი სიტყვით შეაგროვა – ორი სიტყვა ერთ სოფელში, ორი – მეორეში, ორიც – მესამეში. დამეთანხმებით, არცთუ იოლი სამუშაოა. მით უმეტეს, თურქეთში, სადაც უკვე საუკუნეზე მეტია იქაური გავლენა ბატონობს.

ამჟამად თურქეთში ძალიან ბევრი ქართველი ცხოვრობს. ზუსტ ციფრს ვერავინ ასახელებს, მაგრამ იგი დაახლოებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას უტოლდება. თურქეთში ქართული ენა მეტნაკლებად შენარჩუნებულია. ზოგი თურმე ბაიარზე უკეთესადაც ლაპარაკობს, მაგრამ მათ კარგი ქართული საქართველოში ისწავლეს. ისეთი სოფლებიც ყოფილა, სადაც თურქულად საერთოდ არ ლაპარაკობენ. რა თქმა უნდა, ეს არ არის სალიტერატურო ქართული, უმეტესად აჭარულ დიალექტზე საუბრობენ, მაგრამ როგორც ბაიარმა თქვა, ოთხი სიტყვიდან სამს გაიგებ და მიხვდები, რაზე საუბრობენ. ქართული ენა უფრო ასაკოვან ხალხში შემორჩენილა. თქვენ საიდან იცით ქართული-მეთქი – ვეკითხები. როგორ თუ საიდანო, იუკადრისა. ოჯახში სულ ქართულად ვლაპარაკობდით. დაწყებით სკოლაში რომ შევედი, ერთი თურქული სიტყვაც არ მესმოდა. ჩემი მეუღლეც ქართულად საუბრობს, ბავშვებსაც ესმით. შევეკითხე, ბავშვებს არ უკვირთ, რომ ირგვლივ თურქული გარემოა, ოჯახში კი ქართულად ლაპარაკობენ? არა, იციან, რომ ქართველები არიან. გურჯები ვართო – ასე ეუბნებიან ყველას. უმცროსი, ხუთი წლის თამრიკო კი დადის და ამბობს, მე ქართველების დედოფალი ვარო. თუმცა, ასეთი ოჯახები არც ისე ბევრია. ახალგაზრდებმა ენა ნაკლებად იციან. თურქეთში ქართული სკოლები არ არის და სამომავლოდ არც მათი გახსნის პერსპექტივაა. დავინტერესდი, რა დამოკიდებულებაა თურქეთში ქართული ენისადმი. ოფიციალურად ქართულად ლაპარაკი არ შეიძლება. არაოფიციალურად – ოჯახში, მეგობრებთან ამას არავინ კრძალავს. ძალიან ბევრია ნარევი ოჯახები. ისე, ქართველები ცდილობენ შვილი ქართველზე გაათხოვონ და რძალიც ქართველი შემოიყვანონ, მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. ქართული კულტურაც ნელ-ნელა ასიმილაციისა და დეგრადაციის გზით მიდის. ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, ბევრი საერთოდ გაქრა. ბაიარი ხალხში შემორჩენილ ქართულ სიმღერებს აგროვებს. არცთუ დიდი ხნის წინათ ბათუმელ მეცნიერ შუშანა ფუტკარაძესთან ერთად ქართული სოფლები შემოუვლია. ქალბატონი შუშანა ერთადერთი ქართველი მეცნიერია, რომელსაც თურქეთში მდებარე ქართული კათოლიკური ეკლესიის მეპატრონემ სიმონ ზაზაძემ მენშევიკების დანატოვარ გაუხსნელ არქივებში მუშაობის ნება დართო. სწორედ მასთან ერთად მოგზაურობდა ბაიარი. თუმცა, შესაგროვებელი არც ისე ბევრი დარჩა. ბევრი სიმღერა უკვე დაიკარგა. ასე მაგალითად, დღეს თითქმის არავინ იცის ნადის, ფაჩვისა და დოდოფლის სიმღერები. ნადის სიმღერას ყანაში მღეროდნენ, სწრაფად რომ ემუშავათ და ვინმეს სული არ შეწუხებოდა – მიხსნის ბაიარი, ფაჩვის სიმღერასაც მუშაობის დროს ასრულებდნენ (ფაჩვას თესვას ეძახიან, აგრეთვე სიმინდის გამარგვლასაც). დედოფლის სიმღერა, რომელიც ქორწილში სრულდებოდა, იმით არის უნიკალური, რომ შვიდი სხვადასხვა ხმა ასრულებდა. დღეს ეს სიმღერები აღარავინ იცის. ბაიარისთვის თითოეული ახალი სიმღერის მოძიება აღმოჩენის ტოლფასია. ერთი ხმაც რომ იპოვოს, ისიც საკმარისია – ბანს ქართული მრავალხმოვანობის პრინციპით უძებნის. ხანდახან ვიღაცას ძალიან ძველი აუდიოკასეტა აღმოაჩნდება ხოლმე, 20 წლის წინანდელი ჩანაწერით. ხმა ძლივს ისმის, მაგრამ ბაიარისთვის ესეც საკმარისია.

ჩვენს სტუმარს ძალიან უნდა გამართული ქართულის შესწავლა. აქედან წაყვანილი მუსიკოსები, გარდა იმისა, რომ ქართული სიმღერების შესწავლაში დაეხმარებიან, ენის პრაქტიკასაც "გაატარებენ". ბაიარ შაჰინს სამომავლოდ გამიზნული აქვს ქართული ხალხური სიმღერები დაინტერესებულ მოსახლეობასაც ასწავლოს. სხვათა შორის, მსურველები საკმაოდ ყოფილან. მარტო სტამბულში ორმოცი მსურველი ვიცი, სხვა ქალაქებშიც ბევრნი არიანო – ამბობს იგი. ქართული მხარე მას სრულ მხარდაჭერას დაპირდა. ახლა ჯერი ბაიარზეა.

# ფოთში თეატრალური დასისა და მრევლის დაპირისპირება გრძელდება

## თეატრალები დატოვებენ შენობას, თუ მათ ახალ ფართს მისცემენ

ვერა ნეფარიძე

**საპატრიარქოში გუშინდელ პრესკონფერენციაზე, რომელიც ფოთის თეატრის საკითხთან დაკავშირებით გაიმართა, პრობლემა არ გადაწყვეტილა. მეუფე გრიგოლი იმეორებდა, რომ საპატრიარქოს არ სურს თეატრალების ქუჩაში დატოვება; გიგა ლორთქიფანიძე კი, ეპისკოპოსს თეატრის დასის წყევლაში ამხელდა. ფოთის თეატრის პრობლემა ის საკითხი აღმოჩნდა, რომელმაც ერი და ბერი ერთმანეთს დააპირისპირა.**




მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ფოთის ეპისკოპოსი, მეუფე გრიგოლი და გიგა ლორთქიფანიძე.

მართალია ფოთის თეატრის თემა ბოლო ხანებში გახმაურდა, მაგრამ პრობლემა რამდენიმე წელიწადია არსებობს. ფოთის ეპარქიამ საკუთარი ტაძრის (რომელიც გურია-სამეგრელოს ეპარქიას ეკუთვნოდა) აღდგენაზე მუშაობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ათი საუკუნის განმავლობაში გაუქმებულმა ეპარქიამ უფლებები აღიდგინა. "ბუნებრივია, აღდგენილი ეპარქიის წინაშე კონკრეტული მიზნები და ამოცანები დადგა. ერთ-ერთი ასეთი უპირველესი საკითხია ჩვენი ტაძრის აღდგენა. ეს არ ყოფილა კერძო, თუნდაც რომელიმე მღვდელმთავრის ინტერესი. ეს არის ქვეყნის არსებული მდგომარეობიდან ნაკარნახევი გზა," – ამბობს მეუფე გრიგოლი.

ფოთის ეპარქიის წარმომადგენლები წლების განმავლობაში ითხოვდნენ პრობლემის მოგვარებას. ამისთვის იწერებოდა მიმართვები ეროვნულ პარლამენტსა თუ ფოთის ადგილობრივ ხელისუფლებაში. ეს უკანასკნელი 2000 წლის ბოლოსთვის საპატრიარქოს ფოთში ეკლესიის აღდგენას დაპირდა. ამ ხნის განმავლობაში მიღწეული იყო ერთადერთი, ფოთის საკრებულოს დადგენილება: "გურია-სამეგრელოს ეპარქიის ყოფილი საკათედრო ტაძრის საქართველოს საპატრიარქოს კუთვნილებაში აღდგენის შესახებ", თუმცა ფოთის ეპისკოპოსის თქმით, ტაძრის აღდგენა მხოლოდ დოკუმენტის სახელწოდებაში დარჩა. მაშინდელი დადგენილებით, ფოთის თეატრისთვის ახალი შენობა უნდა აგებულიყო, მაგრამ დღეს თეატრის დასი თანახმაა ალტერნატიულ ფართზეც. თუმცა, ასეთი შენობა ქალაქის ხელმძღვანელობამ ვერ გამოუნახა თეატრალებს.

"ერის ცხოვრებაში თეატრს თავისი ადგილი აქვს, ეკლესიას – თავისი. არ შეიძლება ამის აღრევა," – იმის მიუხედავად, რომ ფოთის ეპისკოპოსი, მეუფე გრიგოლი გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე მსგავს ფრაზებს ხშირად ამბობდა, შეხვედრა ასეთი განწყობით არ გაგრძელებულა. თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის რეპლიკებმა (გიგა ლორთქიფანიძე საპატრიარქოს წარმომადგენელს არაკორექტულობასა და სიტყვის უფლების ჩამორთმევაში ადანაშაულებდა) და განაწყენებული კულტურის სამინისტროს წარმომადგენლის (რომელმაც, მეუფე ცრუ ინფორმაციაში ამხილა) გამოსვლამ დაამტკიცა, რომ ფოთის თეატრის პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია. მეუფე გრიგოლმა წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც მისი თქმით, მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი გზაა და რომელსაც კულტურის მინისტრი გაეცნო. სამინისტროს წარმომადგენლებმა მეუფე სიცრუეში დაადანაშაულეს და ატკიცებდნენ, რომ მსგავს დოკუმენეტს არ იცნობდნენ. მეუფეს თქმით, სესილი გოგიბერიძეს გუშინ, ყაზბეგში თავად გააცნო დოკუმენტი; მინისტრი კი, დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მიღებულ გადაწყვეტილებებზე სამინისტროსაც იგივე აზრი აქვს, ხელს კი მას შემდეგ მოაწერდა, როდესაც მასალას სამინისტროს წარმომადგენლებსაც გააცნობდა. რაც შეეხება ერთობლივ განცხადებას, მისი შინაარსი, ალბათ, მართლა ვერ გამოიწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. დოკუმენტის მიხედვით, უახლოეს მომავალში ფოთში უნდა შეიქმნას კომისია, სადაც გაერთიანდებიან კულტურის სამინისტროს, საპატრიარქოს, ფოთის საეპისკოპოსოს, ფოთის მერიის, საკრებულოსა და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები; ხოლო კომისიამ ორი კვირის ვადაში უნდა მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილება. ფოთის მრევლმა და თეატრალურმა დასმა საერთო ჯერ-ჯერობით, ვერ გამონახეს. ფოთში კვლავ გრძელდება თეატრის დასის შიმშილობა. "რუსთავი 2"-ის ინფორმაციით, გუშინ ოთხი მოშიმშილე საავადმყოფოში გადაიყვანეს; საავადმყოფოს პირობების დაწუნების გამო კი, ისინი ისევ თეატრის შენობაში დაბრუნდნენ შიმშილობის გასაგრძელებლად; ჯანმრთელობა ასევე გაუუარესდა ათ მოშიმშილეს.

თეატრალები არ უარყოფენ, რომ შენობა ეკლესიის კუთვნილებაა და ტაძარი უნდა განახლდეს; თავის მხრივ, ეპარქიის წარმომადგენლებიცა და მრევლიც წინააღმდეგია, თეატრი ქუჩაში აღმოჩნდეს. შენობა (ანუ, ეკლესია) 1906-07 წლებში შენდებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გიორგი ალარდაშვილის კურთხევით; მშენებლობას ქალაქის მერი, ნიკო ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა. ეს იყო იმ დროისათვის უნიკალური, რკინა-ბეტონით აშენებული ნაგებობა. შენობაში, ფაქტობრივად, სამი ეკლესია იყო. 1932 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, 1936 წელს შენობაში ქალაქის თეატრი შეუშვეს. დღეს წმიდა საკურთხეველში დიდი სცენაა, გუმბათში კი – დარბაზი.

ერთადერთი ვისაც მდგომარეობის ჩიხიდან გამოყვანა შეუძლია, ფოთის ადგილობრივი ხელისუფლებაა, რომელმაც თეატრის შენობაზე უნდა იზრუნოს. უკიდურეს შემთხვევაში, ეკლესია თანახმაა, დროებით, ვიდრე დასისთვის ფოთის ხელისუფლება ფართის პრობლემას მოაგვარებს, ეკლესიაც და თეატრიც ერთ შენობაში იყოს. ამ შემთხვევაში თეატრს მოუწევს გუმბათის დათმობა, რომ ეკლესიამ იქ ჯვარი აღმართოს.

# იმედზე, ადამიანზე და სიყვარულზე შეყვარებული ბოსი

## ბრუს სპრინგსტინის ახალი ალბომი გზაშია

თამარ ბაბუაძე

*სახელი გაითქვა, როგორც ბარ-ბენდის მომღერალმა. თუ თავიდან ბარში კლიენტები ჭიქა ვისკისთვის შედიოდნენ, მერე უკვე ვისკი მხოლოდ მიზეზი იყო, მათ ბრუს სპრინგსტინის სრულიად განსხვავებული ხმის მოსმენა სურდათ.*

*მის ქარიზმას ვერავინ უძლებდა. ის იყო რომანტიკული ნიუ ჯერსელი, რომელსაც უყვარდა ქალები, მანქანები და მძაფრი შეგრძნებები. ბრუს სპრინგსტინის სახელი ჯერ პატარა ბარის გარეთ ისმოდა, შემდეგ მთელ ქალაქში, 1975 წლიდან კი ის ნაციონალური ფიგურაც გახდა. ეს მასშტაბური წარმატება სპრინგსტინს ალბომმა Born to Run მოუტანა. კრიტიკოსებმა, ბოლოს-დაბოლოს, აღიარეს, რომ ბოსი როკის მხსნელი იყო. მისი ჰიტები 50-იანი და 60-იანი წლების როკის ტრადიციებზე იყო დაფუძნებული და, რაც მთავარია, ამ ყველაფერს 70-იანურ სტილს არგებდა. თუმცა, ამ "გარღვევამდე" იყო რამდენიმე ასე თუ ისე შეუმჩნეველი ალბომი და "მშვიდი" ცხოვრება პოპულარობის გარეშე.*


ბრუს სპრინგსტინი და "ი სტრით ბენდი" მედისონ სქვეარ გარდენზე, ნიუ-იორკი REUTERS


ბრუს სპრინგსტინი ლონდონელ ფანებს ესალმება REUTERS

სპრინგსტინი ბუნებით მთხრობელია. მას ადამიანები უყვარს და თავის ქმნილებებში სწორედ ადამიანურ ამბებს ჰყვება. ალბომი Hungry Heart გაქცეული ქმრის თავგადასავალს აღწერს, ალბომში Johnny 99 იღბლიანი პატიმრის ამბავია გადმოცემული, Born in the U.S.A.-ში სპრინგსტინი ვიეტნამელი ვეტერანის განცდებზე მოგვითხრობს, Streets of Philadelphia კი შიდსის მსხვერპლს ეძღვნება. ეს ალბომები სპრინგსტინის უდავო შედევრებია. თუმცა, წერტილის აქ დასმა არაფრით შეიძლება. ახლა ხომ "გზაშია" ბრუს სპრინგსტინის უკვე გახმაურებული ალბომი The Rising, რომელიც "ბოსის" კლასიკად ქცეული ჰიტების კოლექციაში ჩაეწერება...

**"თხრებს ვაწარმოებ, თხრებს სულის სიღრმეში. ხდება ისეც, რომ მსუყე ძარღვის გამოჩენას დიდხანს ველოდები. და უცებ, სრულიად მოულოდნელად, ბუმ! უზარმაზარ საბადოს ვაწყდები ხოლმე",** - ბრუს სპრინგსტინი თავის მამულში, ხეში ჩასმულ სასტუმრო ოთახში, ბუხართან ზის, სვენებ-სვენებით წრუპავს ცივ ლუდს და "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტს, ჯონ პარელესს სიმღერის შექმნის პროცესზე ესაუბრება.

მაგიდაზე დევს სპირალიანი უბის წიგნაკი, რომელზეც სპრინგსტინს ხელით მიუწერია "სამუშაო წიგნი" და რომელშიც გაკრული ხელით სიმღერის ტექსტები – ზოგი ვარგისი, ზოგიც გადაჩხაპნილი, სავარაუდო სათაურები, არანჟირების დეტალებია ჩაწერილი. ანუ, ეს წიგნაკი ბოსის ახალი ალბომის "ნივთმტკიცებაა". და უკვე, ალბათ, თავად სპრინგსტინმაც იცის, რომ მოვა დრო, როცა "კრისტის" ან "სოტბის" აუქციონზე ამ ისტორიულ ჩანაწერებში მისი რომელიმე ფანი მილიონებს გადაიხდის.

მანამდე კი, შემოქმედებითი პროცესი გრძელდება. ახალი ალბომის გამოშვებამდე 13 დღეა დარჩენილი. ალბომის, The Rising-ის შექმნას საინტერესო ისტორია უძღვის წინ. 11 სექტემბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბრუს სპრინგსტინი ავტოსადგომიდან გამოდიოდა, როცა მანქანიდან უცნობმა მამაკაცმა ფანჯარა ჩასწია და მუსიკოსს შეუძახა: **"ჩვენ შენ გვჭირდები!" "ეს ისეთი მომენტი იყო, რომლითაც მთელი ჩემი კარიერის გამართლება შეიძლება. უდიდესი პატივია, როცა მსმენელის ცხოვრებაში ასეთ მნიშვნელოვან ადგილს მოიპოვებ",** - აცხადებს სპრინგსტინი.

The Rising-ი ახალი სიმღერებით დაკომპლექტებული პირველი ალბომია, რომელიც 1987 წლის შემდეგ E Street ბენდთან ერთად ჩაიწერა. ფაქტობრივად, ამ ალბომით სრულდება სპრინგსტინისა და E Street ბენდის გაერთიანების პროცესი, რომელიც 1995 წელს რამდენიმე ერთად ჩაწერილი სიმღერით დაიწყო. თუმცა, ბოსი უკან, წარსულში არ იქექება. 1975 წლის შემდეგ მან პროდიუსერი პირველად გამოიცვალა და 52 წლის ასაკში დაიბრუნა როკის ხმა, რომელიც დაკარგული ეგონა.

ავტოსადგომში ნანახი უცნობი მხოლოდ ერთ-ერთი ბიძგი იყო. 21 სექტემბრამდე, ანუ, ტერაქტების გამო გამართულ ტელემარათონამდე, სპრინგსტინს უკვე დაწერილი ჰქონდა სიმღერა Into the Fire, მაგრამ საქველმოქმედო კონცერტზე შესასრულებლად სიმღერა დაუსრულებლად მიიჩნია და 21 სექტემბერს ამერიკელებს My City of Ruins უმღერა. Into the Fire კი ცეცხლში გახვეულ კიბეებზე დაკარგულ ადამიანს ეძღვნება. ბოსი მღერის: **"დაე შენმა ძლიერებამ ჩვენც ძლიერებით აგვავსოს, შენმა იმედმა, იმედი ჩვენც დაგვიბრუნოს".** თუმცა, ბოსი ამ სიმღერაზე არ შეჩერებულა. როგორც ჩანს, 11 სექტემბერს მიღებული შემოქმედებითი მუხტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და, ტერაქტების გავლენით, დაახლოებით ერთ კვირაში შეიქმნა მეორე სიმღერაც, You're Missing და მალევე The Fuse – სიმღერა სურვილსა და იმედგაცრუებაზე. ოთხივე სიმღერა ახალ ალბომშია შესული.

თავად სპრინგსტინი შემოქმედებითი მუხტისა და შთაგონების ამბავს ასე განმარტავს: **"Into the Fire და You're Missing "დაბადების" სიმღერები აღმოჩნდა. მათ დანარჩენ სიმღერებს მისცეს დასაბამი. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე. მერე უკვე ისტორიის თხრობას იწყებ და ისტორია თავად გკარნახობს – ახლა ეს ემოცია მინდა, რომ გადმოსცე, ახლა – ის".**

The Rising-ის მიზანია ადამიანებისთვის სულიერი სიმშვიდის მოტანა, ისე, რომ მათ მწუხარების და მწარე სინანულის გრძნობები დაავიწყოს. ალბომში შესული თხუთმეტივე სიმღერის გმირს ახლობლები ჰყავთ დაკარგული, ისინი არიან ადამიანები, რომელთაც უყვართ და ენატრებათ. მიუხედავად თითქოსდა მძიმე თემატიკისა, თითოეული სიმღერა მსმენელს მაინც იმედს უღვივებს. ზოგადად იმედზე ბოსს განსაკუთრებული აზრი აქვს: **"ერთადერთი, რაც ადამიანს რჩება, იმედია. იმედია ის, რასაც ხვალინდელი დღე მოაქვს... ეს არის ის, რაც ყოველთვის რწმენითა და აღმაფრენით მავსებს".**

ბრუს სპრინგსტინს თავისი მშობლიური შტატის გარეთ არსად უცხოვრია. ამ ერთგულების გამო, რამდენიმე ხნის წინ, საინიციატივო ჯგუფმა სენატში მისი კანდიდატურის წაყენებაც მოინდომა. სპრინგსტინი არც ვაშინგტონში გადასახლებულა და არც პოლიტიკაში გარეულა. ის ისევ თავის მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად, მონმაუთის რაიონში, მე-19 საუკუნის ფერმაში ცხოვრობს. თუმცა, ფერმერობა მას სამყაროს შეცნობაში ხელს უშლის. მეტიც, შეგრძნება იმისა, რომ მსოფლიოსთან კონტაქტი შედგა, სპრინგსტინს შემოქმედებით შთაგონებას მატებს: **"როცა ვიცი, რომ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებთან კავშირში ვარ, თავს უკეთესად ვგრძნობ. ვგრძნობ, თუ რით შემიძლია აუდიტორიას ვემსახურო...".**

ალბათ, სწორედ ამ კავშირის გამო გრძნობს მსმენელიც, რომ მას ბრუს სპრინგსტინი სჭირდება. ამ კავშირის გამო იგრძნო ყველამ, რომ 11 სექტემბრის შემდეგ, თითქმის ყველა ვარსკვლავის მცდელობა, სპრინგსტინთან შედარებით, ულიმღამოდ გამოიყურებოდა. უკვე 12 სექტემბერსაც აშკარად იგრძნობოდა, რომ ერთადერთი ვარსკვლავი, ვისაც თავზარდაცემული ამერიკელების დაწყნარება შეეძლო, ბოსი იყო. ეს ამერიკამ ჯერ კიდევ მაშინ იცოდა, როცა ალბომი Born in the U.S.A.-ის ყდას დიზაინი წითელ-თეთრ-ლურჯ ფერებში გაუკეთდა (ეს ალბომი ამერიკისთვის ლამის ეროვნულ სიმბოლოდ იქცა). თავისი სიმღერებით სპრინგსტინი როკის ისტორიაში შევიდა როგორც ყველაზე ამერიკელი მუსიკოსი, რომელიც თავისი ქვეყნის ერთგულია, მაგრამ რომელიც ობიექტურობის გრძნობასაც ინარჩუნებს...

სწორედ ამიტომ არის, რომ ამერიკა 30 ივლისის დადგომას ასე ძალიან ელის.

საქართველოს მუზეუმები

# ქუთაისის მუზეუმი კატასტროფულ მდგომარეობაშია

ნინო ჭანიშვილი

1912 წელს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თაოსნობით ქუთაისში მუზეუმი დაარსდა. დღეს არსებული ფონდების ძირითადი ნაწილი 20-იან 30-იან წლებში შეგროვდა, რასაც 60-იან წლების ექსპედიციების შედეგად მოპოვებული დიდი ოდენობის ეთნოგრაფიული მასალა დაემატა. დღეს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში რომ იმუშავო, ენთუზიასტი მეცნიერი, დათვალიერების შემთხვევაში კი ძალიან ცნობისმოყვარე ადამიანი, ან სიძველეების დიდი მოყვარული უნდა იყო. მუზეუმში აუტანელ სიცხესთან ერთად საშინელი შმორის სუნი დგას. ქუთაისის მუზეუმთან შედარებით თბილისის მუზეუმები ლუვრად მოგეჩვენებათ. ექსპონატების შესანახად და დასაცავად არანაირი პირობა არ არსებობს. არადა ეს მუზეუმი თავისი კოლექციებით ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.

მუზეუმში 800-მდე X-XIX საუკუნეების ხელნაწერი ინახება: გარდა ქართული ხელნაწერებისა, ამ ფონდში დაცულია ბიზანტიელ თეოლოგთა და ჰიმნოგრაფთა ქართულად თარგმნილი საღვთისმეტყველო შრომები და ნაწარმოებები. აქვე ინახება მე-16-17 საუკუნეებში გადაწერილი "ვეფხვისტყაოსანის" რამდენიმე ვერსია, ასევე სულხან-საბას, ვახტანგ VI-ის ნაშრომები. ხელნაწერთა ამ უმდიდრესი კოლექციიდან მუზეუმში მხოლოდ 5 ფრაგმენტია საექსპოზიციოდ გამოტანილი და ისიც კიბის უჯრედში საცოდავად მოთავსებული.


ქუთაისის კულტურის მუზეუმი ბესო გულაშვილის ფოტო

მუზეუმის ფონდებში ინახება ნუმიზმატიკური კოლექციები (7000 ერთეული), რომლებიც გრძელ პერიოდს მოიცავენ –ანტიკური ხანიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ჩათვლით, რომელშიც ქართულ მონეტებთან ერთად ბერძნული, რომაული, ბიზანტიური და აღმოსავლეთის ქვეყნების ფულის ერთეულებია დაცული.

მუზეუმს გააჩნია მდიდარი არქეოლოგიური განყოფილება, რომელიც შეიცავს ზღვა მასალას უძველესი დროიდან მოყოლებული IV-III საუკუნეების ჩათვლით, მათ შორისაა უმშვენიერესი ჭვირული ბალთები და გრავირებული კოლხური ცულები (I ათასწლეული).

ქუთაისის მუზეუმის ოქროს ფონდში ინახება დიდი რაოდენობის ქართული შუა საუკუნეების ოქრომჭედლობის ნიმუშები. ბევრი მათგანი ქართული ოქრომჭედლობის განვითარების საუკეთესო პერიოდში, X-XIII საუკუნეებშია შექმნილი: საწინამძღვრო ჯვარი მოწამეთადან, რომელზეც სხვა ისტორიულ პირებთან ერთად ბაგრატ IV მოიხსენიება(XIს.), მომინანქრებული ხატები სოფელ ხონჭიორიდან (XIს.), მე-12 საუკუნის მაცხოვრის ხატი მოწამეთადან, რომლის წარწერაში თამარ მეფის დროინდელი მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი მოიხსენიება. საექსპოზიციოდ 15-მდე ჭედური ხატი, რიპიდა, საწინამძღვრო ჯვარია გამოტანილი. სწორედ ამ განყოფილებაში სუფევს ყველაზე საშინელი ვითარება. სამ კვადრატულ მეტრ ფართობზე, სადაც განსაკუთრებული სიცხე და უჰაერობაა, მინის ვიტრინებშია ჩაყრილი ნივთები. მუზეუმში ინახება 5000-მდე ისტორიული დოკუმენტი, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები. მუზეუმს აქვს საერო და სასულიერო სამოსების დიდი კოლექცია, მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

მთლიანად მუზეუმის ფონდების დაახლოებით ათი პროცენტია გამოფენილი, არის ისეთი განყოფილებები, საიდანაც არცერთი ნივთი არაა ექსპონირებული.

ბოლო წლების განმავლობაში მუზეუმის საშტატო ერთეული სამჯერ შეამცირეს, ბოლო ექსპედიცია როდის მოეწყო, აღარავის ახსოვს. მუზეუმის მთელ სამეცნიერო მოღვაწეობას წელიწადში ერთხელ სამუზეუმო კრებულის გამოცემა წარმოადგენს, რაც სულაც არ გულისხმობს უახლესი გამოკვლევების გამოქვეყნებას.

ჰოლში გასაყიდად დადებული ბუკლეტები და ბროშურები საბჭოთა ხანაშია გამოცემული. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც მუზეუმისადმია მიძღვნილი, სხვა საინტერესო ინფორმაციებსაც ნახავს კაცი, როგორ გადაიქცა ქუთაისი 1900-იან წლებში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მთავარ კერად, რომ ქუთაისში შეიქმნა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ი. სტალინი, მ. ცხაკაია ფ. მახარაძე და სხვა მსხვილი რევოლუციონერები, და მოგვიანებით როგორ აშენდა ქუთაისური ინდუსტრია. ამ ყველაფრის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მუზეუმს დამთვალიერებელი ფაქტიურად არ ჰყავს, სწავლის დროს სკოლის მოსწავლეებს თუ შეიყვანენ ხოლმე.

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა მუზეუმის დირექტორი მიხეილ ნიკოლაიშვილი საყვედურებს საკმაოდ თავშეკავებულად გამოთქვამს, განსხვავებით მისი თბილისელი კოლეგებისგან, რომლებიც მისამართით თუ უმისამართოთ მუდმივად საყვედურებს გაიძახიან. ბატონმა მიხეილმა ნამუსიც კი მოწმინდა ქუთაისის ყოფილ ხელმძღვანელობას, ჩვენ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შევდივართ და სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა გვაფინანსებდესო. რაც შეეხება ქალაქის ახლად გამოცვლილ ხელმძღვანელობას, მათ გამოჩენას მუზეუმის დირექტორი დღე-დღეზე ელოდება. როცა ნანახით გაოგნებულმა ბატონ მიხეილს ვკითხე, ხომ არა აქვს მუზეუმს რაიმე გეგმა ან სტრატეგია, რითაც ის გარკვეულწილად მაინც შეინახავს საკუთარ თავს, იგივე, ვთქვათ, სუვენირების დამზადება, ნორმალურ პოლიგრაფიულ დონეზე სხვადასხვა სახის ბროშურების გამოცემა..., როგორც უცხოპლანეტელს, ისე შემომხედა. სხვათაშორის ზემოთნახსენები ბროშურის ავტორი თავად მიხეილ ნიკოლაიშვილი გახლავთ.

2000 წელს ამერიკის სამ ქალაქში (ბალტიმორი, ჰიუსტონი, სან-დიეგო) გამოფენის მოსაწყობად საქართველოს სამი მუზეუმიდან 200-მდე ნივთი ოკეანის გაღმა უნდა გამგზავრებულიყო. აქედან 40-მდე ექსპონატი ქუთაისის მუზეუმიდან შეირჩა. ეს გამოფენა ჩაიშალა, ამის მიზეზი აბსოლიტურად გასაგები იყო, რადგან ექსპონატების უმეტესობა ტრასპორტირებას არ ექვემდებარებოდა. გაუგებარი მხოლოდ ის არის, რა საჭირო იყო მთელი მაშინდელი კამათები, ნივთების საქართველოში დატოვებას რომ მიეძღვნა, თუკი ისინი მაინც განადგურდებოდა, ოღონდ ამჯერად ნელა და მეთოდურად.

# რა გადაარჩენს „წინანდლის პრემიას"

## ახალგაზრდა შემოქმედები პრეზიდენტს მიმართვას უგზავნიან

ნინო თვარაძე

გუშინ გაზეთ "24 საათის" რედაქციაში შედგა ახალგაზრდა შემოქმედთა სემინარის, "ბაკურიანი-2002"-ის მონაწილეთა და ორგანიზატორების საქმიანი შეხვედრა, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდული ხელოვნების არაკომერციული დარგების მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება და მისი პრეზიდენტისთვის შეთავაზება მხარდასდაჭერად. სემინარი 5-11 ივლისს ბაკურიანში მოაწყო ალაგაზრდულ საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა.

მიმართვა პრეზიდენტისადმი, რომლესაც სემინარის მონაწილეებმა (დათო ტურაშვილმა, დავით საყვარელიძემ, ლაშა ბუღაძემ, გიორგი ლობჟანიძემ, რატი ამაღლობელმა, მალხაზ ხარბედიამ, გიორგი ჯაფარიძემ და სხვ.) მოაწერეს ხელი, რამოდენიმე პუნქტისაგან შედგებოდა. პირველი თანამედროვე პროფესიული (კლასიკური) მუსიკისა და ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორების მხარდასაჭერად მუსიკალური დღეების ორგანიზება იყო. აღნიშნული ღონისძიება მიზნად ისახავს რამოდენიმე კინცერტის გამართვას, სადაც ქართულ თანამედროვე მუსიკას შეასრულებენ ორკესტრები, ანსამბლები და სოლისტები. გათვალისწინებულია ელექტრონული მუსიკის კონცერტიც.

მიმართვის მეორე პუნქტად ახალგაზრდა ხელოვანებისთვის ამ ორი წლის წინ დაწესებული "წინანდლის პრემიის" გაგრძელება იქნა შეტანილი. პრემია, რომელმაც უკვე მეორედ გაუწია მორალური და ფინანსური მხარდაჭერა არა ერთ ახალგაზრდა მწერალს, მუსიკოსსა თუ მეცნიერს, წელს ისევ საფრთხის ქვეშ დგას. ამ თემასთან დაკავშირებით მცირე დისპუტი გაიმართა სემინარის მონაწილეთა შორის. ერთის მხრივ, წინანდლის პრემია სახელმწიფო პროგრამის ნაწილი იყო, მეორეს მხრივ, ფინანსურ მხარდაჭერას მას კერძო სპონსორები უწევდნენ, რომელთა მოზიდვაში დიდი წვლილი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას მიუძღოდა. ლაშა ბუღაძის განცხადებით, ზურაბ ჟვანია ახლაც დაინტერესებულია "წინანდლის პრემიის" მხარდაჭერით, რის გამოც სემინარის მონაწილეთა ნაწილმა არაეთიკურად და პოლიტიკაში ჩართვის საფრთხედ ჩათვალა ამ პროექტისთვის პრეზიდენტის მხარდაჭერის მოთხოვნა.

საბოლოოდ, ახალგაზრდა ქართველმა შემოქმედებმა "წინანდლის პრემიის" პუნქტიც ძალაში დატოვეს და ნებისმიერ დახმარების მსურველთან თანამშრომლობაც სასურველად ჩათვალეს – იმ პირობით, თუ ეს მოვლენა პოლიტიკური დივიდენტების მოგროვების მორიგ საშუალებად არ იქცევა.

პრეზიდენტისადმი მიმართვა კიდევ რამოდენიმე პუნქტს მოიცავდა – მათ შორის, მხატვრული ბიენალეს, მომდევნო წიგნის ფესტივალს და კინო-კონკურსის მხარდაჭერას.

კალათბურთი

# ცქიტიშვილი ექვს წელიწადში 7 მილიონამდე დოლარს მიიღებს

ქართველი კალათბურთელი ნიკოლოზ ცქიტიშვილი უახლოეს დღეებში "დენვერ ნაგეთსთან" კონტრაქტს ხელს მოაწერს. დრაფტის მეხუთე ნომერი ქართველი პირველი წლის განმავლობაში 2,1 მილიონ დოლარს მიიღებს, მეორე წელს კი - 2,4-ს. სამი წლის განმავლობაში იტალიის "ბენეტონის" ყოფილი კალათბურთელის ხელფასი 6 მილიონ 730 ათას დოლარს შეადგენს. ნაწყენი არც "ბენეტონი" დარჩენილა. იტალიელებმა 19 წლის ქართველის სანაცვლოდ ზუსტად ერთი მილიონი დოლარი მიიღეს. აქედან 650 ათასი თავად კალათბურთელმა გადაიხადა და საკუთარი კონტრაქტი გამოისყიდა. დანარჩენი 350 ათასი კი იტალიელებს "დენვერ ნაგეთსმა" ჩაურიცხა. კონტრაქტის სხვა დეტალებს არც კლუბი და არც ცქიტიშვილი არ ახმაურებენ. ასე რომ, ეროვნულ სკალათბურთო ასოციაციაში მეორე ქართველი გამოჩნდა. ეს სასიხარულოა და ამავე დროს სერიოზულ პრობლემას ქმნის. ცქიტიშვილი, სტეფანია და, ალბათ, ზაზა ფაცულიაც, რომელიც მომავალ დრაფტზე აუცილებლად უნდა მოხვდეს საკალათბურთო ასოციაციაში, ეროვნული ნაკრებისათვის, ფაქტობრივად, დაკარგულები არიან. თუმცა, ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაში არიან სხვა ევროპული ქვეყნების კალათბურთის ფედერაციებიც. კონტინენტის პირველობის შესარჩევი და ფინალური ეტაპები სწორედ ლიგის რეგულარული სეზონის თამაშებს ემთხვევა. ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია კი ნაკლებად ითვალისწინებს სხვა ქვეყნების ინტერესებს. თუმცა, კალათბურთის საერთაშორისო ასოციაცია ამზადებს პროექტს, რომლის მიხედვითაც ევროპის პირველობა მხოლოდ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ უნდა გაიმართოს. ამ შემთხვევაში საქართველოს ნაკრებს წარმატების დიდი შანსი მიეცემა. თუმცა, ეს ჯერჯერობით მხოლოდ პროექტია.

# ახალი დებულება და ახალი წიგნი

დიმიტრი ობოლაძე

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია მომავალი სეზონისთვის დიდი მონდომებით ემზადება. აღმასკომის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცეს ახალი სეზონის დებულება, რომელშიც, შარშანდელი სეზონის შედეგების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ და საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, კალათბურთის ფედერაციის ბავშვთა კომიტეტის თავმჯდომარემ გია მიქაძემ მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს. დღეიდან არსებობს კალათბურთის ოფიციალური წესების ქართული გამოცემა. ამ საჭირო წიგნის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის გია მიქაძეს, რომელმაც ფრანგული და რუსული ენებიდან სრულყოფილად თარგმნა ფიბა-ს ცენტრალური ბიუროს მიერ მიღებული და დამტკიცებული წესები. ეს წიგნი დიდად დაეხმარება მსაჯებს, მწვრთნელებს, კალათბურთელებს. მით უმეტეს, რომ საქართველოში თანამედროვე კალათბურთის წესების ცოდნით რამდენიმე ადამიანი თუ გამოირჩევა. უახლოეს დღეებში დაიწყება პირველი ქართულენოვანი გამოცემის "კალათბურთის ოფიციალური წესები"-ს გავრცელება. კალათბურთის ფედერაციის მიერ შემუშავებულ დებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია. პირველ აგვისტომდე ჩემპიონატში მონაწილე გუნდებმა უნდა წარადგინონ ოფიციალური ცნობა იმის თაობაზე, რომ ნამდვილად ითამაშებენ საქართველოს პირველობაზე. ცნობას თან უნდა დაერთოს 1000-ლარიანი ფინანსური გარანტიაც. აღსანიშნავია, რომ საგარანტიო თანხა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე შემდგომი უარის შემთხვევაში კლუბს არ დაუბრუნდება. 1 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე კლუბებს კიდევ მიეცემათ დამატებითი ვადა, თუმცა, უკვე შესაბამისი ჯარიმის გადახდით. 5 სექტემბერს კი ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა. დღეისთვის, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე შვიდი გუნდის საკითხი. თბილისის "დინამო", "მაკაბი", თსუ, სტუ, რუსთავის "აზოტი", სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ჩემპიონი, ბათუმის "ბასკო" აუცილებლად ითამაშებენ. მინაწილეობაზე უარი განაცხადა ეროვნული პირველობების უცვლელმა მონაწილემ, საავიაციო ქარხნის გუნდმა "შევარდენმა". საოცარი კია. ძნელი წარმოსადგენია, რომ საავიაციო ქარხანამ ერთი გუნდის დაფინანსება ვერ მოახერხოს. წინასწარი თანხმობა არსებობს ქუთაისის გუნდის მონაწილეობასთან დაკავშირებით. შეცვლილია სისტემაც. მონაწილე გუნდები ერთმანეთში 4 წრეს მიმოსვლით ითამაშებენ. ამის შემდეგ კი გაიმართება პლეი-ოფი (პირველი გუნდი მერვეს შეხვდება, მეორე მეშვიდეს და ასე შემდეგ). პლეი-ოფის სერია რომელიმე გუნდის ორ მოგებამდე გაგრძელდება. ეს სისტემა ნამდვილად ოპტიმალურია. ჩემპიონატის დასკვნით ფაზამდე ყველა გუნდი ინარჩუნებს მეტ-ნაკლებად თანაბარ შანსს, რაც კიდევ უფრო გაზრდის დაძაბულობას. რუსთავის "აზოტი" აპირებს, შეხვედრები საკუთარ მოედანზე გამართოს. რუსთავში დარბაზის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. ფედერაციის მოთხოვნით, თითოეული დარბაზი, რომელშიც შეხვედრა უნდა ჩატარდეს, სხვა მოთხოვნებთან ერთად, 500 ადამიანს მაინც უნდა იტევდეს.

ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ქართულ კალათბურთს ერთი მნიშვნელოვანი გამოცდა ელის. 7-11 აგვისტოს ჩეხეთის ქალაქ შტრაკონიცეში გაიმართება კადეტთა (1987 წელს დაბადებულ კალათბურთელთა) შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი. საქართველოს ნაკრების მეტოქეები "ბ" ჯგუფში იქნებიან მასპინძლები, სლოვენია, პოლონეთი და ავსტრია. საქართველოს ნაკრების მწვრთნელები არიან წარსულში ცნობილი კალათბურთელები გელა წულაძე და მიხეილ კობეშავიძე. უდავო ფავორიტად სლოვენიელი კადეტები ითვლებიან. სლოვენიაში მოთამაშე ქართველების ინფორმაციით, ეს ნაკრები დღითიდღე წინ მიდის. ჩეხები მასპინძლები არიან და ამით ყველაფერია ნათქვამი. საქართველოს ნაკრებს რეალური შანსი აქვს. მომდევნო ეტაპზე, ანუ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობის უფლებას "ბ" ჯგუფში პირველ სამ ადგილზე გასული გუნდები მოიპოვებენ. საქართველოს ნაკრები პირველ მატჩს 7 აგვისტოს სლოვენიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს.

ტყვიის სროლა

# ნინო სალუქვაძის მედლის ორი მხარე

## რომელი ბარიერის გადალახვაა უფრო ძნელი - ოლიმპიურის თუ... ჩინოვნიკურის?

მიხეილ აბაიშვილი

უკვე მეორე ათეული წელია, ამ სახელისა და გვარის – ნინო სალუქვაძის მხოლოდ ხსენებაც კი ნებისმიერ ქართველში დადებით ემოციებს აღძრავს. პირველი დიდი წარმატებიდან – სეულის ოლიმპიადის მოგებიდან - 14 წელი გავიდა. მას შემდეგ ნინომ იმდენ უმნიშვნელოვანეს ტურნირში გაიმარჯვა, რომ თავადაც კი ერევა სათვალავი. მოდი, წინა წლების მიღწევებს თავი გავანებოთ და მხოლოდ წლევანდელი გამარჯვებები გავიხსენოთ. წლეულს ნინომ მსოფლიო თასი მოიგო, ოლიმპიური ლიცენზია მოიპოვა და მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, პნევმატური იარაღით სროლაში ვერცხლის მედალს დაეუფლა. ამ ტურნირში 97 ქვეყნის 110 წარმომადგენელი მონაწილეობდა.

ასეთი მიღწევებით წლეულს ვერც ერთი ქართველი სპორტსმენი ვერ დაიკვეხნის. დღეს რომ იმართებოდეს საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენი გამოკითხვა, ნინო სალუქვაძე ამ აღიარებასაც მოიპოვებდა. თუმცა, ვეჭვობ, რომ, თუნდაც წლის ბოლომდე, რომელიმე ქართველმა სპორტსმენმა ნინოზე უკეთესი შედეგები აჩვენოს.

ნინო სალუქვაძე ორი დღის წინ დაბრუნდა სამშობლოში. ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას.

**- გაზეთ "24 საათისა" და გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის სახელით გილოცავთ ამ წარმატებას. ისე შეგვაჩვიეთ უმაღლეს მიღწევებს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი თქვენთვის დიდ მიღწევად არ ჩაითვლება...**

- ვერ დაგეთანხმებით. იმის გათვალისწინებით, თუ როგორ პირობებში მიწევდა მზადება, გამგზავრება და ტურნირში მონაწილეობა, ვერცხლის მედალი არათუ დიდი, უდიდესი წარმატებაა. ტრადიციული ფინანსური პრობლემების გამო ბოლო წუთებამდე ისიც კი არ ვიცოდი, მოვახერხებდი თუ არა ტურნირზე გამგზავრებას. ერთი ათდღიანი შეკრება ვითხოვე, ისიც რუსეთში და, მართალია, დამიგეგმეს, მაგრამ ისიც კი ჩაშლის საფრთხის ქვეშ იყო. მოსკოვში ორჯერადი ვარჯიშები მქონდა, რაც დიდი ხანია არ მღირსებია.

წარმატებას უფრო სპორტული იარაღით სროლის ტურნირში ველოდი, მაგრამ, ბედის ირონიით, ზუსტად ბოლო ვარჯიშის შემდეგ იარაღს ჩახმახი დაუზიანდა. მართალია, საორგანიზაციო კომიტეტის სპეციალურმა სამსახურმა გამირემონტა, მაგრამ შეიცვალა სასხლეტის ხასიათი. ახალი სასხლეტის გამოცდისა და მასთან შეგუების საშუალება კი არ მქონდა. ეს ამბავი შედეგზეც ადეკვატურად აისახა – სპორტული იარაღით სროლის ტურნირში მე-13 ადგილზე გავედი.

პნევმატური იარაღით სროლის ტურნირში მეც და ჩემს მწვრთნელსაც გაცილებით ნაკლები იმედები გვქონდა. ფინალისწინა სერიის შემდეგ ავსტრალიის სახელით მოასპარეზე, წარმოშობით ბელორუსმა ლოლიტა იაგულევსკაიამ 388 ქულა დააგროვა და უახლოეს სამ მდევარს 3-3 ქულით გაგვასწრო. ფინალური სერია სულ ათი გასროლისგან შედგება და ნამდვილად აღარ მქონდა იმედი, რომ ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას შევძლებდი. მაგრამ ლოლიტამ ფინალური სერია თავიდანვე ძალზე ცუდად დაიწყო და საბოლოოდ მეოთხე ადგილზე გავიდა. მთავარი ბრძოლა კი ჩემსა და რუს კუზნეცოვას შორის გაიმართა. ბოლო გასროლის შემდეგ, როცა ტაბლოს შევხედე, დავინახე, რომ რუსს 0,1 ქულით ვაჯობე, მაგრამ სწორედ ბოლო გასროლის შემდეგ დავკარგე ოქროს მედალი. უკრაინელმა თინეიჯერმა ელენე კოსტევიჩმა, რომელსაც ფინალამდე ყურადღებას არავინ აქცევდა, ბოლო გასროლაზე 10,8 "გააკეთა" და 0,3 ქულით გამასწრო. მე კი ბოლო გასროლამ 9,9 ქულა მომიტანა. პრინციპში, გული არც დამწყვეტია, რადგან 10,8 ქულას რომ მოაგროვებ, თანაც, ბოლო გასროლაზე, ოქროს მედალი გეკუთვნის კიდეც.

**- ცნობილი ქართველი ბიზნესმენების მიერ დაფუძნებულ ოლიმპიურ ფონდს პირადად თქვენი მზადებისა და ტურნირებში მონაწილეობის დაფინანსებაც აქვს დაგეგმილი. ეს, ალბათ, ბევრ პრობლემას მოგიხსნით.**

- ამის თაობაზე ჯერ არაფერი ვიცი. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დღეს საქართველოში სპორტი უკიდურეს მდგომარეობაშია, რაც ჩემზე კარგად, ალბათ, არავინ იცის, რადგან ყველაფერი საკუთარ თავზე ვიგემე.

**- მომავალი დიდი ტურნირი, თქვენთვის, სუპერთასია, რომელიც აგვისტოს ბოლოს მიუნხენში გაიმართება (ამ ტურნირში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მსოფლიო თასის გამარჯვებულებს, მეორე პრიზიორებსა და მსოფლიოს ჩემპიონებს აქვთ, - *რედ.*). რას უნდა ველოდეთ?**

- ლამის თავბედს ვიწყევლი იმის გამო, რომ ამ პრესტიჟულ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოვიპოვე. ალბათ, კიდევ დიდი ნერვების წყვეტა მომიწევს იმის საბოლოოდ გარკვევამდე, შევძლებ თუ არა ამ ტურნირისთვის მომზადებას და მიუნხენში გამგზავრებას. ასეთ პირობებში წინასწარ შედეგზე საუბარი გაუმართლებლად მიმაჩნია.

**- ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე წელიწადია დარჩენილი, მაგრამ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თქვენი გულშემატკივარი ამ ოლიმპიადაზეც ელის სეულის წარმატების გამეორებას. მით უმეტეს, რომ თქვენ ქართველ სპორტსმენთაგან პირველმა მოიპოვეთ ათენის ოლიმპიადის ლიცენზია.**

- კიდევ გავიმეორებ: მაღალ შედეგს კარგი მომზადება და პირობების შექმნა სჭირდება. მით უმეტეს, თუ საუბარია ისეთ გამორჩეულ მიღწევაზე, როგორიცაა ოლიმპიური ჩემპიონობა. თუკი ძველებურად გავაგრძელე ფიზიკური და მორალური ძალების ხარჯვა, ათენამდე შეიძლება ნერვებიც არ მეყოს. ერთადერთი, რაც დღემდე ძალას მმატებს და საბრძოლველად განმაწყობს, ქართველი გულშემატკივრის სიყვარული, მხარდაჭერა და კეთილგანწყობაა. ამას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ.

**რედაქციისგან:** ის, რომ მოქმედ სპორტსმენთაგან ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი და მომავალ ოლიმპიადაზე მედლის მოპოვების დღესდღეობით უმთავრესი კანდიდატი ნებისმიერი რანგის ტურნირის წინ ასეთ ყოფით პრობლემებს აწყდება, ქართულ სპორტში შექმნილი ვითარების რეალური ასახვაა. მერამდენედ მტკიცდება, რომ სახელმწიფოს, უფრო ზუსტად კი, ჩვენი ქვეყნის უმაღლეს ჩინოვნიკობას, სპორტი თვალის ახვევის დონეზეც კი აღარ აინტერესებს. თუმცა, ხელისუფლების პრესტიჟი ისეა დაცემული, რომ ისეთი "წვრილმანი", როგორიცაა სპორტი და საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, მას ველარაფერს შემატებს.



*ნინო სალუქვაძე*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ერთი ნაბიჯი მედლებამდე

## კუპატაძე და ვარდუაშვილი მეოთხედფინალში გავიდნენ

პერმში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი კრივში. ბრძოლები 57, 63,5 და 75 კგ წონით კატეგორიებში გაიმართა. მეოთხედფინალში კიდევ ორი ქართველი მოკრივე გავიდა და მედლებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

პირველად რინგზე გამოვიდა საქართველოს ნაკრების იმედი კონსტანტინე კუპატაძე (ასე ახასიათებს მას კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ზურაბ კიკნაველიძე). 57 კგ წონით კატეგორიაში მას, თურქი სედათ თაშჩის სახით, სერიოზული მეტოქე შეხვდა. კონსტანტინე კუპატაძე წარმოშობით ჭიათურელია, მაგრამ ადგილობრივ ტურნირებში თბილისის სახელით გამოდის. მოკრივემ საქართველოს ჩემპიონატში ისახელა თავი და ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებაც მოიპოვა.

"კონსტანტინე კუპატაძე უაღრესად მზარდი, პერსპექტიული და ტექნიკური მოკრივეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი იმედია", – ამბობს ზურაბ კიკნაველიძე. ჰოდა, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა იმედმა თავიდანვე მედგრად შეუტია სედათ თაშჩის და მოულოდნელი დარტყმებით უპირატესობა მოიპოვა. თურქი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქართველის ფიცხელ შეტევებს მან ვერაფერი დაუპირისპირა და გონს მოსასვლელად დიდი დრო დასჭირდა.

მეორე რაუნდში ძალთა თანაფარდობა აღდგა. მუშტების ქნევა თურქმაც დაიწყო და ორთაბრძოლა ქულა-ქულაზე გაგრძელდა. ბრძოლის გადამწყვეტ ფაზაში კუპატაძემ მეტოქეს რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიაყენა და მსაჯების კეთილგანწყობაც დაიმსახურა. საბოლოოდ, 23:20 კონსტანტინე კუპატაძის სასარგებლოდ დამთავრდა.

ვარიანელი პაატა ვარდუაშვილის მეტოქეც კერკეტი კაკალი გამოდგა. სომეხმა ტიგრან აკოფიანმა ქართველს 16 დარტყმა მიაყენა, მაგრამ თვითონ 21 მიიღო და დიდი მონდომების მიუხედავად, კონტინენტის პირველობას მაინც გამოეთიშა. "პაატა ვარდუაშვილი კარგ ფორმაშია, მაგრამ დიდი გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის, ამიტომ ნახევარფინალში გასვლა ამ მოკრივისთვის წარმატება იქნება", – განაცხადა ზურაბ კიკნაველიძემ.

სამწუხაროდ, თანამემამულეთა გარჯას მხარი ვერ აუბა თბილისელმა დავით წიკლაურმა. 75 კგ წონით კატეგორიაში მისი მეტოქე ჩეხი ლადისლავ კუტილი იყო. წიკლაურმა უპირატესობა თავიდანვე დათმო და დეფიციტის აღმოფხვრა ველარ მოახერხა. 20:9 ჩეხი კუტილის სასარგებლოდ დასრულდა.

გუშინ კი მედლებისათვის ბრძოლას გამოეთიშა საქართველოს ნაკრების წევრი 81 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ბექა ლობჟანიძე. იგი რუსეთის გუნდის წარმომადგენელ ევგენი მაკარენკოსთან პირწმინდად, ანგარიშით 17:2 დამარცხდა

კრივი

# ეგ ბიჭი შეშინებული ხომ არ არის

პაატა თოთაძე

ვინ დაამხობს ლენოქს ლუისის ჰეგემონიას? ვინ იქნება მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი? ეს კითხვა დღეს ბევრს აწუხებს, მაგრამ პასუხს ვერაფრით იღებენ. ვერ იღებენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერაც არ არის გარკვეული, ვინ იქნება ლუისის მომავალი მეტოქე, ან იქნება კი საერთოდ ვინმე? ეს კი მართლაც გაურკვეველია, რადგან ლუისს საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, წავიდეს აქტიური სპორტიდან თუ ერთხელაც იჩხუბოს და სქელი ჯიბე კიდევ უფრო გაისქელოს. ამას ლუისი მალე გაარკვევს, თუმცა, ერთი პრობლემა აქვს – მას არაერთხელ განუცხადებია, რომ სურს, სპორტიდან გამარჯვებული წავიდეს. ამიტომაც ფიქრობს, მეტოქედ ისეთი მოკრივე შეარჩიოს, რომლისგანაც დიდი საფრთხე არ დაემუქრება. ვინ იქნება ეს, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ვლადიმერ კლიჩკო რომ ნამდვილად არ იქნება, ეს უკვე ცხადია.

"ჩემთან საჩხუბრად ის სათანადოდ არ არის მზად. მასთან ბრძოლა ჩემთვის, უბრალოდ, დროის დაკარგვა იქნება, რადგან, დარწმუნებული ვარ, ნოკაუტით მოვუგებ", - განაცხადა ლუისმა. მისმა სიტყვებმა ბევრი გააოცა - დღეს ხომ, უმცროსი კლიჩკოს გარდა, არავინაა ისეთი, ლუისის დამარცხება რომ შეეძლოს. "ვფიქრობ, ლუისი მიზეზებს ეძებს, რომ ჩემთან ბრძოლას თავი აარიდოს. მე მზად ვარ ვეჩხუბო და დავუმტკიცო: არც ისე სუსტი ვარ, რომ ნოკაუტით დავმარცხდე. საინტერესოა, კრივიდან თუ არ წავიდა, ვისთან იჩხუბებს - ბერდთან, რომელიც სასტიკად ვცემე, ტაისონთან თუ ჰოლიფილდთან, რომლებიც უკვე დამარცხებული ჰყავს? ვისაც გინდათ, ჰკითხეთ: დღეს კრივის მოყვარულებს ყველაზე მეტად კლიჩკო-ლუისის ბრძოლის ნახვა სურთ. ბრიტანელის უარი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მას, უბრალოდ, ეშინია".

აშკარაა, ვლადიმერ კლიჩკოს ძალიან უნდა ლუისთან შეხვედრა. დღეს ხომ კრივის მოყვარულებს ყველაზე მეტად სწორედ ეს ბრძოლა აინტერესებთ. სპონსორებიც მზად არიან, მოკრივეებს დიდი ჰონორარი გადაუხადონ, რამაც ლუისს, შესაძლოა, რინგიდან წასვლა გადააფიქრებინოს. ცოტა ხნის წინ მაიკ ტაისონმა მატჩ-რევანშის გამართვა შესთავაზა. თავდაპირველად ლუისმა იუარა, მაგასთან ჩხუბს აზრი არა აქვსო, მაგრამ ახლა სხვანაირად ლაპარაკობს: 30 მილიონი გადამიხადეთ და ხელმეორედ ვეჩხუბებიო. "ხალხს არ სურს იმის ნახვა, როგორ ვაგდებ ნოკაუტში ტაისონს. მათ სურთ, მე მნახონ ნოკაუტში", - აცხადებს ლუისი. ეს კი იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი (თუმცა, ნაკლებად არის მოსალოდნელი), თუკი ბრძოლა მართლაც გაიმართება. ერთი შეხედვით, ამას წინ არაფერი დაუდგება. ყველა ელოდა ლუისის გადაწყვეტილებას - დარჩებოდა თუ არა რინგზე. და როცა გადაწყვიტა, ბრძოლის გამართვას წინ რაღა უნდა დაუდგეს, მაგრამ, საეჭვოა, ვინმემ მოისურვოს, მას 30 მილიონი დოლარი გადაუხადოს, რაც, სპორტული თვალსაზრისით, არცთუ საინტერესოა. ყოველ შემთხვევაში, ლუისის განცხადებას არავინ გამოხმაურებია. ასეთ შემთხვევაში კი, ლუისის თქმით, ის კარიერას დაასრულებს.



*ლენოქს ლუისი*

REUTERS

Tour de France

# ლანს, ადი ლე მონჟიეზე!

ლუჩანო ტაიოლი
ლანესტერ-ლორეანი
სპეციალურად "24 საათისთვის"

- ეს დღე ვერ იქცა ჩემს სუპერდღედ. - იტყვის ინდივიდუალური რბოლის შემდეგ ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონი და მართალიც იქნება. ეს მისი დღე არ იყო.

მოხდა ის, რაც ერთხელაც არ მომხდარა ბოლო სამი წლის მანძილზე. დაუმარცხებელი არმსტრონგი დამარცხდა და მერე სად - ინდივიდუალურ რბოლაში, შეჯიბრებაში, რომელშიც, 1999 წლიდან მოყოლებული, ერთთავად პირველი იყო.

როგორც მისივე სიტყვებიდან ჩანს, ჩემპიონი იხტიბარს არ იტეხს:

- ჩემთვის ეს მარცხი, ანდა, თუ სხვანაირად ვიტყვი, ბოტეროს გამარჯვება, სულაც არ იყო სიურპრიზი. მან ერთხელ უკვე დამამარცხა ასეთივე რბოლაში. მთელი ორმოცდაორი წამი მომიგო, თანაც, სულ ახლახან, დაფინეს ტურში.

მით უარესი. თუ ამ, არცთუ გამორჩეულმა კოლუმბიელმა უკვე მეორედ აჯობა დიად ჩემპიონს, ამერიკელის ბანაკში უკვე კარგა ხანია უნდა სცემდნენ განგაშის ზარებს.

მერე და მერე, ჟურნალისტებთან საუბარში, კიდევ უფრო მოთბა და მოლბა კაცი, რომელიც, თუკი ძალა შესწევს, არსად და არავის არაფერს უთმობს:

- მე უნდა შევურიგდე იმ აზრს, რომ, როცა მეტოქეებად გყავს ინდივიდუალური რბოლის ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან ბოტერო და გალდეანო, ყოველთვის ვერ გაიმარჯვებ.

ნეტავ, როდის აქეთ? მსგავსი განცხადებები ბოლო სამი წლის მანძილზე კაციშვილს არ სმენია. არადა, ამ კაცმა, არის საჭირო თუ არა, ენაზე კბილის დაჭერა მართლა არ იცის. ეგ არ იყო, შარშანწინ, 2000-მეტრიან მონ ვენტუზე, ფინიშის შემდეგ ჟურნალისტებთან რომ "წაიკაიკაცა", - პანტანის გამარჯვება დავუთმეო?! ამ დროს ყველამ კარგად იცის, რომ "პირატს", ყოველ შემთხვევაში, მთაში მაინც, არავისგან მოწყალება არ სჭირდება! ნეტავ, რას ფიქრობდა ამერიკელი, "პირატი" ვითომ ლამაზი თვალებისთვის შეარქვეს იტალიელს?1

რა თქმა უნდა, ერთი ინდივიდუალურის წაგებით ქვეყანა არ დაქცეულა, მით უფრო, რომ სხვაობამ ბოტეროსა და არმსტრონგს შორის სულ რაღაც 11 წამი შეადგინა. სინამდვილეში ეს ჩემპიონის პატივმოყვარეობაზე დარტყმა უფრო იყო, ვიდრე სერიოზული სპორტული მარცხი. ყველგან და ყოველთვის პირველი მართლაც ვერ იქნები.

ლანესტერსა და ლორეანს შორის გამართული 52-კილომეტრიანი რბოლა სხვა რამითაც იყო აღსანიშნავი. ყველასთვის მოულოდნელად, მშვენიერი შედეგები აჩვენეს ლიტველმა რაიმონდას რუმსასმა და უნგრელმა ლასლო ბოდროგიმ. "მთის გამოცდის" ჩაბარებამდე ძნელია იმის თქმა, თუ რას ნიშნავს ეს შედეგები, მაგრამ ამ ქვეყნების წარმომადგენელთა ჩართვა ამა ქვეყნის ძლიერთა დავაში ნამდვილად სასიამოვნოა. ეს ტურის არეალსა და პოპულარობას კიდევ უფრო ზრდის.

ამის საპირისპიროდ არავის გაკვირვებია მსოფლიოს ჩემპიონის ჟალაბერისა და ოლიმპიური ჩემპიონის ეკიმოვის, რბილად რომ ვთქვათ, უხეირო გამოსვლა. როცა ოცდათხუთმეტ წელს მიაღწევ, ცხოვრება, თქმა არ უნდა, ეს-ეს არის იწყება, მაგრამ ტურში წარმატების მისაღწევად მთელი ამ ხნის განმავლობაში დაგროვებული გამოცდილება ძნელად თუ გიშველის. სპრინტის მეფის მარიო ჩიპოლინისა არ იყოს, ფეხებია საჭირო!

ამ ფონზე არმსტრონგის განცხადებები მეტიჩრობადაც შეიძლება მოეჩვენოს კაცს. ერთი რბოლის წაგებით ქვეყანა მართლა არ იქცევა. ვფიქრობ, რომ ვერც სანტიაგო ბოტერო და ვერც ტურის დღევანდელი ლიდერი იგორ გონზალეს გალდეანო მთებში არმსტრონგის კონკურენტებად ვერ ივარგებენ, დანარჩენებსაც საქმით მოუწევთ დამტკიცება, რომ ისევე და იმაზე უკეთ გასწევენ ჭაპანს, როგორც ამას ამერიკელი აკეთებდა. ერთადერთი იმედი, რომ ტური ერთი კაცის შეჯიბრებიდან მრავალთა შეჯიბრებად იქცეს, ესპანელი ხოსება ბელოკია. და კიდევ ოსკარ სევილა და ფრანსისკო მანსებო, თანაგუნდელ დენის მენშოვთან ერთად.

ახლა ტურ დე ფრანსს, ნამდვილ ტურ დე ფრანსად რომ იქცეს, ორი რამ აკლია - მთები და ნეპტუნის სამოსელში გამოწყობილი ხნიერი ადამიანი - ბოლო 15 წლის ველორბოლების უცვლელი პერსონაჟი. "ხვალიდან ყველაფერი თავისი რიგით წავა", - ამბობენ ტურის სტაჟიანი ქომაგები.

ხვალ მთიანი ეტაპი და სამი უღელტეხილი ელის პელოტონს - აუბისკე, სულორი და ლე მონჟიე. უკვე ხვალიდან ახალი საზრუნავი გაუჩნდებათ სწრაფი რბოლების მოყვარულთ - როგორმე გადაირჩინონ თავი.

და კვლავ არმსტრონგი:

- გამარჯვებისთვის ერთადერთი საშუალება ვიცი, უკან უნდა დავიბრუნო დაკარგული წამები. ორი გზაღა დამრჩა - ან უნდა შევუტიო, ან...

მოვკვდეო, აღარ უთქვამს ამერიკელს. მისი შემართებისა და ხასიათის პატრონისგან, კაცი ყველაფერს უნდა ელოდე.

ჩემპიონი ლე მონჟიეს დასაპყრობად ემზადება. შეუშლის კი ვინმე ხელს?

**ტექნიკური შედეგები**

*ლანესტერ-ლორეანი. ინდივიდუალური რბოლა. 52 კმ.*

1. სანტიაგო ბოტერო ("კელმე", ესპანეთი) - 1 სთ. 02 წთ. 18 წმ.
2. ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - +11 წმ.
3. სერგეი გონჩარი ("ფასა ბარტოლო", უკრაინა) - +18 წმ.

**საერთო ჩათვლა**

1. იგორ გონზალეს გალდეანო ("ონსე", ესპანეთი) - 33 სთ. 21 წთ. 23 წმ.
2 ლანს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) - +26 წმ.
3. ხოსება ბელოკი ("ონსე", ესპანეთი) - +1 წთ. 23 წმ.




სანტიაგო ბოტერო
REUTERS

ფეხბურთი

## კონკაკაფი ადგილების მომატებას ითხოვს

ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის ასოციაციათა კონფედერაციის, ანუ, უფრო მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, კონკაკაფის პრეზიდენტი ჯეკ ვერნერი ფიფა-ს სთხოვს, თავისი კონფედერაციისთვის 2006 წლის მუნდიალზე ადგილები გაუზარდოს.

კორეა-იაპონიაში ამ ზონის გუნდებმა კარგად იასპარეზეს. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები მეოთხედფინალში გავიდა და იქ მომავალ ვიცე-ჩემპიონთან, გერმანიასთან დამარცხდა, მექსიკა მერვედფინალიდან დაემშვიდობა მუნდიალს, კოსტა-რიკა კი მხოლოდ იმიტომ ჩარჩა ჯგუფში, რომ თურქეთის ნაკრებს ბურთების უკეთესი შეფარდება ჰქონდა.

ეს მაჩვენებლი კონკაკაფის პრეზიდენტს აძლევს თავისი ზონისთვის უფრო მეტი ადგილის მოთხოვნის საფუძველს. ვნახოთ, რას გადაწყვეტს ფიფა.

## გრანდების წინააღმდეგ

იტალიაში მხოლოდ დიდი კლუბები როდი განიცდიან ფინანსურ კრიზისს. არც პატარა გუნდებს ულხინთ, მაგრამ, გრანდებისგან განსხვავებით, ისინი ძნელად პოულობენ გამოსავალს.

ალბათ, გახსოვთ, როგორი დიდსულოვნება გამოიჩინეს რეკობამ, რონალდომ და ვიერიმ, როცა "ინტერის" მძიმე მდგომარეობა გაითვალისწინეს და ხელფასის შემცირებაზე დათანხმდნენ. მილანური გრანდის ვარსკვლავების ამ კეთილშობილურმა ჟესტმა დიდად ვერ აღაფრთოვანა პატარა კლუბების ფეხბურთელები, რომლებიც, რა თქმა უნდა, რონალდოს ტოლ ხელფასს ნამდვილად არ იღებენ.

"არა მგონია, ფეხბურთელებისთვის ხელფასის შემცირება კრიზისიდან თავის დაღწევის ყველაზე სწორი გზა იყოს. ყველა ხომ რონალდო არ არის. ჩვენ ისეთ დიდ ანაზღაურებას არ ვიღებთ, რომ ნებაყოფლობით მოვისურვოთ ხელფასის შემცირება," - განაცხადა "უდინეზეს" მცველმა ვალერიო ბერტოტომ. ამ აზრს იზიარებს პარმელი სენსინიც, რომელიც ხელფასის შეკვეცას შეუძლებლად მიიჩნევს.

## რომარიო კლუბშიც არ უნდათ

მუნდიალის დაწყებამდე ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ ვარსკვლავად მიჩნეულ რომარიოს მხოლოდ "სელესაოს" თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი უარყოფდა - არ სურდა, ის ნაკრებში აეყვანა. ახლა კი რომარიო საკუთარმა კლუბმაც გაწირა.

"ფლამენგოს" ვიცე-პრეზიდენტმა ვალტერ ოაკინმა განაცხადა, რომ რომარიო "ფლამენგოში" საკმაოდ კარგად თამაშობდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა სავიოს აყვანას ამჯობინებს.

28 წლის სავიო ბორტოლინი პიემენტელი ევროპაში წასვლამდე სწორედ "ფლამენგოში" თამაშობდა. ბრაზილიური კლუბი მან 1998 წელს დატოვა და მადრიდის "რეალში" გადავიდა.

## ფერგიუსონმა ნავსი გატეხა

ინგლისის პრემიერ-ლიგის საუკეთესო კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედი" თავისი ორგინალური მწვრთნელითა და სატრანსფერო პოლიტიკით არის ცნობილი. ყველასთვის იცის, რომ შოტლანდიელ სერ ალექს ფერგიუსონს არ უყვარს ბევრი ფულის ხარჯვა და ახალი ფეხბურთელების შეძენა. ეს განსაკუთრებით დაცვის ხაზს ეხება. თუმცა, ფერგიუსონი ტრადიციის დარღვევას აპირებს. მან განუცხადა კლუბის ხელმძღვანელებს, რომ უახლოეს დღეებში გუნდში რამდენიმე ახალი მცველი გამოჩნდება. დენის ირვინს, რონი იონსენს, რონი უოლვორკს და მეკარე ვან დერ გოუს კონტრაქტები ამოიწურა. ფერგიუსონმა ოთხივე გაუშვა გუნდიდან. მანჩესტერელთა მწვრთნელის ყურადღების ცენტრშია რიო ფერდინანდი. თუმცა, მისი შეძენა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ლიდსელთა ახალი მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი მცველის გაშვების წინააღმდეგია და მისი ხელფასის უზრუნველსაყოფად ლი ბოუერიც კი გაყიდა. ბოუერი "ლივერპულში" გადავიდა. ასევე იყიდება ოლივიე დაკური. მოკლედ, ფერგიუსონს და "მანჩესტერ იუნაიტედს" დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ. "მოლაპარაკება მიმდინარეობს და ეს საიდუმლო არ გახლავთ. თუმცა, ჩაშლის შემთხვევაში, ცენტრალური მცველის პოზიციაზე ალტერნატივაც გვაქვს", - განაცხადა ფერგიუსონმა.

## ტოტალიზატორი "კოპა"

**ჩემპიონთა ლიგა**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 001 | 17-07-2002 | 20:00 | ტორპედო ქ.-ტორსჰავენი (ფარ) | - | - | - | - | - | - | 1.50 | 2.5 | 2.00 |
| 002 | 17-07-2002 | 21:00 | ტამპერე (ფინ)-პიუნიკი (სომხ) | 1.35 | 4.00 | 7.50 | 1.01 | 2.61 | 1.14 | 1.65 | 2.5 | 1.85 |
| 003 | 17-07-2002 | 21:00 | სკონტო (ლატ)-ბარი თაუნი (უელ) | 1.30 | 4.00 | 8.00 | - | 2.67 | 1.12 | 1.55 | 2.5 | 1.95 |
| 004 | 17-07-2002 | 21:45 | კაუნასი (ლიტ)-დინამო ტირ. (ალბ) | 1.70 | 3.20 | 4.40 | 1.11 | 1.85 | 1.23 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 005 | 17-07-2002 | 22:30 | ჰიბერნიანსი (მალ)-შელბურნი (ირ) | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.41 | 1.25 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 006 | 17-07-2002 | 22:30 | შერიფი (მოლ)-ჟენისი (ყაზ) | 1.30 | 4.00 | 8.00 | - | 2.67 | 1.12 | 1.50 | 2.5 | 2.00 |
| 007 | 17-07-2002 | 23:00 | დუდელანჟი (ლუქ)-ვარდარი (მაკ) | 5.00 | 3.20 | 1.65 | 1.95 | 1.09 | 1.24 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 008 | 17-07-2002 | 23:15 | ჟელეზნიჩარი (ბოს)-აკრანესი (ის) | 1.70 | 3.10 | 4.70 | 1.10 | 1.87 | 1.25 | 1.75 | 2.5 | 1.75 |
| 009 | 17-07-2002 | 23:30 | პორტადაუნი (ჩრ. ირ)-ბელშინა (ბ) | 2.60 | 2.90 | 2.50 | 1.37 | 1.34 | 1.27 | 1.80 | 2.5 | 1.70 |
| 010 | 17-07-2002 | 23:30 | ფლორა (ესტ)-აპოელი (კვიპ) | 2.30 | 2.90 | 3.00 | 1.28 | 1.47 | 1.30 | 1.80 | 2.5 | 1.70 |

**რუსეთი**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 017 | 17-07-2002 | 18:00 | ზილი-ურალანი | 2.60 | 2.80 | 2.60 | 1.35 | 1.35 | 1.30 | 2.00 | 2.5 | 1.50 |
| 018 | 17-07-2002 | 20:00 | ცსკა-კრილია | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.03 | 2.28 | 1.19 | 1.80 | 2.5 | 1.70 |

**ავსტრია**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 022 | 17-07-2002 | 21:00 | ზალცბურგი-შტურმი | 2.50 | 3.00 | 2.50 | 1.36 | 1.36 | 1.25 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 023 | 17-07-2002 | 22:30 | გრაცერი-პაშინგი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.05 | 2.21 | 1.20 | 1.65 | 2.5 | 1.85 |
| 024 | 17-07-2002 | 22:30 | რიდი-ბრეგენცი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.55 | 1.25 | 1.70 | 2.5 | 1.80 |
| 025 | 17-07-2002 | 22:30 | რაპიდი-ადმირა | 1.45 | 3.50 | 6.50 | 1.03 | 2.28 | 1.19 | 1.60 | 2.5 | 1.90 |

**შვეიცარია**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 029 | 17-07-2002 | 22:30 | არაუ-გრასჰოპერსი | 3.80 | 3.00 | 1.85 | 1.68 | 1.14 | 1.24 | 1.50 | 2.5 | 2.00 |
| 030 | 17-07-2002 | 22:30 | დელემონი-თუნი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.24 | 1.57 | 1.28 | 1.50 | 2.5 | 2.00 |
| 031 | 17-07-2002 | 22:30 | ქსამაქსი-ვილი | 1.70 | 3.10 | 4.70 | 1.10 | 1.87 | 1.25 | 1.50 | 2.5 | 2.00 |
| 032 | 17-07-2002 | 22:30 | სტ. გალენი-ლუცერნი | 1.80 | 3.00 | 4.00 | 1.13 | 1.71 | 1.24 | 1.60 | 2.5 | 1.90 |
| 033 | 17-07-2002 | 22:30 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 2.70 | 3.00 | 2.40 | 1.42 | 1.33 | 1.27 | 1.60 | 2.5 | 1.90 |

**შვეიცარია ჯგუფი "ბ"**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 037 | 17-07-2002 | 22:30 | ბელინცონა-შაფჰაუზენი | 1.80 | 3.10 | 3.80 | 1.14 | 1.71 | 1.22 |
| 038 | 17-07-2002 | 22:30 | კონკორდია-ლოზანა | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.41 | 1.25 |
| 039 | 17-07-2002 | 22:30 | კრინსი-ლუგანო | 2.60 | 3.10 | 2.40 | 1.41 | 1.35 | 1.25 |
| 040 | 17-07-2002 | 22:30 | სიონი-ბადენი | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.08 | 1.99 | 1.21 |
| 041 | 17-07-2002 | 22:30 | ვოლენი-ვადუცი | 1.90 | 3.10 | 3.50 | 1.18 | 1.64 | 1.23 |

**ფინეთი**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 044 | 18-07-2002 | 20:30 | ჰაკა-ჰამენლინა | 1.40 | 3.80 | 6.50 | 1.02 | 2.40 | 1.15 | 1.60 | 2.5 | 1.90 |

**შვედეთი**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 | 2.5> | ბურთ | 2.5< |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 047 | 17-07-2002 | 22:00 | ჰელსინბორგი-გიოტებორგი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.47 | 1.26 | 1.75 | 2.5 | 1.75 |

**შვედეთის თასი**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 050 | 18-07-2002 | 22:00 | აიკი-ჰამარბი | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.24 | 1.57 | 1.28 |
| 051 | 18-07-2002 | 22:00 | მალმიო-ორებრო | 1.80 | 3.10 | 3.80 | 1.14 | 1.71 | 1.22 |

**ლიბერტადორესის თასი**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 | 1X | X2 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 055 | 17-07-2002 | 23:59 | გრემიო-ოლიმპია | 1.60 | 3.30 | 5.00 | 1.08 | 1.99 | 1.21 |

**ჰანდიკაპი (0 - 1)**

| კოდი | თარიღი | დრო | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 100 | 17-07-2002 | 20:00 | ცსკა-კრილია | 2.00 | 3.00 | 2.28 |
| 101 | 17-07-2002 | 22:30 | რაპიდი-ადმირა | 2.00 | 3.00 | 2.28 |
| 102 | 17-07-2002 | 22:30 | გრაცერი-პაშინგი | 2.00 | 3.00 | 2.21 |
| 103 | 18-07-2002 | 20:30 | ჰაკა-ჰამენლინა | 1.90 | 3.00 | 2.40 |

# თოქ-შოუს მამის დაბრუნება

1996 წლის შემდეგ ამერიკული ტელევიზიისა და თოქ-შოუს მამად აღიარებული ფილ დონაჰიუ ტელეეკრანზე აღარ გამოჩენილა. თუმცა, ეს ხუთწლიანი სიჩუმე დონაჰიუმ ორშაბათს დაარღვია. იგივე ვერცხლისფერი თმითა და საუბრის ორიგინალური მანერით, ის ამერიკულ ტელეეთერს კვლავაც დაუბრუნდა. 66 წლის ჟურნალისტის საავტორო პროგრამა "დონაჰიუ" კვირის განმავლობაში საღამოობით გადის და სავარაუდოდ CNN-ის კონი ჩანგისა და Fox News-ის ბილ ო`რილის მთავარ კონკურენტადაც იქცევა. ორშაბათის დებიუტი MSNBC-ის სტუდიაში შედგა. "ღმერთო, ეს სტუდია იმ დარბაზზე დიდია, სადაც სკოლის გამოსაშვები საღამო მქონდა", - ამ სიტყვებით გაიხსნა დონაჰიუს ახალი თოქ-შოუ. მისი პირველი თემა სადამ ჰუსეინი იყო. სამი მოწვეული სტუმრის მსჯელობას, უნდა დაარტყას თუ არა ამერიკამ ერაყს, დონაჰიუ არეგულირებდა. შეგახსენებთ, რომ მისი პირველი შოუ 1967 წელს, ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონიდან გავიდა ეთერში. დონაჰიუმ სახელი მალე გაითქვა და ჯერ ჩიკაგოში, შემდეგ კი ნიუ იორკში გადავიდა. მერე უკვე თოქ-შოუს ბაზარი ისე გადაიტვირთა, რომ დონაჰიუსთვის ადგილი აღარ დარჩა და მანაც წასვლა არჩია. საინტერესოა, ასევე წარმატებული იქნება, თუ არა თოქ-შოუს მამის დაბრუნება.



დონაჰიუ მსახიობ კრისტალ ბერნარდთან და პროდიუსერ ტონი ტომასთან ერთად REUTERS

# „ფლეიბოი„ გაკოტრებული გიგანტებით დაინტერესდა

როგორც გატყობინებდით, ჟურნალმა "ფლეიბოიმ" მკითხველს აგვისტოს ნომერში გაკოტრებული ენერგოკომპანია Enron-ის ქალების შესახებ ყოვლისმომცველი იფორმაცია მიაწოდა, ბუნებრივია, Playboy-ის სტილში – გამომწვევი ფოტოილუსტრაციებითა და სპეციფიური კითხვებით. პროექტმა გაამართლა. ინტერესი, Enron-ის თანამშრომელ მამაკაცებთან ერთად, დანარჩენმა საზოგადოებამაც გამოიჩინა. სწორედ ამ მიზეზით, ჟურნალის ხელმძღვანელობა ამჯერად ფინანსურ სკანდალში გახვეულ გიგანტურ ფირმებს Worldcom-სა და Andersen-ს მიადგა და მათ თანამშრომელ ქალბატონებს "ფლეიბოისთვის" შიშველი პოზიორობა შესთავაზა. "როგორც კი ჩვენი აგვისტოს ნომერი სახელწოდებით "ენრონის ქალები" გაყიდვაში გავიდა, Worldcom-სა და Andersen-ის თანამშრომელი ქალებისგან უამრავი ზარი მივიღეთ", - ჰყვება "ფლეიბოის" ფოტორედაქტორი, გერი კოული, - "მათ Enron-ის სტატია წაუკითხავთ და ჩვენი ჟურნალისთვის პოზიორობის სურვილი თავად გამოთქვეს", - დასძენს ის.

ბუნებრივია, ჟურნალის ხელმძღვანელობამ გული არც ამ ორი გიგანტური კორპორაციის თანამშრომლებს დასწყვიტა და მსურველებს სთხოვა რედაქციაში გაეგზავნათ საცურაო კოსტუმში გადაღებული და საპასპორტო ფოტოები. მალე, ალბათ, გადაღებებიც დაიწყება.




"ენრონის" ქალები ნიუ იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე REUTERS

# მათთვის, ვინც ბონდის ქალებს ჰგავს

ჯეიმს ბონდი არა მხოლოდ ხიბლავს მსოფლიოს ულამაზეს ქალებს, არამედ მათ კოსმეტიკური საშუალებებითაც ამარაგებს. თუმცა, ეს სულ ახალი პროექტია, რომელიც ბონდიანას შემქმნელმა კომპანიამ ახლახან წამოიწყო. ჯეიმს ბონდის პარფიუმერიისა და კოსმეტიკის ნაწარმს რეკლამას ისეთი ცნობილი ბონდის გოგონები გაუწევენ, როგორებიც არიან ურუსლა ანდრესი და სოფი მარსო. როგორც აღმოჩნდა, პრესისგან მალულად, სარეკლამო კამპანია თვეების განმავლობაში საიდუმლოდ მუშავდებოდა. ბონდის პარფიუმერიის პრემიერა, ახალ ფილმთან ერთად, ნოემბერში შედგება. Die Another Day ბონდიანას ის გამონაკლისი ფილმია, რომელსაც წინასწარვე ანიჭებენ ყველაზე მნიშვნელოვანი და გრანდიოზული პროექტის სტატუსს. კეით სნელგროუვის, ბონდიანას კომპანიის წარმომადგენლის ინფორმაციით, "ბონდის ქალების კოსმეტიკური ხაზისთვის მრავალი პროდუქტი შეიქმნება". "ბონდის გოგონები წლების განმავლობაში ძალიან შეიცვალნენ. ბონდის თანამედროვე პარტნიორები 40 წლის წინანდელი ქალებისგან რადიკალურად განსხვავდებიან. ისინი ძლიერი ხასიათის მქონე, დამოუკიდებელ მანდილოსნებად ჩამოყალიბდნენ და დარწმუნებული ვარ, მათი სახელით გამოსული კოსმეტიკური ნაწარმი დიდი პოპულარობით ისარგებლებს", - დასძენს პროექტის ერთ-ერთი ავტორი. ასე რომ, ნოემბერში ჯეიმს ბონდის თაყვანისმცემელი ქალები, ახალ ფილმთან ერთად, თავიანთი საყვარელი მამაკაცისგან პარფიუმერიასაც მიიღებენ.

## იაპონური კროსვორდი



## TV პროგრამა 16 ივლისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა.
07.30 ფიფქია.
08.00 კურიერი .
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით".
09.50 კომუნიკატორი.
10.40 ბრენდაიზერი.
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები".
12.00, 15.00 კურიერი.
12.15 მულტსერიალი.
13.30 მხ. ფილმი.
15.20 მხ.ფილმი.
17.05 ლუისი და კლარკი.
18.00, 21.00, 02.00 კურიერი.
18.20 ბრენდაიზერი.
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები".
19.15 მოგზაურობის ასი წელი.
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები".
22.00 კომუნიკატორი.
22.50 კურიერი.
00.05 მხ.ფ. "ჯაშუშური თამაშები" მთ. როლებში: ბრედ პიტი, რობერტ რედფორდი

### პირველი არხი

07.30 "ალიონი"
09.45 მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
12.00, 15.00, 20.00, 22.50 მოამბე
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.45, 19.00 ვიდეოპატრული
13.00 "ნაშუადღევს"
14.05 "თქვენი უფლებები"
14.25 "თბილისი და თბილისელები"
15.15 მხ.ფ. "ეძებეთ ქალი" (მე-2 სერია)
16.25 "ჯუჯების საოცარი ისტორია"
17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 ინტერმეცო
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი"
21.45 ეკოდაიჯესტი
22.10 ტელე-სინე-ვიდეო
23.35 ტელესერიალი "ძილის წინ"
23.55 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.15 მხ.ფ. "ცოფიანი"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "გამყიდველები გამყტდველების წინააღმდეგ"
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "მაცი ხვატია"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "ღრმა ლურჯი ზღვა"
10.20 ძველი კინო "ალექსანდრე დიდი"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
18.45 ბუნების ფერები
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "გაუმარჯოს რესპუბლიკას"
22.15 ძველი კინო "სასტიკი თამაშები- 2"
00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეულის" განმეორებით
11.45 "კლიპები შეყვარებულთათვის" განმეორებით
13.15 მხ.ფილმი
15.00 მუსიკა
17.30 "სწ.მედია" მხ.ფ. "ბუნდი"
19.00 მუსიკა
20.00 ვიდეო-რადიო
22.00 მიქს-20
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "სიამოვნების ქუჩა". მთ. როლში ლეტიცია კასტა
01.30 "ღამურა" მხ.ფ. "ჯუნგლების ომები"
04.15 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "დიდი კუში"
13.50 მხ.ფ. "პონეტი"
15.20 მხ.ფ. "სასიყვარულო ისტორია"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ. "ცხოველი"
19.20 სპექტრი
21.00 სერიალი "ჩრდილოეთი და სამხრეთი"
22.00 მხ. ფილმი "სეიფების მძარცველი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" მე-6 სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-6 სერია
10.15, 14.20, 23.45, 00.20 მუსიკა
10.30 მხ.ფილმი "სილამაზე ამერიკულად"
13.30, 17.00 დისქავერი
14.45 "მთავარი თემა"
15.30 მხ. ფილმი "პანტის საოცარი თავგადასავალი "
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" მე-7 სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" მე-7 სერია
18.45 მხ. ფილმი "ას ორი დალმატინელი" მთ. როლებში: გლენ კლოუზი, ჟერარ დეპარდიე
20.20 დოკ.სერიალი "ჩემი ქვეყანა"
21.10 მულტფილმი "ტომი და ჯერი"
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "ღამის ანგელოზი". მთ. როლებში მარია კარლსენი, ტომას უილიამ იენსონი
00.40 მხ.ფ. ":ჯნა დარკი". მთ. როლებში ლილი სობესკი, ჟაკლინ ბისე, პიტერ ო`ტული

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 "რა არ ხდება"

09.40 სათავგადასავლო ფილმი "ბიჭუნა ჯუნგლებიდან"
11.05 საბავშვო ვიდეო -ენციკლოპედია
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ისტორიული ფილმი "მამაცი გული"
15.05 დოკუმენტური ფილმი
16.15 მულტფილმი "ჯადოსნური ქვეყანა"
17.20 მხატვრული ფილმი "მთელი ძალით"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 ფილმი-ფანტასტიკა "არმაგედონი"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 "Пресс-папье"
23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.10, 01.00 საინფორმაჟიო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.15 ქართული დოკუმენტური ფილმი "ქართული გამბიტი"
01.05 მელოდრამა "ლამაზმანი"
03.30 მხატვრული ფილმი "კრიმინალური ნოველები"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
11.00 მუსიკალური ბიორითმი - რიკი მარტინი
11.25 "პაემანი" (განმეორებით)
12.15 მულტსერიალი
12.35 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
12.40 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
13.10 დისნეი და მისი მეგობრები
13.25 "სახლიდან გაუსვლელად"
14.15 სპორტი
14.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.15 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.35 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.45 "ლა-ლა-ლა"
21.25 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.30 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
22.00 მოკლედ... სპორტი
22.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.15 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "იქ სადაც სიმართლეა" ა.შ.შ.
1997 წელი. თრილერი. რეჟისორი - უილიამ მოლინი. როლებში: მალკოლმ მაკდაუელი, ჯონ სევიჯი.
23.45 პრესის მიმოხილვა
00.05 მუსიკალური ტაიმაუტი
00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორითმი - რიკი მარტინი
01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - "დევნა" - 1 სერია. ა.შ.შ.
1999 წელი. კომედია. რეჟისორი - ჯონ ბედჰემი. როლებში: რიჩარდ დრეიფუსი, ემილიო ესტევეზი.
03.30 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 "НЕУДЕРЖИМЫЙ"
12.05, 16.45 "Ералаш"
12.15 Программа "100%"
12.35 Следствие ведет Колобков
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 "С клеймом иуды"
15.00 "Народ против". Телеигра.
16.15 Док. фильм "Дикие штучки"
16.55 "СЕЙЧАС ИЛИ НИКОГДА"
17.50 "САЛОМЕЯ"
20.15 х.ф. "ВЕРБОВЩИК"
22.00 Время.
22.35 "Слабое звено"
23.25 "Форс-Мажор" с Николаем Фоменко.
00.05 Сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
01.00 Ночное "Время"
01.30 "Сати"
02.00 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.50 "Человек неоткуда"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 8.40, 17.45 Афиша
08.10, 09.40, 17.40 Экспертиза РТР
08.25, 09.10 Вести-спорт
09.15 Москва- Минск.
10.10 "ЖАРА В ЛОС-АНЖЕЛЕСЕ"
11.00 Сериал "ВЕЧНЫЙ ЗОВ"
12.20 х.ф. "БЕЛЫЕ НОЧИ"
14.05 Фестиваль детских фильмов "Орленок"
14.30 Сериал "БЕТТИ"
15.25 "Что хочет женщина"
16.10 Сериал "ДИКИЙ АНГЕЛ"
17.10 Сериал "ДРУЗЬЯ-5"
18.20 "Казахстан"
19.50 Сериал "КОМИССАР РЕКС"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 "ПРОФЕССИЯ - СЛЕДОВАТЕЛЬ"
22.50 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ, ПРОИСШЕСТВИЕ В МОРЕ"
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф. "ДУРА"

### НТВ

1.40 "О, СЧАСТЛИВЧИК!" Азартная игра
2.15 "ПАДАЮЩАЯ ЗВЕЗДА" триллер. США
7.00 ВНИМАНИЕ!!!
С 6:00 до 16:00 - ПРОФИЛАКТИКА!!!
17.00 СЕГОДНЯ
17.30 Мелодрама "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА". В ролях: Екатерина Васильева, Олег Басилашвили и Лариса Удовиченко.
18.35 "ГРЯЗНАЯ РАБОТА" боевик.
19.40 "КРИМИНАЛ"
20.00 СЕГОДНЯ
20.35 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" сериал. Сегодня - "СЕКСОТ ЦЫПЛАКОВ"
21.45 Мелодрама "ПОД КРЫШАМИ БОЛЬШОГО ГОРОДА".
23.00 СЕГОДНЯ
23.35 "СКОРАЯ ПОМОЩЬ"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

## №44-ის სკანვორდის პასუხები

თარაზულად: პელე; გრემი; აპერკოტი; დეფილე; ოპიზარი; სერია; არმაზი; რელსი; კანი; ფლობერი; ონისე; დონორი; არტისტი; ფშანი; პორნო; მინისტრი; აბრაგი; გალინა; ტრიბუნა; აპარეკა; მიზანი; გრაალი;. კლოსი; წიდა; გრეკო; მნიშვნელი; ლეი; პერიგეა; ღიღილო; ქუჩი; ნაძვი; ქიზიყი; ხახა; ლუგელა.

შვეულად: კრანახი; აირწინაღი; ნალბანდი; ფრისტაილი; აშული; ნალი; ტრიპოლი; სატრაპი; გნოლი; გენიოსი; ტირი; კრედო; ინდი; ლელო; ნიდაო; ბრელოკი; ჭა; მანგო; პიკასო; მაფია; რუმბა; ქეჩა; რეფრენი; მალი; პრესა; აბაი; გნუ; ბუში; რიდე; მალა; კალაძე; ეტლი; კრონა; გონიო; ინაური; ინგირი; სირია.